

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал
“ECONOMICS” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

№ 11-12, 2012

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი;
ზ. ვაშაკიძე; მ. კაკულია; დ. კარბონი (იტალია); პ. კოლუაშვილი; ა. კურა-
ტაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ი. მესხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარ-
შავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (აშშ); უ. სამადაშ-
ვილი; ა. სილაგაძე; ო. სოლდატენკო (უკრაინა); ტ. ფედოროვა (რუსეთი);
ო. ფაჩულია; დ. ქავთარაძე (რუსეთი); რ. ქუთათელაძე; კ. ლურწყაია; გ. ყუფუნია;
გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; ლ. ჩიქავა; მ. ჯიბუტი, რ. ჯაბნიძე.

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Бараташвили Е., Вашакидзе З., Гогохия Р., Гурцкая К.,
Даташвили В., Джибути М., Джабнидзе Р., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М.,
Карбон Д. (Италия), Когуашвили П., Купуня Г., Кураташвили А., Кутателадзе
Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабидзе Э., Маршава К., Месхия Я., Папавა
В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (США) Силагадзе А., Сольдатенко О.
(Украина); Самадшвили У., Федорова Т. (Россия), Фачулия О., Чикава Л.,
Читанавა Н., Чхаидзе З., Шенгелия Т., Циклаური Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; E. BARATASHVILI; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; Z. VASHAKIDZE;
M. KAKULIA; D. KARBON (ITALY); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA;
I. MESKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V. PAPAVA; M. ROKETLISHVILI (USA);
U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; O. SOLDATENKO (UKRAINE); O. FACHULIA; T. FEDOROVA (RUS-
SIA); D. QAVTARADZE (RUSSIA); R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE;
T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; L. CHIKAVA; M. JIBUTI; R. JABNIDZE.

შინაარსი

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ქრისტინა ჯღანჯღავა - უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ფორმების ზეგავლენა რეციფიენტი ქვეყნის ბიზნესის განვითარებაზე-----6	
ეთერ თაკალანძე - ადამიანის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა ქვეყანა - სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მისიაა (გაგრძელება)----- 12	
სოფიკო მეგრელიშვილი, ვლადიმერ ღლონტი - პერსონალის ფსიქოლოგია: გარეგანი და შინაგანი მოტივაცია ---- 26	
Liana Grigoryan - The Main Factors of Innovational Risk and the Sources of Economical results changes ----- 40	
ნაილი გაგნიძე, თეა ბიჭიკაშვილი - დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების ანალიზი საქართველოში ----- 45	
ალექსანდრე სხირტლაძე, ყუყუნა ნიკლაური, რევაზ შენგელია, ნათია შენგელია — მცირე და საშუალო ბიზნესი როგორც სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა და მათი აღრიცხვის, საგადასახადო რეგულირების ზოგიერთი სპეციფიკა ----- 49	

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

რუსუდან პაპასკირი - ფინანსური თალღითობის ერთი მაგალითის შესახებ, ანუ ინტრიგა ფასიანი ქაღალდებით ---- 63	
მაია ალადაშვილი - საკრედიტო პორტფელის მართვის მნიშვნელობა საბანკო სისტემის ნორმალური ფუნქციონირების საქმეში ----- 67	

რეგიონული ეკონომიკა

კობა კიკაბიძე, თენგიზ აფხაზავა, ნატო ჩიკვილაძე - რეგიონული საინოვაციო სისტემის (რსს) აქტივების რუქის შექმნა და მისი მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში----- 70	
---	--

დარგობრივი ეკონომიკა

თენგიზ აფხაზავა, ქეთევან გოლეთიანი - ლოგისტიკური სერვისის ეკონომიკური და სამართლებრივი მართვის თეორიული ასპექტები სარკინიგზო ტრანსპორტზე ----- 80

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

მაია ალადაშვილი - მენეჯმენტი, როგორც პასუხისმგებლობა საბანკო ოპერაციებზე და რისკების მართვის პოლიტიკის რეალიზაცია ----- 91

Liana Grigoryan - Methodical Bases of the Management organization with Innovation Risk in the Enterprise ----- 93

ოლღა ფაჩულია - კვლევა და განვითარება, როგორც კომპანიის მენეჯმენტის ეფექტიანობის ფაქტორი ----- 98

მსოფლიო ეკონომიკა

თენგიზ აფხაზავა, კობა კიკაბიძე - საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნების ფორმირების პრინციპები ----- 110

საიუბილეო თარიღი

ნაზი ფირცხალავა - ლვანლმოსილი მეცნიერი და პიროვნება ---- 123

რეფერატები ----- 127

2012 წლის ნომრების შინაარსი ----- 132-141

CONTENT

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Kristina Jganjgava – The Impact of FDI Forms on the Business Development of a Recipient Country-----	6
Ether Takalandze – Continuation of Human Being’s Heritage is the socio-economic mission of State Government (Continuation) -----	12
Sofiko Megrelishvili, Vladimer Glonti – Psychology of Personnel: External and Internal Motivation-----	26
Liana Grigoryan - The Main Factors of Innovation Risk and the Sources for Economical Results’ Changes-----	40
Naili Gagnidze, Tea Bichikashvili – The Analysis of Employment and Unemployment indicators in Georgia-----	45
Alexandre Skhirtladze, Zhuzhuna Tsiklauri, Revaz Shengelia, Natia Shengelia – Small and Medium-sized Business – as One Main Essential Condition for solving Socio-Economic Problems and Some Specifics of their Accounting, Tax Regulation-----	49

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Rusudan Papaskiri – About One Example of Financial Fraud i.e. Intrigue with Securities-----	63
Maia Aladashvili – The Importance of Credit Portfolio Management in the normal Functioning Process of Banking System-----	67

REGIONAL ECONOMY

Koba Kikabidze, Tengiz Abkhazava, Nato Chikviladze – Creation of a Map of the Regional Innovational System Assets and its Importance in the Conditions of the Market Economy-----	70
--	----

SECTORAL ECONOMY

Tengiz Abkhazava, Ketevan Goletiani – Some Theoretical Aspects of Economical and Legal Management of Logistics Service about Railway Transportation -----	80
--	----

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Maia Aladashvili – Management, as a Responsibility on bank operations and Realization of Policy of Risk Management-----	91
Liana Grigoryan - Methodical Bases of the Management organization with Innovation Risk in the Enterprise-----	93
Olga Pachulia –Research and Development as the factor of Effectiveness of Company Management -----	98

WORLD ECONOMY

Tengiz Abkhazava, Koba Kikabidze – The Forming Principles of International Transportation Corridors -----	110
--	-----

JUBILEE

Nazi Pirtskalava – An Honored Scientist and a Person-----	123
--	-----

SUMMARY -----	127
----------------------	-----

Content of 2012 year's journals -----	132-141
--	---------



**ეკონომიკური თეორიის
თანამედროვე პრობლემები**



**უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ფორმების
ზეგავლენა რეციფიენტი ქვეყნის
ბიზნესის განვითარებაზე**

ქრისტინა ჯღანჯღავა
თსუ დოქტორანტი

დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობს მოიზიდოს უცხოური პირდაპირი ინვესტიციები (უპი), რამდენადაც ის ასოცირდება ეკონომიკურ ზრდასა და პროგრესთან. ცნობილი შვედი ეკონომისტის ბლომსტორმის თანახმად უპი-ები განვითარებად ქვეყნებს აძლევს საშუალებას იოლად დაეუფლონ თანამედროვე ტექნოლოგიებს, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს ადგილობრივი ფირმების შესაძლებლობებსა და უნარს აწარმოონ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია. სწორედ ახალი ტექნოლოგიათა მიღებაა ძირითადი მიზანი, რის გამოც ქვეყნები აქტიურად ცდილობენ მოიზიდონ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ქეივსი აღნიშნავს, რომ მიმღები ქვეყნის ეკონომიკისთვის დადებით ეფექტთა შორის აღსანიშნავია, მწარმოებლურობის ზრდა, ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს გადაცემა, ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, დასაქმებული პერსონალის მომზადება და წარმოების საერთაშორისო ქსელების წარმოშობა. ამერიკელი ეკონომისტების მიულერისა და ჩგოიჩის მოსაზრებით, მასპინძელი ქვეყანა უპიების დახმარებით ზრდის შრომის მწარმოებლურობას და დასაქმებას, სტიმულს აძლევს ინოვაციების დანერგვას და ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორანიზაციის (OECD) განმარტებით უპი-ები გამოხატავენ გრძელვადიანი ინტერესების შექმნას ერთი ქვეყნის რეზიდენტი საწარმოს მიერ

პირობები თეორიის თანამართლება პრობლემაში

(პირდაპირი ინვესტორი) მეორე ქვეყნის სანარმოში. ჩგრძელვადიანი ინტერესების არსებობა გულისხმობს, ხანგრძლივადიანი საქმიანი ურთიერთობების დამყარებას ამ სანარმოებს შორის, ინვესტორი იძენს სანესდებო კაპიტალის 10% და ლებულობს უფლებას სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს კაპიტალის ჩადების ობიექტზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

თუმცა ყველა ქვეყანა არ ეთანხმება მოცემულ განმარტებას, მაგალითად, ჩინეთში უპი-ების განსაზღვრება ეფუძნება უცხოელების მიერ დაფინანსებულ კომპანიათა შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას, სადაც არარეზიდენტი სანამოები ფლობენ რეზიდენტი ფირმის სანესდებო კაპიტალის 25%-ზე მეტს, ხოლო მალაიზიაში პირდაპირ ინვესტორად განიხილება არარეზიდენტი სანარმო, რომელიც ფლობს მიმღები ქვეყნის კომპანიის სანესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს. აშშ-ში უპი-ებზე ფორმალურად აღიარებულია ყოველგვარი დაბანდება, თუ ინვესტორი განაგებს ან ლებულობს ფირმის საკუთრების 10%-ს.

გამოყოფენ უპი-ების სხვადასხვა ფორმებს, ესენია:

- **გრინფილდ ანუ „მწვანე ველის“** ინვესტიცია — არის უპი-ების ფორმა, რომლის დროსაც, ინვესტიციები მიემართება საზღვარგარეთ ახალი სანარმოების შექმნისკენ ან უკვე არსებული ობიექტების გაფართოებისკენ. გრინფილდ ინვესტიციებს ახორციელებენ მსხვილი ტნკ-ები, რომლებიც შედიან განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე და იწყებენ იქ ქარხნებისა და მალაზიების მშენებლობას. მიმღებ ქვეყანაში იქმნება გრძელვადიანი სამუშაო ადგილები. სუსტად განვითარებული ქვეყნები სთავაზობენ დაბალ საგადასახადო განაკვეთს, სუბსიდიებსა და სხვა სახის შეღავათებს, რითაც სტიმულს აძლევენ ქვეყანაში გრინფილდ ინვესტიციების გამოჩენას, ერთი მხრივ, აღნიშნული ამცირებს ეროვნული მთავრობის საგადასახადო შემოსავლებს, თუმცა, მეორე მხრივ, ამ ქმედებით სახელმწიფო ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ქვეყანა იღებს ცოდნას, გამოცდილებასა და ტექნოლოგიას, რაც საბოლოოდ განაპირობებს ეროვნულ ეკონომიკაში კვალიფიციური კადრების ზრდას. თუმცა აღსანიშნავია უპი-ების აღნიშნული ფორმის ნაკლოვანება, ტნკ-ები ხშირად გამოდევნიან ბაზრიდან ადგილობრივ ნარმოებას, რამდენადაც ისინი აწარმოე-

ბენ საქონელსა და მომსახურეობას უფრო იაფად, ხოლო ადგილობრივი ფირმები ვერ უწევენ კონკურენციას, რასაც თან სდევს მათი ბაზრიდან გასვლა. ჩგარდა ამისა, წარმოებიდან მიღებული მოგებით მასპინძელი ქვეყანას ვერ სარგებლობს, რამდენადაც ეს მოგება გაედინება ტნკ-ს ბაზირების ქვეყნებში ანუ ადგილი აქვს მოგების რეპატრირებას.

ბრაუნფილდ ინვესტიცია - გულისხმობს ადრე აშენებული ქარხნის ან სხვა დანესებულების შექმნას, იმისათვის, რომ მოხდეს მისი გამოყენება სხვა საქმიანობისთვის. მაგალითად, თუკი კომპანია, რომელიც აწარმოებს ჩაქურჩებს, შეიძენს კომპანიას რომელიც აწარმოებდა სახრაანისებს, იმისათვის, რომ გააფართოვონ ჩაქურჩების წარმოება, წარმოადგენს ბრაუნფილდ ინვესტიციის მაგალითს.

„შერწყმა“ და „შთანთქმა“ უპი-ების ერთ-ერთი ფორმაა, რომლის მეშვეობითაც ორი ან მეტი კომპანიის აქტივები და ვალდებულებები ერთიანდება და წარმოიქმნება ერთი ბიზნეს სუბიექტი. გაერთიანების შემდეგ, კომპანიები აღარ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ეკონომიკურ ერთეულებს. ერთი ფირმის აქტივები და ვალდებულებები გადაეცემა მეორეს. შერწყმა შეიძლება წარმოიშვას თანაბარი ზომის და საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიებს შორის, ამგვარ გარიგებას ძირითადად აქვს მეგობრული ხასიათი. მაგალითად, კომპანიებმა „დრაიმლერ ბენზმა“ და „ქრის ლერმა“ შეწყვიტეს საქმიანობა, როდესაც გადაწყდა ფირმათა შერწყმა და მათ ადგილას დაფუძნდა ახალი კომპანია „დრაიმლერქრისლერი“.¹ შთანთქმა გულისხმობს უფრო დიდი სუბიექტის მიერ შედარებით მცირე ზომის კომპანიის შეერთებას, ასეთი ტიპის გარიგებას აქვს ძირითადად მტრული ხასიათი.

ბიზნეს ლიტერატურაში არსებობს ავტორთა შეხედულებები და ემპირიულ კვლევათა შედეგები თუ უპი-ების რომელი ფორმა გრინფილდ ინვესტიციები თუ „შერწყმა-შთანთქმის“ გარიგებებია განვითარებადი ქვეყნებისთვის სარგებლის მომტანი. N6ანდას თანახმად, გრინფილდ ინვესტიციები მიმღები განვითარებადი ქვეყნებისთვის შედარებით მომგებიანია, „შერწყმა-შთანთქმის“ გარიგებებთან შედარებით, რამდენადაც ამგვარი ინვესტიციები ხელს

1 (<http://www.theautochannel.com/news/press/date/19980507/press012154.html>)

აკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

უწყობს ახალი ბიზნესის დაწყებას, რომელიც რეციფიენტ ქვეყნებში უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას, თუმცა ამავდროულად აღნიშნავს, რომ ზოგიერთი გრინფილდ ინვესტიცია ორიენტირებულია მხოლოდ ინვესტორის მოგების მაქსიმიზაციისკენ, რაც შეეხება „შერწყმა-შთანთქმის“ გარიგებებს, მათი ძირითადი ფუნქციაა ხელი შეუწყოს დიდ ორგანიზაციათა განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რომლებიც განიცდიან კაპიტალისა და ნოუ-ჰაუს დეფიციტს. ნანდა მიჩნევს, რომ ჩინეთი ხასიათდება ინვესტიციათა მკაცრი რეგულირებით, ინდოეთან შედარებით და სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს ინვესტიციათა პროექტების მიღებისა და უარყოფის შესახებ. აღნიშნული ფაქტი ნანდას თანახმად, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს, რამაც ჩინეთი უფრო წარმატებული ქვეყანა გახადა, ვიდრე ინდოეთი.¹

ჰორიზონტალური ინვესტიციები — წარმოადგენენ უპი-ების ისეთ ფორმას, როდესაც ტნკ-მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციები მიემართება იმავე დარგში, რომელ დარგშიც საქმიანობს კომპანია ბაზირების ქვეყანაში. ტნკ-ები აწარმოებენ ერთი და იმავე სახის საქონელსა და მომსახურებას სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე საწარმოში და თითოეული საწარმო უზრუნველყოფს ადგილობრივ ბაზარს ეროვნული წარმოებით. ჰორიზონტალური უპი-ები ეფუძნება ორ ძირითად ფაქტორის არსებობას: დადებითი სავაჭრო დანახარჯებისა და ფირმათა დონეზე მასშტაბის ეკონომიას. აღნიშნული სახის ინვესტიციების ძირითადი მიზანია თავიდან აიცილოს სატრანსპორტო დანახარჯები და მიიღოს იოლი წვდომა საგარეო ბაზრებზე.

ვერტიკალური ინვესტიციები — არის უპი-ების ისეთი ფორმა, როდესაც ტნკ-ები წარმოების პროცესს ყოფენ რამდენიმე ეტაპად, განათავსებენ ფილიალებს სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებიც უზრუნველყოფენ საზღვარგარეთ წარმოების შიგა პროცესს. .

უპი-ების თითოეული ფორმა ასრულებს მნიშვნელოვან როლს მიმღები ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში, ზრდის რეციპიენტ ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, ხელს უწყობს დასაქმე-

1 <http://smalallah.com/2010/09/19/greenfield-investment-or-merger-and-acquisition/>

ბას და ამცირებს მასპინძელ ქვეყანაში სოციალურ უთანასწორობას.

ჩვენი აზრით, საქართველოში გრინფილდ ინვესტიციების განხორციელება ხელს შეუწყობს ახალი ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას, თუმცა საწარმოთა მშენებლობა ნულიდან საკმაოდ სარისკო საქმეა ისეთ ქვეყანაში, რომელიც ჯერ კიდევ დიდი გამოწვევების წინაშე დგას. დღეისათვის ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციები ძირითადად ხორციელდება „შერწყმა-შთანთქმის“ გარიგებებით (იხ. ცხრილი).

ცხრილი - „შერწყმა-შთანთქმის“ და გრინფილდ ინვესტიციები საქართველოში (2005-2011)66

წლები	შერწყმა-შთანთქმის გარიგებები	გრინფილდ ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)
2005	5	*
2006	7	*
2007	9	*
2008	4	2
2009	-1	3
2010	3	3
2011	-	1

წყარო: World investment report 2011; Non-Equity Modes of International production and Development, p.202

ამ უკანასკნელის მაგალითები საქართველოს ბაზარზე ძალიან ცოტაა. ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ კომპანიათა „შერწყმა-შთანთქმის“ პროცესი არის რთული და მრავალმნიშვნელოვანი.

საქართველოში არსებული საწარმოებისთვის, რომლებიც განიცდიან ფინანსებისა და ნოუ-ჰაუს დეფიციტს, აღნიშნულ ინვეს-

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ტიციათა გარიგებების ზრდა ხელს შეუწყობს მონინავე ტექნოლოგიების დანერგვას, საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ზრდას და საბოლოო ანგარიშით იქნება ინვესტიციათა დაბანდების ეფექტიანი ხერხი. ყოველივე აღნიშნულის საფუძველს ქვეყნისათვის წარმოადგენს სწორი და თანმიმდევრული საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. Blomstrom, M., Kokko, A., Multinational corporations and spillovers, Journal of economic surveys,1998
2. Caves,R.E., ``Multinational Enterprise and Economic Analysis``, second edition, Cambridge surveys of Economic literature;199
3. Duce M., (2003), ``Definition of Foreign Direct Investment(FDI): a methodological note``, Banco de Espana
4. Imad A. Moose, foreign direct Investment. Theory, Evidence and practice,2002
5. Daisuke Hiratsuka , Outward FDI from and Intraregional FDI in ASEAN: Trends and Drivers ,2006
6. Mueller, S.L.,&Goic,S., ``Enterpreneurial potential in transition economies; A view from tomorrow's leaders``, Journal of Development Entrepreneurship,;2002
7. Nanda, N., Growth effects of FDI: Is greenfield greener? *Perspectives on Global Development & Technology*, 8(1), pp.26-46,2003

ალამიანის ეპიკვიდრობის უწყვეტობა ქვეყანა-სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მისია¹

ეთერ თაკალანძე
ემდ

უდავოა, რომ მატერიალიზმი დღემდე რეალიზდებოდა ძირითადად, ქვეყნების მიხედვით, ადგილობრივი მკვიდრი რელიგიური აღმსარებლობის მორალური პრინციპების ნიადაგზე, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის სახით, (სახელით!). ამ იდეოლოგიას საქართველოში (საბჭოთა კავშირი) თავის დროზე, „ფორმით მატერიალისტური და შინაარსით სოციალისტური“ ეწოდა². ანუ, მატერიალისტური იდეოლოგია, თუ კი იგი ეროვნულია, მაშასადამე, სოციალისტურიც არის, რამეთუ ერთი თვითონ სოციალიზმი – სოციალური ბუნების მატარებელი და დამცველი საზოგადოებრივი წარმონაქმნია; მაგრამ როცა ე.წ. მრავალეროვანი სახელმწიფოს (საბჭოთა კავშირი) არსებობისათვის, მისი სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში ძლიერება პრიორიტეტული გახდა, ამ ნიადაგზე, ამ კავშირში, მეტ-ნაკლებად შეილახა რა რომელიღაც ქვეყნის თვითგანვითარების ეროვნული მოთხოვნილება, ცხადია, ეს სახელმწიფო („კავშირი“) უპერსპექტივო შეიქმნა და საბჭოთა კავშირიც საბოლოოდ, დაიშალა; შემდგომშიაც, – ამგვარმა ძალადობრივმა ანტიეროვნულმა სახელმწიფოებრივმა სტრატეგიულმა პოლიტიკამ (მრავალეროვანი სახელმწიფო), დღევანდელი მსოფლიო მონოპოლისტური კაპიტალიზმი რომ ჩამოაყალიბა, დღეს უკვე მე-3 მსოფლიო ომის აშკარა საფრთხე შექმნა.

მოკლედ, სახელმწიფოს ძალადობრივი უფლებამოსილება, როგორც კი გასცდა ქვეყნის ტერიტორიულ საზღვრებს, ანუ – როგორც კი გასცდა იგი სისტემა სამყაროს (ენა, მამული სარწმუნოება) და, მაშასადამე, – ეკონომიკურ პოლიტიკაში, იგნორირებულიქნა რა ერის თვითშემოქმედების სულიერ-მატერიალური ბაზის მთლი-

1 გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ეკონომიკა“ №9-10, 2012.

2 ი. სტალინი, „სოციალიზმის პრობლემები სსრ კავშირში“, თბილისი, 1949 წ.

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ანობა, მაშინვე, საზოგადოებრიობა (ადამიანი, ერი, კაცობრიობა) უკვე წინააღმდეგობრივი, ომების შემოქმედი, ანუ არაკეთილმოაზროვნე, თვითგამანადგურებელი – ანტისულიერი – არსება გახდა. ეს ბუნებრივია. როგორც ეს „ლაზარეში“ იკითხება, სამყარო-ოთხყარო, არის რა ერისა და ქვეყნის თვითგანვითარებისათვის ასტრო-ფიზიკურად გაპირობებული სულიერ-მატერიალური ბაზა, იმავდროულად არის, სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი პოლიტიკური ეკონომიკური სუბიექტის, შემოქმედების ბაზაც და აქედან გამომდინარე არის იგი პოტენციალური მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური სუბიექტიც, ე.ი. საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის ცენტრიდანული შემოქმედიც¹.

სახელმწიფომ, ადამიანზე მატერიალისტური იდეოლოგიით ზეგავლენის კვალობაზე გაარღვია რა ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრები, მიითვისა თავად ადამიანების კატეგორიებად (მდიდრები-ღარიბები, მესაკუთრეები-მუქთამჭამელები, დასაქმებულები – უმუშევრები და ა.შ.), – ანტისოციალური და ანტიდემოკრატიული პრინციპებით დაყოფის უფლება; მან მოსახლეობის რიცხვის არაუმეტესი, 10 პროცენტის ნება-სურვილით, დანარჩენი 90 პროცენტის ნება-სურვილის დაპყრობა, მართვა-დამორჩილება გადანყვიცა (მიაღწია!); სამაგიეროდ, – სწორედ ამ დროს, საქართველოში ახალი **სიტყვის** – „ლაზარეს“ ბაზაზე მოძიებულ იქნა ამ კრიზისიდან გამოსვლის მშვიდობიანი (პოლიტიკურ-მეცნიერული) გზა, რომელიც სოციალური და საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარების დონის მორიგ, 2000 წლიან ეტაპობრივ ამადლებზე არის ორიენტირებული; – მოძიებული იქნა „ლაზარე“ – ინფორმაციული წყარო, რომლისგანაც ირკვევა (გამოკვლეულია) სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციისა და საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის ოთხყაროთი განსაზღვრულობა და ამ სისტემის არამატერიალისტურად (სულიერი ფასეულობების პრიორიტეტი) წარმართვის დროულობა; გაცნობიერებულია ამგ-

¹ საქართველო-ოთხყარო, როგორც დედამიწის კონკრეტული, 12 რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებული, ქართული, სოციალურ-მატერიალურად ბალანსირებული რესურსების ერთიანი ბაზა და, შესაბამისად ამ ტერიტორიაზე სოციალურ-ეკონომიკური ბალანსის დროში უწყვეტად შემოქმედების ტერიტორიული სივრცე, ჩვენ განხილული გვაქვს ჟურნალში „ეკონომიკა“ №7-8, 2012. გვ. 33-40.

ვარი წარმართვის ორგანიზების ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მისია.

„ლაზარე“-ში გამოიკვეთება მეტადრე, **დროის**, როგორც ეროვნული-თვისგანვითარების რესურსის, სწორად გამოყენების სახელმწიფოებრივი ფუნქციური დანიშნულება, ასევე, შრომის ორგანიზაციაში „ლაზარეს“ სოციალური კანონზომიერების მოთხოვნების შესაბამისი, ახალი ძირითადი (არამატერიალისტური) მიმართულებისა და კონკრეტული, უმთავრესი აქცენტების დანერგვის აუცილებლობა; გამოკვლეულია, რაც არსებითია, ამგვარი აქცენტების მეცნიერული გააზრების თვალსაზრისით, შემდეგი სოციალური და საზოგადოებრივი განსაზღვრულობები:

– ქვეყანაში საზოგადოებრივი ურთიერთობების მშვიდობიანობის სტაბილურად უზრუნველყოფა არის ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის ტენდენციის შენარჩუნების განმსაზღვრელი სახელმწიფოებრივი საქმიანობა;

– ადამიანის (გვარი, ტომი, ერი) კეთილგონივრული უნარ-ჩვევების განვითარება, რაც ეროვნული მეცნიერული პროტენციის გამდიდრებისა და საზოგადოებაში მშვიდობიანობის საფუძველია, არის ამ ქვეყანაში ეროვნული ერთსულოვნების დომინირების ბუნებრივი ნყარო; ანუ, იგი ქვეყანაში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ეტაპობრივ საფეხურებად ზრდაზე და ამ უკანასკნელის დაგეგმვაზე ორიენტირებული სახელმწიფოებრივი საქმიანობაა;

– ქალიშვილობის ინსტიტუტი არის რა ადამიანი-მოზარდის – ბიჭუნების, გოგონების – სოციალურ დანიშნულებასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, სულიერი ჯანმრთელობის დაცვა-შენარჩუნების სამსახური, არის ზოგადად ადამიანებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობების შემოქმედების, ერის მემკვიდრეობითობის უწყვეტობისა და, მაშასადამე, ერის, კაცობრიობის სულიერი ჯანმრთელობის შენარჩუნების საფუძველი; შესაბამისად, იგი ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დაცვისა და დაგეგმვის ორგანიზების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სამსახურია.

– საერთაშორისო ურთიერთობები არის ქვეყანაში ადამიანის ეროვნული სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების დაკ-

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

მაყოფილებაზე, ადამიანის ცნობიერების მეცნიერულ განვითარებაზე, მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდაზე ორიენტირებული სახელმწიფოებრივი სამსახური. იგი არის ერებს შორის მშვიდობიანი ეკონომიკური სულიერ-მატერიალური ურთიერთობების „ლაზარეს“ სოციალური კანონზომიერების მიხედვით ორგანიზების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სამსახური, რომელიც, თავისთავად, საწყისი ეტაპია გეოპოლიტიკის ცენტრიდანული პირამიდული ორგანიზაციამართვის საქმეში.

– ქვეყანა-სახელმწიფო არის მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური სუბიექტი. იგი, იქმნება რა სისტემა ოთხყაროს (დრო, მამული, ენა, სარწმუნოება) სივრცეში, არის ამ სულიერ-მატერიალური ბაზის (ოთხყაროს) მემკვიდრე-მესაკუთრე; ანუ იგი განკარგავს ამ ბაზას, საიმისოდ, რათა დედამიწის ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე დამოუკიდებლად განახორციელოს ახალი 2000 წლეულის დამდეგს, სწორედ ამ ახალი დროის შესაბამისი (ამჯერად, – არამატერიალისტური) სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის შემოქმედებამართვა;

– ეროვნულ-დემოკრატიული სახელმწიფოებრივი თეორია არის დედამიწაზე სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობის 2000-წლიან პერიოდებად შენარჩუნება-გახანგრძლივების საქმიანობის მშვიდობიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაციის იდეოლოგიური საფუძველი, რომელიც საზოგადოებრივი მეცნიერულ-თვალსაზრისით არის დასაბუთებული. უზენაესი კანონის – „ლაზარეს“ მიხედვით.

დღევანდელ საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ძალადობა თავისი ქვეყნის მოსახლეობასთან მიმართებაში, აშკარად იყო განხორციელებული მიმდინარე წლის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საარჩევნო მართონზე; აქ ძალადობის დასაფარავად კარგად იყო გამოყენებული ფარული კენჭისყრის წესი. ხელისუფლებამ, ამომრჩევლის აზროვნება წარმართა რა არა მეცნიერების მემკვიდრეობით განვითარებაზე დაყრდნობით, არამედ ადამიანების ემოციების მართვის წესებით, მოახერხა ამომრჩევლის ყურადღების არაარსებით საზოგადოებრივ მოვლენებზე გადატანა და ამ გზით (მოტყუების გზით) ოფიციალურად მიღებუ-

ლად გააფორმა, ადამიანისა თუ ქვეყნის თვითგანვითარების ისეთი გეგმა-პროგრამები, რომლებიც გვერდს უვლიან (იგნორირებულს ხდიან) ამომრჩევლისათვის საძიებელ ძირითად საზოგადოებრივ მოთხოვნილებას, ქვეყნის თვითგანვითარების სოციალური მოთხოვნის აღსრულების თვალსაზრისით. უფრო კონკრეტულად: სახელმწიფო ხელისუფლების დიდი ძალისხმევით, ჩვენი ამომრჩეველი, დღეს მოკლებულია ინფორმაციას, მაგალითად, იმის შესახებ, თუ რატომ განუდგა ამ არჩევნებს ქვეყანაში რიგი პოლიტიკური სუბიექტებისა, ან/და, რითი გამოირჩევა პოლიტ. გაერთიანება „ახალი სიტყვა“-ს სამუშაო გეგმა თუ პროგრამები სხვა პოლიტ. სუბიექტების მხრიდან შემოთავაზებულებისაგან? ან/და, – რატომ განაცხადა ამ გაერთიანებამ უარი ამ არჩევნებში მონაწილეობაზე?!

ან კიდევ, – ჩვენი პოლიტიკოსები, რომლებსაც მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ ამ საქმეში, და რომლებიც მონაწილეობენ ამ (მიმდინარე წლის) არჩევნებში, რომლებიც თავიანთი პოზიციური თუ ოპოზიციური საარჩევნო პროგრამებით ორიენტირებულები არიან სამოქალაქო საზოგადოებისა თუ ერთაშორისი ინტეგრაციის ორგანიზებაზე ჩვენს ქვეყანაში, რატომ არ ახსენებენ ამ პროგრამებში ერს და ქვეყნის ეროვნული თვითგანვითარების იდეოლოგიას?! მეტიც, იბადება კითხვა: თუ კი ამ „პოზიციასა“ და „ოპოზიციას“ შორის იდეოლოგიური სხვაობა არ არის და ორივე ემხრობა ამ ხსენებულ იდეოლოგიას (ინტეგრაცია), გაუგებარია, ვის და რას ემსახურება ამ ინტეგრირების მომხრეთა ორად გახლეჩა და ამ ორს შორის თავგამეტებული ურთიერთგამანადგურებელი დაპირისპირება, რომელსაც ქვეყნისათვის მხოლოდ შიდა აშლილობა, ადამიანების ურთიერთშორის უნდობლობა, ერის (ქვეყნის, სახელმწიფოს) თვითგანადგურება მოაქვს. საკითხავია, – როცა სახეზეა აქ წარმოჩენილი სოციალური დაძაბულობის სახით, ქვეყანაში ხსენებული, ინტეგრირების იდეოლოგიაზე აგებული, ე.წ. სახელმწიფოებრივი რეფორმების ნაყოფი, რატომღა უნდა გაგრძელდეს იგივე იდეოლოგიური კურსი? – ხომ ბუნებრივია, რომ ეროვნული იდეოლოგიით ხელმძღვანელობა – შრომა და გარჯა – სისხლისმიერი მოთხოვნილებაა, ზოგადად, ადამიანისათვის და, – რახან ეს ჩვენი თანამემამულეები არ ახსენებენ ამ იდეოლოგიას,

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

და ერისა და ქვეყნის სხვებთან ინტეგრირებისათვის იბრძვიან მხოლოდ, მაშასადამე, მათზე ზემოქმედებს სხვა, არაბუნებრივი, ანტიადამიანური, ანტიმემკვიდერობითი ძალა, რომელიც ქვეყანაში ამ რეფორმების სახით, იურიდიულად არის დაკანონებული. როგორც ჩანს, ამ ადამიანებს მატერიალისტური **დამოკიდებულებები** სწორედ ამ ძალასთან მიმართებაში, აიძულებთ, კაპიტალიზმის ყველა შესაძლებელი გზით დაუფლების კვალობაზე, პიარავტორიტეტის მოპოვებისა და თვითგამორჩეულობის მოძიების ფასად, მიაჩუმათონ ამ არჩევნებზე ქვეყნის თვითგანვითარების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია; რამეთუ, ცხადია, (და ეს მათ იცინან), რომ მეურნეობრივი დარგისა თუ, ამათუ იმ კონკრეტული ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები, ვთქვათ: დასაქმების, პენსიების, ბიზნესის, ასევე სამედიცინო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და, ა.შ. მიმართულებით საქმიანობების, ან კიდევ, ზოგადად, არსებული ეკონომიკური სტრუქტურისა თუ მთლიანად პოლიტიკური სისტემის ხელისშეწყობისა და, მსგავსი სხვა, ასე ვთქვათ, ყოველდღიური და ფრაგმენტული საქმიანობები, (რაც ამ ბატონების თაოსნობით შექმნილი საარჩევნო სუბიექტების პროგრამებშია გამოკვეთილი, ან/და, რაც იკითხება მათი ე.წ. სლოგანებით), არის, თავისი არსით, გვერდის ავლა იმ მთავარი საკითხისადმი, რასაც ჰქვია ერისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურად განვითარებული სტაბილური თვითგანვითარება, რომელიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ადამიანის (ერი, კაცობრობა), ე.ი. სახელმწიფოს, საარსებო დანიშნულებაა. ხოლო თუ კი ერმა და სახელმწიფომ ამ დანიშნულებაზე უარი უნდა ვთქვათ, – ეს უკვე არის ქვეყნისა და, შესაბამისად დედამიწის სოციალურ-ეკონომიკურ ბალანსირების საქმეზე უარის თქმა?!

ასე, რომ ეროვნული იდეოლოგიის როგორც, სახელმწიფოებრივობის თეორიული საფუძვლის, ამ საარჩევნო მარათონზე არ გამოტანა (მიჩუმათება, იგნორირება) არის ცხადია, ქვეყნისა და შესაბამისად, მთლიანად დედამიწის თვითგანადგურებისაკენ სვლა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ბალანსის შენარჩუნება დღევანდელი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამოცანაა. მისი განხორციელება, ე.ი. მემკიდრეობითობის სოციალური მოთხოვნის დედამიწაზე დაცვა, „ლაზარეს“ შესაბამისად განსაზღ-

ერულ მორიგ ეტაპობრივ შემოწმებას, გადის ორიათასწლეულების გასაყარზე. ე.ი. ადამიანებმა, ეროვნებებმა და მთელმა კაცობრიობამ აღნიშნული ბალანსირებისა და მემკვიდრეობითობის პროცესი-საქმიანობა 2000-წლიანი პერიოდულობით, სტაბილურად უნდა დაიცვან, ხოლო ახალ ორიათასწლეულში გარდამავალ პერიოდში, მათ ეს პროცესი-საქმიანობა თავ-თავის სამშობლოში უნდა განახლონ. უფრო სწორად, უნდა განახლონ იგი ყოველმა ადამიანმა (ერმა) თავისი, ან/და თავისთვის სამკვიდროდ არჩეული ქვეყნის ტერიტორიაზე – თავის ქვეყანა-ოთხყაროში. აქ უნდა აღასრულოს თავისი ეროვნული მისია ადამიანმა ყველა დანარჩენ სოციალურ-სტრუქტურულ ერთეულებთან (გვარი, ტომი, ერი, კაცობრიობა) ერთად, მშვიდობიანი თანაცხოვრებისა თუ საქმიანი ურთიერთობების პირობებში.

საგულისხმოა, რომ თუ კი კონკრეტული ადამიანი მისი სიცოცხლის (ვთქვათ, ასი წელი) მანძილზე, არის თავის ქვეყნის მკვიდრი, მაშასადამე, მისგან გამომდინარე დანარჩენი სტრუქტურული ერთეულების (ოჯახი, გვარი, ტომი, ერი) ამ ქვეყანაში დამკვიდრება არის უკვე ის პროცესი, რომელიც, სულ ცოტა, 400 (4X100) – წლიანი ეტაპობრივობით (ოთხი სტრუქტურული ერთეული) მზარდი პერიოდულობით გამეორებადი თაობების თვითგანვითარების საქმიანობას მოიცავს. ეს საქმიანობა კი, რომელიც 2000 წლიანი ხანგრძლივობით (ე.ი. 400X5), სტაბილურად უნდა ვითარდებოდეს, გულისხმობს იმას, რომ სწორედ, ქრისტიანული წელთაღრიცხვის ყოველი 2000 წლეულის გასაყარზე დამდეგი 5-წლიანი პერიოდისათვის, ქვეყანაში (ამ შემთხვევაში საქართველოში) ორგანიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების არჩევნების საარჩევნო პროგრამებში, მომავალი 5 წლის განმავლობაში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ბალანსის სტაბილურად დაცვაზე გათვლილი გეგმა-პროგრამები უნდა წარმოჩინდეს თვალსაჩინოდ და გამოკვეთილად.

ზემოთწარმოჩინებული სოციალური მოთხოვნის, ე.ი. ადამიანის სოციალური ბუნების ძალის, ძლიერება საზოგადოებასთან, ერთან მიმართებაში, დღეს პრაქტიკულადაა გამოაშკარავებული ქართველი კაცის სულიერი ტკივილების სახით: ამ ბუნების მოთხოვნის, ე.ი. ეროვნული სულიერ-მატერიალური მოთხოვნილებების,

პონომოვი თეორიის თანამედროვე პრობლემატიკა

თაობათა 20 მოდემის (20X100=2000) პოზიციიდან გააზრებულად წარმოჩინების, როგორც სახელმწიფო ამოცანის, სრული იგნორირება, რაც საქართველოში დღევანდელ საარჩევნო მართონზე ძალადობრივად (ახალი სიტყვის შესახებ ინფორმაციის ბლოკირების პირობებში) განხორციელდა, განაპირობებს იმ დაუსრულებელ წინააღმდეგობებს რომლის გამოც ეს არჩევნები სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით, უკიდურესად დაძაბული იყო. იგი, თავისი ხასიათით, ქვეყანაში სამოქალაქო ომის სამზადისს უფრო ჰგავდა, ვიდრე სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ, რაიმე დემოკრატიულ, ე.ი. საზეიმო, ღონისძიებას; ამასთან, ამგვარი დაძაბულობა აშკარა ასევე არჩევნების შემდგომ პერიოდშიაც, ახალი ხელისუფლების უმრავლესობა-უმცირესობას შორის, ე.ი. ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ინტეგრაციის პოლიტიკური კურსის (გლობალიზაცია) მიმართ ეროვნული წინააღმდეგობები გაპირობებულია იმითი, რომ ეს არჩევნები თავისი ორგანიზებულობითა და ახლა უკვე შედეგებით, ორიენტირებულია ქართული ეროვნული მემკვიდრეობითობის მოშლაზე. პირდაპირ თუ ვიტყვით: ჩვენმა ხელისუფლებამ, მოახდინა რა ქვეყანაში უზენაესი კანონის „ლაზარე“ შემეცნება-გაცნობიერების თვალსაზრისით, ქვეყნის ბეჭდვით სიტყვაში არსებული მეცნიერული ინფორმაციის და ზოგადად ახალ სიტყვასთან დაკავშირებით, ყველა საჭირო მასობრივი ინფორმაციის ბლოკირება, გამორიცხა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მომზადების საქმეში ღრ(“) (2000 წლეული); გამორიცხა მან იგი, როგორც ძირითადი განმსაზღვრელი (დიქტატორი) ადამიანური ქცევისა, – გამორიცხა ის, რომ ადამიანის (ამ შემთხვევაში ქართველი ერის), მისიაა – დაიცვას სწორედ, დღლის შესაბამისი სოციალური მოთხოვნებიდან გამომდინარე, თავის ქვეყანაში და შესაბამისად, დედამიწაზე (ასტრო-ფიზიკური სხეული), სოციალურ-ეკონომიკური ბალანსი; – დაიცვას იგი სტაბილურად, 2000 წლის მანძილზე და შემდგომ უწყვეტად. ე.ი. ამ ხელისუფლებამ ვერ ირწმუნა ახალი სიტყვა და, იგი, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში 18 წლის მანძილზე სახელმწიფოებრივად დაყენებულია სათანადო საზოგადოებრივი მოთხოვნილებები, არ გაისარჯა ამ ახალი სიტყვის შემეცნება-გაცნობიერების სახელმწიფოებრივი ამოცანის შესრულებისათვის; მან ვერ ირწმუნა და არც

შეისმინა ის, რომ დედამიწაზე ადამიანი ამგვარი კეთილგონიერების შემოქმედია, – რომ ადამიანი საზოგადოებრივი თვითშეგნების მატარებელი და დამცველი არსია, ხოლო სახელმწიფო მისი ყველა ძალაუფლებით, მხოლოდ ადამიანის ამ მისიის აღსრულებას უნდა ემსახუროს.

საზოგადოებრივი მეცნიერება სოციალურის შემადგენელია. პირველი, სწავლობს რა საზოგადოებას, როგორც სოციალურ წარმონაქმნს, ეუფლება ქვეყანაში ადგილობრივი დადებითი და უარყოფითი სოციალური ენერგიების ძალთა მოძრაობის „ლაზარეში“ წარმოჩინებულ სოციალურ კანონზომიერებებს, ამ ბაზაზე არკვევს სხეულის მიზიდულობა-განზიდულობის ზოგადი ფიზიკის კანონის შესაბამისად, ქვეყნისა თუ დედამიწის სოციალურ-ეკონომიკური ბალანსირების კონკრეტულ სოციალურ მოთხოვნებს; – არკვევს ჩვენი პლანეტის ასტრო-ფიზიკურ სივრცეში განონასწორებულობის დაცვის საზოგადოებრივი ორგანიზაციის კანონებს. ეს ყველაფერი, გულისხმობს ახლად აღმოჩენილი უზენაესი კანონის – „ლაზარე“ შემეცნებას, რომელიც, ამ ეტაპზე, საქართველოსგან მოითხოვება.

ფაქტია კი ის, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად თითქოს უკვე გაამართლა ქვეყნის სახელმწიფოებრივ საქმიანობაში საზოგადოებრივი პოლიტ-ეკონომიკური მეცნიერების ეროვნულ დემოკრატიული თეორია- იდეოლოგიის იგნორირების პოლიტიკურმა სტრატეგიამ; ამ უკანასკნელმა, რომელიც დღევანდელ საქართველოში მსოფლიო პოლიტიკური კურსის (გლობალიზაცია) მიხედვით განხორციელდა და, რომელმაც ამგვარი გამართლების პრეცედენტი დააფიქსირა, პირამიდის (დედამიწა) წვეროდან ანუ ცენტრისკენული დიქტატით მართვის გეოპოლიტიკას ეფუძნება და, გულისხმობს თავად პირამიდის შრეებში (ქვეყნები) ადამიანური აზროვნების იგნორირებას. ამ კურსის მიზანია ქვეყნებში და კონტინენტებზე ადგილობრივი მაცხოვრებლები-სათვის სოციალურად განსაზღვრული ეროვნული უფლებების თავმოყრა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ხელში და, ფარული დიქტატით (ზრახვა), ამ უფლებების მითვისება-დაპყრობა. დღევანდელ საქართველოში ამ არჩევნების შედეგების სახით, ეს მიზანი, ნაწილობრივ, მიღწეულია; ანუ, ამგვარად, – ქართველი

პონომოვი თეორიის თანამედროვე პრობლემები

კაცისათვის აზროვნების თავისუფლების პირობების გვერდის ავლით – ამ არჩევნებში იგნორირებულია ალტერნატიული გეოპოლიტიკა; – იგნორირებულია ცენტრიდანული გეო-პოლიტიკა, რომელიც იკითხება ახლად აღმოჩენილ, უზენაეს კანონში – „ლაზარე“ და, რომელიც (კანონი), საქართველოში [თუნდაც ერთი ავტორისა და მისი მკითხველების (ჟურნალი ეკონომიკა 2004-2012 წწ.) მიერ] უკვე შემეცნებულია და გაცნობიერებულია კიდევაც; – ამასთან, რაც არსებითია გაცნობიერებულია რა ეს კანონი, გამოკვლევები ამ კანონის კონკრეტული სოციალური მოთხოვნების თაობაზე, დაინტერესებული მკითხველისათვის ხელმისაწვდომად გამოქვეყნებულია საერთაშორისო პერიოდიკაში (ჟურნ. „ეკონომიკა“).

აღნიშნული ალტერნატიული – ცენტრიდანული – გეოპოლიტიკა, განსხვავებით ცენტრისკენულისაგან, მოითხოვს ობიექტის (დედამინა, ქვეყანა, რეგიონი) ცენტრიდან მართვას; იგი მოითხოვს დედამინის კონტინენტებზე, ქვეყნებში, ქვეყნის შიგნით, ადგილობრივი მაცხოვრებლების თავისუფალი აზროვნებისათვის პირობების სახელმწიფოებრივად უზრუნველყოფის ფონზე, თვითგანვითარებადი ეროვნულ-დემოკრატიული სახელმწიფოებრივობის ორგანიზაციასა და, ამ ბაზაზე, მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შემოქმედებას; ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების ცენტრისკენული მართვის გეოპოლიტიკური მიზანი, რომელიც ფარული ზრახვებით ქვეყნის ხელისუფლებაზე ზემოქმედების გზით, აღნიშნული არჩევნების შედეგად დაფიქსირდა საქართველოში ხელოვნურად (ხელისუფლების მიერ ინფორმაციის ბლოკირება), იყო სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების ანტიდემოკრატიულად რეალიზების აქტი. ამ აქტისაგან ქვეყნის დაზღვევა, ცხადია, შესაძლებელი იყო, თუნდაც, მხოლოდ ჟურნალი „ეკონომიკის“ მიხედვით უკვე 2004 წლიდან გამოქვეყნებული, შესაბამისი პუბლიკაციების საჯაროდ განხილვა-გაანალიზების კვალობაზე; მაგრამ ასე არ მოხდა. შედეგად კი მოხდა ის, რომ – პოლიტიკური ცხოვრება (პრაქტიკა) საზოგადოებრივ მეცნიერებას გაემიჯნა, ადამიანის განადგურება სახელმწიფოებრივ სისტემაში მოექცა და, შესაბამისად, ამ სისტემის განახლების გარდაუვალობა აშკარა გახდა.

პოლიტიკური მეცნიერებისაგან პრაქტიკის გამიჯვნა რო-

გორც ადამიანის ეროვნულ-დემოკრატიული უფლებების მიტაცების პოლიტიკა, სახელმწიფოებრივობის პრაქტიკაში, ზემოხსენებული, ცენტრისკენული პოლიტიკური კურსის მიხედვით განხორციელდება თანმიმდევრულად; განხორციელდება იგი: პროფესიონალების (პოლიტიკურ-ეკონომიკურ მეცნიერებას დაუფლებული კადრები) ოლიგარქებით ჩანაცვლებით, ეროვნული კადრების შერეული გენის მატარებელი კადრებით შეცვლის, ხელისუფლებაში სუსტი სქესის წარმომადგენელთა ინტენსიურად დანინაურება-დასაქმების, აქ დასაქმებულთათვის კომპრომანტების შექმნის კვალობაზე ან/და, ზოგადად კომპრომატების მქონე პირთათვის პიარ-ავტორიტეტების (ცრუ ავტორიტეტი) შექმნის პრინციპების დაკანონების ნიადაგზე და, აქედან გამომდინარე, მოსახლეობაში უნდობლობისა და არაკეთილგონივრული აზროვნების განვითარება -დანერგვის გზით. ამჯერად კი, საქართველოს ხელისუფლების მიერ მომზადებულმა არჩევნებმა ამ არასრულ ჩამონათვალს შეჰმატა მორიგი, საქართველოს არამოქალაქის დროებით (სამი წლის ვადით!) ხელისუფლებაში დანინაურების პრეცედენტიც; ეს ყველაფერი და ბევრი სხვა, რომლებიც უპირისპირდება ლაზარეს სოციალურ მოთხოვნებს, ინვესტს ერის, როგორც სოციალური თუ საზოგადოებრივი წარმონაქმნის, და, მამასადამე, ქვეყნისათვის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ფუნქციის მოშლას; ეს ღონისძიებები და, აქედან გამომდინარე, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის შექმნილი საარჩევნო გარემო გახდა მიზეზი იმისი, რომ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება „ახალი სიტყვა“, რომელმაც თავიდანვე თქვა უარი ამ არჩევნებში მონაწილეობაზე, კვლავ (ამ არჩევნების დასრულებისთანავე) განაგრძობს ბრძოლას ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის – ქართული ეროვნული სახელმწიფოს თვითგანვითარების ახალი 2000 წლეულით გახანგრძლივებისათვის!; – „ჩვენ არ გვეთმობა ჩვენი მამული“ – განაცხადა ერის გასაგონად „ახალი სიტყვის“ პოლიტიკურმა საბჭომ, ჯერ-კიდევ, არჩევნების წინა პერიოდში? მიგვაჩნია, რომ დამდეგი 2000-წლეულების გასაყარზე ქარ-

- 1 იხ. გაზ. „ძველი-ახალი სიტყვა“ №16 (143), 2012.
- 2 გაზ. „ძველი-ახალი სიტყვა“ №12, 2012.

პონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

თული სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე მდგარი კონკრეტული ამოცანა – ახალი დროის შესაბამისად სახელმწიფო სისტემის შეცვლა, როგორც ახლად აღმოჩენილი უზენაესი კანონის სოციალური განსაზღვრულობა, უნდა აიძულებდეს ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ხელისუფლებას, აღარ დააყოვნოს და წარმოაჩინოს ერისა და ქვეყნის წინაშე გამოკვეთილად, სწორედ, პ.გ. „ახალი სიტყვის“ სამუშაო გეგმა-პროგრამები; ხელისუფლებამ უნდა მისცეს ამ ორგანიზაციას შესაძლებლობა, სათანადო მასობრიობით და საჭირო დეტალებით გააცნოს თავისი ეს გეგმა-პროგრამები მთავრობასა თუ ამომრჩევლებს; რამე თუ ამ უკანასკნელს კი არ წაერთვას კონსტიტუციური უფლება, არამედ, შეექმნას პირობები ეზიაროს „ლაზარე“ – ახალ სიტყვას და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთოს თავისი არჩევანი ხელისუფლების სახელმწიფოებრივ არჩევნებზე;

ბუნებრივია, რომ ახალი სიტყვა – „ლაზარე“-ს აღიარებაზე უარი ხელისუფლებამ პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, ასევე საჯაროდ უნდა გამოიტანოს, ცხადია, სათანადო მეცნიერული დასაბუთებულობების საფუძველზე. ხოლო პასუხისმგებლობა რომელზედაც აქ არის საუბარი, შეეხება არა მხოლოდ ქართული ეროვნული ცნობიერების უწყვეტობის შენარჩუნებას, არამედ, რაც არანაკლებ საგულისხმოა, შეეხება იგი ჩვენი ხელისუფლების პასუხისმგებლობას დანარჩენი (ლაზარე – ენის არმცოდნე) კაცობრიობის წინაშე; რამე თუ მათთვის სათანადო თანმიმდევრულობის დაუცველობის პირობებში, კანონი – „ლაზარეს“ შემეცნებისა და მასთან შესაბამისობით თვითგანვითარების საქმიანობის აღსრულება მშობლიურ ქვეყნებში, ცხადია, იქნება პრობლემური; ანუ, – აქ საუბარია ქართველი ერის პასუხისმგებლობაზე იმ საქმიანობაში რასაც ჰქვია კაცობრიობის თვითშენარჩუნება და, მაშასადამე, – ჰქვია დედამიწის სოციალურ-ეკონომიკური ბალანსის დაცვა, – ჰქვია ახალ 2000 წლეულში დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის შენარჩუნება.

სხვა სიტყვებით: უზენაესი კანონი-„ლაზარე“; დღეიდან, როცა დედამიწაზე ახალი 2000-წლეული დაიწყო, ამ 2000-წლეულის ადამიანებისაგან მოითხოვს თვითშემეცნება-თვითრეალიზაციას, ეროვნული მისიისა და სახელმწიფოებრივობის სოციალურ-ეკო-

ნომიკური დანიშნულების შემცნება-გაცნობიერების ნიადაგზე. ეს მოთხოვნა, რომელიც ამ ეტაპზე, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებამ პირველმა უნდა გაითავისოს, დანარჩენი კაცობრიობისათვის ხელმისაწვდომი და შემცნებადი მანვე უნდა გახადოს დამოუკიდებელი საქართველო სახელმწიფოს შემოქმედებისა და ორგანიზაცია მართვის ნიადაგზე*.

*** მინანერი:** ძვირფასო მკითხველო მოგეხსენებათ, კვლევითი ნაშუქვრებით რომელსაც გასული 10-14 წლის მანძილზე უწყვეტად მე, **დაჟინებული მოთხოვნით**, ჟურნალ ეკონომიკაში გამოქვეყნებულ სტატიებში თანმიმდევრულობით გადმოვცემ, ვემსახურები საზოგადოებრივი მეცნიერების პოზიციიდან ახალი სიტყვის შემცნება-გაცნობიერების საქმეს. ამ კვლევის შედეგად დღეისათვის უკვე გაცნობიერებული მაქვს, რაც ამჯერად, არებითია, შემდეგი სიახლე: 1. ახალი სიტყვა იგივე, უზენაესი კანონი – ლაზარეა; 2. მისი ამ პოზიციიდან შემცნება-გაცნობიერება, რაც უნდა განხორციელდეს დედამინაზე ამ კანონის მიხედვით, დამდეგ 2000 წლეულში გარდამავალ პერიოდში, მოითხოვს ღმერთის (ლაზარე) ფლობას და, მაშასადამე, იგი (შემცნება-გაცნობიერება) დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივ ამოცანას წარმოადგენს; 3. ეს საქმიანობა თავისთავად, უკვე არის დედამინაზე ოდესღაც ღმერთის საკაცობრიო ფუნქციის მქონე **ლაზარესათვის** ამ (საკაცობრიო) დანიშნულების აღდგენის პროცესი; ანუ ეს არის ოდესღაც ნავარაუდევი, „ლაზარეს აღდგინების“ პროცესის დაწყება და, 4. ამ ამოცანის გადაწყვეტა (არის რა იგი თავად „ლაზარეთი“ განსაზღვრული სოციალური აუცილებლობა) ქართველი ერის სიცოცხლის (თვითგანვითარება) ახალი 2000 წლეულით გახანგრძლივების განმსაზღვრელი ობიექტური პირობაა.

მოკლედ, მოკვლეულია ის რომ ასტრო-ფიზიკურ სისტემაში დედამინის ურთიერთობებს განაგებს უზენაესი კანონი - „ლაზარე“ და ამ კანონის შემცნება-გაცნობიერების საქმე, ამ ეტაპზე მოითხოვს საქართველოს ეროვნულ-ერთიანობასა და სათანადო სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების მიღებას.

საგულისხმოა, რომ ჩემი ეს კვლევა და მისი შედეგების გამოქვეყნების საქმე ეფუძნება მხოლოდ ჩემს მცირე საპენსიო შემოსავალს, ამასთან ერთად, – რომ ჟურნალი „ეკონომიკა“ წელიწადში ექვსი ნომე-

პირობიკური თეორიის თანამედროვე პრობლემატიკა

რი) ვრცელდება მხოლოდ გამოწვევით – ხელმომწერებისათვის განსაზღვრული ტირაჟით; აქ განსაკუთრებული პოზიტივი ამ შედეგების შესახებ ფართო მკითხველისათვის ინფორმირების თვალსაზრისით, იმთავითვე არის განსაზღვრული ამ ხელმომწერი-მკითხველისათვის; თუმცა, (რაც მათს არაგულწრფელობაზე მეტყველებს), ეს უკანასკნელი თავის მხრივ, ამ დაჟინებული მოთხოვნით გამოქვეყნებულ სტატიებს, ჯერ-ჯერობით მაინც, დუმილით პასუხობს (არ ეხმაურება). ამ ყველაფრის შედეგი, (ე.ი. მეცნიერების ფინანსური და ინფორმაციული შეზღუდვა, მკითხველის აქტიურობის გამორიცხვა), რაც არაერთგულ-დემოკრატიული პოლიტიკურ-ეკონომიკური ტაქტიკის ნაყოფია, დღეს უკვე დაფიქსირებულია მიმდინარე წლის სახელმწიფოებრივი არჩევნების შედეგებში. კერძოდ, საარჩევნო მართონზე და არჩევნების შედეგებში, რომ უნდა ასახულიყო, რაც მთავარია, ამომრჩევლის მიერ 2000 წლეულის გასაყარზე დაფიქსირებული თავისი ქვეყნის თვითგანვითარების ეროვნულ-პოლიტიკური ნება (ანუ, ერთის მხრივ, ნატოსთან საქართველოს ინტეგრაციის მომხრეებსა და, მეორეს მხრივ, ამგვარი ინტეგრაციის მოწინააღმდეგე ამომრჩეველთა რიცხვებს შორის სხვაობა), არ აისახა, – ეს მთავარი კითხვა რასაც ახალი დრო მოითხოვს, უპასუხოდ დარჩა!

ძვირფასო მკითხველო როგორც მკვლევარმა, უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ, ვინაიდან გაერთიანება „ახალი სიღყვის“ თაოსნობით მიმდინარე ეს საქმე – „ლაზარეს“ შემეცნება-გაცნობიერება – ეროვნულია, მისი აღსრულებაც ყველა ჩვენთაგანის – ამ ახალი დროის სრულწლოვანი ქართველის – გულწრფელობას დაეფუძნება მხოლოდ. რამეთუ გულწრფელობა, როგორც ლაზარედან იკითხება, არის ადამიანის ის სულიერი განონასწორებულობის გამოხატულება, (გულისცემის ნორმალური რიტმი), რომელიც ასტროფიზიკურ სივრცეში თავად დედამიწის განონასწორებული მოძრაობის რიტმის შესაბამისია (ე.ი. ამ შესაბამისობის დამცველია).

გთავაზობთ: ვისარგებლოთ ქვეყანაში სახელმწიფოებრივად დაშვებული კონკრეტული დემოკრატიული უფლებით და გავიღოთ შესაძლებლობის ფარგლებში, სპონსორობის ან/და ჩემს ანგარიშზე № GE60LB2620040545060431 „ლიბერთი ბანკში“ ჩარიცხვის წესით, თუნდაც, მცირედი თანხა მიზნობრივად – „ლაზარეს“ შემეცნების (კვლევის, პუბლიკაციების, წყარო-ლიტერატურის შექმნის) ხარჯების დასაფარავად. პატივისცემით, ეთერ თაკალანძე.

პერსონალის უსიქლოპია: ბარაბანი და შინაგანი მოტივაცია

სოფიკო მეგრელიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

ვლადიმერ ლლონტი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი

“ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა საორგანიზაციო თეორიაში, ესაა ურთიერთდამოკიდებულება სანარმოში პერსონალის ქცევასა და ანაზღაურებას შორის” (ლოულერი 1971)

ორგანიზაციების უმრავლესობა (უმეტესად ამერიკის შეერთებულ შტატებში) მომხრეა განახორციელოს “ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს ხარისხის მიხედვით”, რაც ასევე სამართლიანად მიაჩნიათ თავად დასაქმებულებს. სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ ურთიერთდაკავშირება სამუშაოს შესრულების ხარისხსა და ანაზღაურებას შორის ინვესს სამუშაოს ხარისხის ზრდას და განაპირობებს პერსონალის დაინტერესებას სამუშაოს შესრულების ხარისხის მიმართ, რაც სანარმოს შემოსავლების და მომხმარებლების ზრდას განაპირობებს.

ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს მიხედვით (**Pay for Performance, PFP**) წარმოადგენს ბონუსური ანაზღაურების ისეთ სისტემას, როდესაც შესრულებული სამუშაოს ხარისხის და რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება კომპენსაციის რაოდენობა, რომელიც გაიცემა პერსონალზე. ჭფულადი ჯილდოსა და ნახალების რაოდენობისა და მოცულობის განსაზღვრის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარეგანი მოტივაციის ეფექტური გამოყენება სანარმოს მენეჯმენტის მხრიდან პერსონალის შრომის სტიმულირებისა და მოტივაციის თვალსზრისით, თუმცა შინაგანი

პონოგიური თეორიის თანამედროვე პრობლემა

მოტივატორებიც არანაკლებ როლს ასრულებენ პერსონალის მოტივაციის მიმართულებით.

PFF მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით პოპულარული გახდა ბოლო წლების განმავლობაში, არამარტო კერძო კომპანიების და საწარმოების, არამედ სახელმწიფო ორგანიზაციების ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის და მოტივაციის მიმართულებით. ბევრი საწარმო ფიქსირებული შრომითი ანაზღაურებიდან გადავიდა PFF მეთოდზე და შრომის ანაზღაურება მთლიანად დაუქვემდებარა შესრულებული სამუშაოს ხარისხის მიხედვით დაწესებულ ფულად-სახელფასო განაცემებს. ამ მეთოდის დანერგვით საწარმოები ცდილობენ სამართლიანად დააკავშირონ შრომის ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და მოცულობასთან, რათა მოახდინონ სამართლიანი შრომის ანაზღაურების დემონსტრირება დასაქმებულ პერსონალს შორის. ჩგარეგანი მოტივაცია ამ შემთხვევაში გულისხმობს საწარმოების მზარდ დამოკიდებულებას ფასის ნახალისების პოლიტიკასთან, რაც სამართლიანი შრომითი ანაზღაურების მეთოდის დამკვიდრებას ითვალისწინებს ხარისხიანიად შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ.

მიუხედავად PFF მეთოდის პოპულარიზაციისა არსებობს გარკვეული გარემოებები, როდესაც ფულადი ნახალისება იწვევს შესრულებული შრომის ხარისხის დაცემას და არა მომატებას, როგორც ამას თეორია ითვალისწინებს. კომპლექსური სამუშაოს ანაზღაურების დროს მხოლოდ ფულადი კომპენსაციით ფოკუსირება პერსონალზე ვერ აღწევს მოტივაციის სასურველ შედეგს. კომპლექსური სამუშაო დამახასიათებელია ცოდნის და ჩვევების გამოყენებით მომუშავე საწარმოებისათვის, რომელიც დღეისათვის წარმოადგენს ეკონომიკის ერთერთ მზარდ სექტორს. ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს ხარისხის მიხედვით უფრო მისაღებია შედარებით მარტივი სამუშაოს შემთხვევაში, რასაც ვერ გამოვიყენებთ წარმატებულად გონებრივი და ინტელექტუალური სამუშაოს შესრულების ანაზღაურების დროს. კომპლექსური და მრავალდარგობრივი სამუშაოს შესრულების ანაზღაურების დროს უბრალო ფულადი ნახალისებები ვერ ჩაენაცვლება საწარმოში კარგი მენეჯმენტის არსებობას იმითვის, რომ იქ დასაქმებული პერსონალი იყოს მოტივირებული. მხოლოდ ფულზე დაყრდნობა

არ არის საკმარისი ადამიანების მოტივაციისათვის კომპლექსურ სამუშაოზე. წარმატებული მენეჯმენტი აუცილებლად იტოვებს არჩევანის თავისუფლებას სხვადასხვა ნახალისებებზე დასაქმებულთა მოტივაციის მიმართულებით, რაც გულისხმობს შინაგანი მოტივაციის ამაღლებას პერსონალში, დასაქმებულების აღიარებას და აღნიშვნას კარგად შესრულებული სამუშაოს შემდეგ.

შინაგანი და გარეგანი მოტივაცია ერთმანეთის დანამატს არ წარმოადგენს, პირიქით არსებობს დინამიური კავშირი ამ ორ ე.წ. “crowding-out theory” ს შორის. განსაკუთრებით ფულადი კომპენსაციის მოტივაცია თავისთავად იწვევს შინაგანი მოტივაციის ელემენტების წინ წამოწევას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ შინაგან მოტივაციაზე ორიენტაცია არასწორია, ყოველთვის უნდა ეცადოს საწარმომ შემოსავლების ზრდაზე ორიენტირებული შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ნაზავი შესთავაზოს დასაქმებულებს.

გარეგანი მოტივაცია ძირითადად დაკავშირებულია მატერიალურ მოტივაციასთან, რაც ნიშნავს ფულად კომპენსაციას. ფული საშუალებას აძლევს ადამიანებს შეიძინონ სასურველი საქონელი და მომსახურება. საწარმოების გარეგანი მოტივაციის საფუძველს წარმოადგენს დასაქმებულთა ფულადი ანაზღაურების დაკავშირება საწარმოს მიზნებთან. ყველაზე იდეალური სისტემა გარეგანი მოტივაციის ესაა PFP (ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს მიხედვით).

ამის საწინააღმდეგოდ შინაგანი მოტივაცია მოთხოვნილებების სწრაფ დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული და ადამიანის თვითრეალიზაციის მიღწევას ემსახურება.

ადამიანებს, რომელთაც აქვთ შინაგანი მოტივაცია, გააჩნიათ:

- საკუთარი წარმატებული საქმე და შემოსავალი
- საინტერესო ცხოვრება, რომლის განმავლობაშიც ისინი აღწევენ ყველაზე გაბედულ მიზნებსაც კი;
- გარშემომყოფთა პატივისცემა, ხედავენ რა, თუ როგორ სწრაფად ვითარდება იგი;
- კმაყოფილების გრძნობა;
- ენერჯიულობა და სიმხნევე;
- პოზიტიური დამოკიდებულება ცხოვრებისა და ადამიანების მიმართ;

აქონობის თეორიის თანამედროვე პრობლემები

• საკუთარი თავის რწმენა, რომელიც ეხმარება ცხოვრებაში რთული მომენტების გადალახვაში;

• ბევრი თანამოაზრე;

• დამოუკიდებლობა და თავისუფლება;

ხოლო ადამიანებს, შინაგანი მოტივაციის გარეშე:

• უკმაყოფილება საკუთარი საქმისა და შემოსავლის მიმართ;

• პრობლემები ახლობელ ადამიანებთან, რადგან ისინი ხელსა-

მისგან გადამწყვეტ მოქმედებებს

• სიზარმაცე;

• მონყენილობა და რუტინული ცხოვრების წესი;

• დროში ჩარჩენილობა;

• უკმაყოფილება ცხოვრების მიმართ;

• უკმაყოფილება გარემომცხოვრების მიმართ;

• შიშები;

• უნდობლობა საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მიმართ;

საწარმოს მენეჯმენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდეს შინაგანი მოტივაციის ელემენტების წარმოჩენას. საკონტრაქტო და გარიგებების თეორია (მაკ გრეგორი 1960 და შემდეგ დონალდსონი 1995, პფეფერი 1997) [1,2,3] დასაბამს გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს და განსაკუთრებით აქტუალურია საწარმოს შრომითი რესურსების მოტივაციის ამალღების მიმართულებით. საკონტრაქტო გარიგებები და შეთანხმებები დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, რომელიც გაჯერებულია შინაგანი მოტივატორებით ნათლად წარმოაჩენს ამ საწარმოს სტრატეგიულ მიზნებს, ახდენს მიზნებისა და შედეგების გაზიარებას დამსაქმებლის შრომის მოტივაციის პარალელურად და წარმოაჩენს დასაქმებულს პერსონალის როლს და მნიშვნელობას წარმოების განვითარების პერსპექტივებთან ერთად. შინაგანი მოტივაცია ეფუძნება ნდობის, ლოილაობის და სენტიმენტების, ნახალების (ჯილდოს) მარჟინალობის ელემენტებს, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. (ბეკერი, მერფი, ჯენსენი 1988) [4]. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი ზოგადად გამორიცხავს შინაგანი მოტივაციის სრულყოფილ დანერგვას საწარმოებში და მიიჩნევს, რომ ეს თითქმის შეუძლებელია. გარეგანი მოტივაციის ელემენტებს ეფუძნება საწარმოების მიერ ანაზღაუ-

რება შესრულებული საქმისა და შედეგების მიხედვით პოლიკიტა, რაც ხშირ შემთხვევაში სწორედ საქმისადმი ინტერესით უნდა იყოს გამოწვეული, თუმცა ამ შემთხვევაშიც ადამიანები დავალებას და სამუშაოს დასჯის შიშის ან ჯილდოს მიღების იმედით ასრულებენ. ჯილდოს რაოდენობა ხშირ შემთხვევაში კონტროლს უწესებს დასაქმებულის შრომის ხარისხსა და დაინტერესებას შესრულებული სამუშაოს მიმართ დამსაქმებლის მხრიდან, რაც ცნობილია ე.წ. “ჯილდოს ფარული ღირებულების” სახელით (ლეჰერი და გრინსი 1978) [5] და ასევე “შინაგანი მოტივაციის კორუფციის ეფექტი” (დეიცი 1975) [6]. ბრუნო ფრეის მიერ 1997 წელს წარმოდგენილი იქნა გარეგანი მოტივაციის “გამოქვითვის თეორია” (“crowding-out theory”) მიკროეკონომიკაში [7].

ხშირად გვსმენია ასეთი ფრაზები — “ისწავლით გაკვეთილებს და გაგიშვებ მეგობრებთან”, “არ მიიღებ კარგ ნიშნებს და არ გიყიდი იმას, რაც გსურს”, “ჩააბარებ გამოცდებს და წახვალ ზღვაზე”, “ვერ მიიღებ დროულად ჩათვლას” — გაგრიცხავ”, “აამაღლებ გაყიდვების დონეს? — მიიღებ ბონუსებს და პრემიას” და ა. შ.

ამ შემთხვევაში, მოტივაცია ყალიბდება სქემით — “სტიმული — რეაქცია”, სადაც სტიმული არის ერთგვარი “თაფლაკვერი”, რომელსაც იღებს ადამიანი ვინმესთვის საჭირო მოქმედების შედეგად, ან პირიქით, “მათრახი”, რომელსაც ცდილობს თავი აარიდოს შესაბამისი მოქმედებით. ეს არის მოტივაციის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა, ე.წ. “გარეგანი მოტივაცია”, როცა ადამიანი შესაბამის მოქმედებას ან სამუშაოს ასრულებს გარეგანი ზემოქმედების ანდა მოთხოვნის შესაბამისად, ჯილდოს მიღების ან დასჯის შიშის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისისთვის ყველა ბავშვი ისწავლის გაკვეთილს მოსალოდნელი ჯილდოს ფასად და ყველა დასაქმებული იმუშავებს ბონუსების და პრემიების სანაცვლოდ ეფექტი მაინც მოკლევადიანია. საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ ეს ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ ფულის და ჯილდოს სანაცვლოდ მუშაობენ და რეალურად გრძელვადიან პროცესში საერთოდ კარგავენ ინტერესს სამუშაოს მიმართ, შესაბამისად ეცემა დასაქმებულთა მომსახურების დონე და ენთუზიაზმი სამუშაოს მიმართ.

გარეგანი მოტივაციის “გამოქვითვის თეორია” (“crowding-out theory”) მიკროეკონომიკაში ძირითადად ეფუძნება სოციალურ-კოგნიტიური (ცნობიერების) განვითარების თეორიას (დეიცი 1975) [6].

სოციალურ-კოგნიტიური თეორია ხაზს უსვამს ადამიანების მოლოდინებს მოვლენების შესახებ და რწმენებს საკუთარი თავის შესახებ. მაგალითად, ადამიანებს აქვთ მოლოდინი სხვა ადამიანების ქცევის და საკუთარი ქცევისთვის გარკვეული ტიპის სიტუაციებში სავარაუდო ჯილდოებისა და სასჯელის შესახებ. მათ ასევე აქვთ რწმენები საკუთარი შესაძლებლობების შესახებ, თუ რამდენად შეუძლიათ დასახულ ამოცანებთან და გარკვეული ტიპის სიტუაციებში გარემოდან წაყენებულ მოთხოვნებთან გამკლავება.

იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანის მიერ შესასრულებელი დავალება მოტივირებულია როგორც შინაგანი ასევე გარეგანი მოტივატორებით გაცილებით უფრო მაღალია ინდივიდის რწმენა საკუთარი თავის მიმართ დავალების შესრულების დროს.

გარეგანი მოტივაციის “გამოქვითვის თეორია” (“crowding-out theory”) ეფექტი გაცილებით უფრო მაღალია როდესაც ჯილდო არის ფულადი ვიდრე სიმბოლური. როდესაც შესასრულებელი სამუშაო რთულია გაცილებით უფრო მძაფრია დამოკიდებულება ჯილდოსა და შესრულებული სამუშაოს ხარისხს შორის და ჯილდოს მოპოვების სურვილი უბიძგებს ადამიანებს რთული დავალების შესრულებისკენ. ამ შემთხვევაში ინდივიდის ქცევა ეფუძნება საინტერესო დავალებას, რომლის წარმატებულად შესრულების შემდეგ მოსალოდენელია დამსახურებული ფულადი წახალისება.

მატერიალური ჯილდოები, რომლიც ითვალისწინებს ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოს მიხედვით (**Pay for Performance, PFP**) ძირს უთხრის პერსონალის შინაგანი მოტივაციის მეთოდების დანერგვას სანარმოში. ამდენად ეჭვს აღარ იწვევს ის გარემოება, რომ დასტურდება “გამოქვითვის თეორიის” (“crowding-out theory”) არსებობის სერიოზული გავლენა სანარმოში პერსონალის შინაგანი მოტივაციის დონის ამღლებაში.

რეალურ სიტუაციაში გასათვალისწინებელია წმინდა შედეგი, რომელიც შედეგად როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური წახალისების ეფექტებით, რადგან ამ შემთხვევაში შინაგანი

მოტივაცია ყოველთვის არ განიხილება განყენებულად გარეგანი მოტივაციიდან. მაგალითისთვის, როდესაც ადამიანებს უყვართ და სიამოვნებთ კლიენტებთან კომუნიკაცია ეს შესაძლებელია მათ დაეხმაროს გაყიდვების ამალღებაში, ამ შემთხვევაში ადამიანების შინაგანი მოტივაცია - "კომუნიკაბელობა" ეხმარება მათ გარეგანი მოტივაციის ამალღებაში — "გაყიდვების ზრდა".

საინტერესო გამოკვლევა ჩატარდა 1997 წელს ფრეის მიერ ე.წ. NIMBY სინდრომი [7]. ცენტრალურ შვეიცარიაში გამოკითხვის შედეგად დასახლებული მოსახლეობის ნახევარი - 50.8% თანახმა იყო აგებულიყო ბირთვული ნარჩენების საცავი, რათა არ მომხდარიყო ამ სიცოცხლისათვის საშიში ნივთიერებების გაფანტვა ღია გარემოში, მაგრამ მოხდა საოცრება, როდესაც საცავის მომხრეთა გახსნის რაოდენობა ჩამოვიდა 24.8% იმ შემთხვევაში, როდესაც მათ ფულადი კომპენსაცია შესთავაზეს საცავის გახსნის მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ.

როგორც ამ მაგალითიდან დასტურდება, ფულადი ჯილდოები, ბონუსები და სხვა სახის ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს მიხედვით ნეგატიურ გავლენას ახდენს თანამშრომლების სამუშაო ეთიკაზე, განსაკუთრებით კომპლექსური სამუშაოებისათვის, სადაც შინაგანი მოტივაციის ამალღებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ფულადი ნახალისებების გაცემა მკაცრ კონტროლს ექვემდებარება.

ა) "გამოქვითვის თეორია" ("crowding-out theory") საშუალებას იძლევა სათანადო ახსნა მოეძებნოს, თუ რატომ შეუძლია უარყოფით ზეგავლენა მოახდინოს შესრულებული სამუშაოს მიხედვით პერსონალის ანაზღაურებას შინაგანი მოტივაციის დონის ამალღებაზე. ამ გავლენის ეფექტი მხოლოდ კომპლექსური სამუშაოსთვის არის დამახასიათებელი და არ განიხილება მარტივი ტიპის სამუშაოსთვის.

ბ) რადგან გამოიკვეთა შინაგანი მოტივაციის როლი და მნიშვნელობა პერსონალის მართვის თეორიაში, განვიხილოთ შინაგანი მოტივაციის **დადებითი მხარეები** (უპირატესობები):

1. შინაგანი მოტივაცია საჭიროა ისეთი ტიპის სამუშაოსთვის, რომელიც მოითხოვს კრეატიულობას. მის საპირისპიროდ გარეგანად მოტივირებული ადამიანები ასრულებენ და აწარმოებენ

დამკვიდრებული სტერეოტიპის სამუშაოს და პროდუქციას, ანუ იმას რაც უკვე დიდი ხანია არსებობს და მკაცრად არის დამკვიდრებული. ამავდროულად ექსპერიმენტალური გამოკვლევები ადასტურებს, რომ სწავლების ტემპი ეცემა იმ შემთხვევაში, თუ ხდება პერსონალის მონიტორინგი კონკრეტულ სამუშაოზე. ფუნქციური სანქციებით ზენოლა ინვესტს სწავლების დონის და შესრულებული სამუშაოს ხარისხის დაცემას, შესრულებული სამუშაო ხდება ზედაპირული უფრო მეტად, ვიდრე ეს მოსალოდნელია შინაგანად მოტივირებული პერსონალის მხრიდან.

2. შინაგანი მოტივაცია ეხმარება პერსონალს ე.წ. “მრავალდარგობრივი სამუშაოს” პრობლემის გადალახვაში (ჰოლმსტრომი და მილგრომი 1991) [8]. ეს ეხება განსაკუთრებით იმ შემთხვევებს, როდესაც შრომითი ხელშეკრულებები ნათლად ვერ გამოხატავს დასაქმებულის შრომის სპეციფიკაციას. ფინანსური მიზნები ყოველთვის ვერ გადანონის საოპერაციო მიზნების გავლენას პერსონალის შუნაგანი მოტივაციის მიმართულებით. შრომითი ხელშეკრულებების ის ნაწილი, რომელშიც ჩადებულია ფინანსური ნახალისებები კონკრეტული დავალებების სანაცვლოდ ინვესტს მოტივაციას მხოლოდ ამ დავალებების შესასრულებლად და დასაქმებული ნაკლები ყურადღებით ეკიდება იმ დავალებებს, რაზეც არ არის დაწესებული ფუნქციური ჯილდო, შესაბამისად მას მეორეხარისხოვნად მიიჩნევს. მსგავსი დამოკიდებულება დასაქმებულის სამუშაოს მიმართ ნაკლებად ემსახურება დამსაქმებლის ინტერესებს, რომელიც დაინტერესებულია გაზრდილი შემოსავლები მიიღოს მინიმალური დანახარჯებით. ამდენად კომპლექსური ტიპის სამუშაოებისათვის დამსაქმებლები უფრო მეტად ნდობას უცხადებენ დასაქმებულის შინაგან მოტივაციას, ვიდრე ანაზღაურებას მხოლოდ შესრულებული სამუშაოს მიხედვით. (PFF)

3. “ფარული ცოდნის” გადაცემა მოითხოვს შინაგან მოტივაციას. “ფარული ცოდნის” გადაცემა შეუძლებელია წერილობით და სიმბოლოებით. შრომით ხელშეკრულებებში შესაძლებელია ჩაიდოს “ფარული ცოდნის” კოდირება (დანართის, ფაილების და ნიგნების სახით), თუმცა მისი გაზომვა ყოველად შეუძლებელია. მაშინ როდესაც ხდება სხვადასხვა ადამიანების მიერ მათი “ფარული ცოდნის” კონტრიბუცია საქმეში, შეუძლებელია მიღებული შედეგი მხოლოდ

ერთი ადამიანის ძალისხმევაზე იყოს დაფუძნებული. შინაგანი მოტივაციის არქონის შემთხვევაში დასაქმებულებს გაუჭირდებათ შეუზღუდავად შეასრულონ სამუშაოსთან დაკისრებული მოვალეობები.

როგორც ამ საკითხებიდან ირკვევა მოტივაციის მიზანს წარმოადგენს საწარმოს ინტერესების მომსახურეობა. ზოგჯერ შინაგანი მოტივაციას თავისი ნაკლოვანებები გააჩნია, ამის ნათელი მაგალითია ინტერნეტის გამოყენება პირადი მიზნებისთვის სამუშაო საათების დროს.

განვიხილოთ შინაგანი მოტივაციის უარყოფითი მხარეები:

- ყოველთვის რთულია შინაგანი მოტივაციის შეცვლა, ვიდრე ეს ხდება გარეგანი მოტივაციის დროს. ამიტომაც არის, რომ მენეჯერები ყოველთვის ამჯობინებენ დაჯილდოვებისა და მბრძანებლობის პოლიტიკის გატარებას პერსონალის შრომითი მოტივაციის მიმართულებით.

- გარეგანი მოტივაცია განაპირობებს პერსონალის ქცევის მოქნილობას უფრო მეტად, ვიდრე შინაგანი მოტივაცია. მოხალისეთა მოტივაცია არაკომერციულ საწარმოში დამოკიდებულია საწარმოს მუშაობის სპეციფიკაციაზე. მოგებაზე ორიენტირებული საწარმოები ნაკლებად ზრუნავენ პერსონალის ღირებულებებზე, გარდა იმისა რომ მათ კარგად უხდებიან და სამაგიეროდ აქვთ დაბალი ზედმახედველობითი ღირებულება.

როგორც ვხედავთ პერსონალის შრომითი მოტივაცია არ წარმოადგენს საწარმოს მენეჯმენტის თვითმიზანს, თუმცა ემსახურება საწარმოს თავისი მიზნების განხორციელებაში. რეალურად ვერც ერთი საწარმო ვერ შექმნის პერსონალის შინაგანი მოტივაციის დონეს საწარმოში. უბრალოდ მენეჯმენტის მთავარი მიზანია საწარმოს კომერციული მიზნების განხორციელება, რომელიც შესაძლებელია კოორდინირებული იქნას პერსონალის შრომითი მოტივაციის, შინაგანი და გარეგანი მოტივაციის გაერთიანებით, სასურველი მიზნის მისაღწევად, რასაკვირველია აქ საწარმოს მიზნების პრიორიტეტულობა არის აქტუალური და არა იქ მუშავე პერსონალისა. ეფექტური მენეჯმენტის ამოცანაა ფულადი ნახალისებების და ხარჯების სწორი დაგეგმარება და კონტროლი ისე, რომ ამან ხელი არ შეუშალოს საწარმოს ფუნქციონირებას და

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

მოგების გაზრდას. ვშემდგომი გამოკვლევები პერსონალის შრომით მოტივაციასთან უნდა პასუხობდეს “ოქროს შუალედის” მიგნებას, რაც გულისხმობს შინაგანი და გარეგანი მოტივაციის დაბალანსებით პერსონალის შრომითი მოტივაციის ამაღლებას სანარმოში.

გარეგანი მოტივაცია საკმარისია იმ შემთხვევაში, როდესაც როდესაც საქმე გვაქვს რუტინულ სამუშაოსთან და ზოგადად ისეთი ტიპის სამუშაოსთან, რომლის გაზომვაც არის შესაძლებელი, ძირითადად ეს ეხება მარტივ სამუშაოს. ცდები ადასტურებს, რომ ამ შემთხვევაში ანაზღაურების ზრდა პარალელურად ინვესტს შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის ზრდას. გლეიზერის (1996) გამოკვლევები ადასტურებს, რომ ავტომობილების სარკეების დამამზადებელ კომპანიაში პროდუქციულობის ზრდა 20% დან 36%-მდე მიღწეული იქნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პერსონალი ფიქსირებული შრომითი ანაზღაურებიდან გადაიყვანეს ანაზღაურებაზე შესრულებული სამუშაოს მიხედვით (PFP) [9]. ეს გამოკვლევა ნათლად მიუთითებს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გარეგანი მოტივაციას ფასდაუდებელი ეფექტი აქვს. სანარმოს მიერ გამოყენებული იქნა ძალიან მარტივი და ნაცადი მეთოდის – მატერილაური დაინტერესების ჩართვა სანარმოს პროდუქტიულობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით.

გამოკვლევები ასევე ადასტურებს, რომ შინაგანი მოტივაციის ამაღლებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კომუნიკაციას (დეივისი, ვან დე კრაგტი და ორბელ 1988, ფრეი და ბონეტი 1995) [10, 11].

ასევე მნიშვნელოვანია პერსონალის “ჩართულობა” სანარმო საქმიანობაში და ინტერესი შესრულებული სამუშაოს მიმართ. “ჩართულობა” ამაღლებს თვითგამორკვევას და თვითრეალიზაციას. ზორმხრივად შეთანხმებული მიზნები დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის აძლიერებს შინაგან მოტივაციას, რადგან დასაქმებულები ძირითადად თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში ახორციელებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. “ჩართულობის” ეფექტი განსაკუთრებით მაღალია მაშინ, როდესაც შეთანხმებული მიზნები მხარეებს შორის ამაღლებს დასაქმებულის თვითკონტროლსა და პასუხისმგებლობას. ამის საპირისპიროდ გარეგანი კონტროლის აღქმა აფერხებს მიზნების მიღწევის შემოქმედებითობას.

“ინტერესი საქმიანობის მიმართ” გაცილებით უფრო ამლგებს დასაქმებულის შინაგან მოტივაციას, მან იცის, რომ მიღებული შედეგები მის მიერ ამ სამუშაოს მიმართ ჩადებულ ძალისხმევაზეა დამოკიდებული და ამ შედეგებზე თავად არის პასუხისმგებელი. ასეთ შემთხვევაში შესრულებული სამუშაო მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ფასეული.

ზემოთ განხილული “გამოქვითვის თეორიის” (“crowding-out theory”) თანახმად განსაკუთრებით ნიშანდობლივია შინაგანი მოტივაციის ფაქტორების სიძლიერე, როგორცაა:

- გაუთვალისწინებელი ჯილდოები სამუშაოს შესრულების დროს. რაც უფრო მაღალია დამოკიდებულება სამუშაოს შესრულებისა მოსალოდნელ ფულად ნახალისებაზე, მით უფრო მაღალია შინაგანი მოტივაციის “გამოდევნის” ხარისხი პერსონალის ქცევის მოტივაციაში. ასეთ შემთხვევაში გაცილებით უფრო მაღალია მაკონტროლებელი ეფექტის აღქმა ვიდრე ინფორმირების ეფექტი და დასაქმებულები ფიქრობენ, რომ შესუსტებულია მათი თვითრეალიზაციის გამოხატულება. მსგავსი დამოკიდებულება წარმოადგენს მტკიცე არგუმენტს დროზე დამოკიდებული კომპენსაციის სასარგებლოდ და ეწინააღმდეგება ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოს მიხედვით (PFP) ისეთ სიტუაციებში, როდესაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შინაგანი მოტივაციის ამაღლება.

- ბრძანებები. ბრძანებები ზღუდავს თვითრეალიზაციის აღქმას. როგორც წესი ტრადიციული ეკონომიკური თეორია არ აღიარებს განსხვავებას სანარმოს მიერ გაცემულ ბრძანებებსა და დაჯილდოებას შორის, თუმცა ბოლო გამოკვლევები ბიჰევიორისტული ანომალიების მიხედვით ადასტურებს და ავლენს ალტერნატიული ხარჯების არსებობას, როდესაც ჯილდოს მიუღებლობა ნაკლებ ღირებულია ვიდრე სტაბილური პირდაპირი დანახარჯები, ჩვენ შემთხვევაში პერსონალის დასჯა გამოწვეულია კონკრეტული ბრძანებების არშესრულებით და დაუმორჩილებლობით.

- სამართლიანობის დარღვევა. დამსაქმებულები, რომლებიც თვლიან, რომ მათი შრომის ანაზღაურება არასამართლიანია, სრულიად კარგავენ შინაგან მოტივაციას. დიდი რაოდენობით არსებული ემპირიული გამოკვლევები ადასტურებს, რომ ადამიანები

აქონობის თეორიის თანამედროვე პრობლემები

განსჯიან სამართლიან შრომის ანაზღაურებას სხვა ადამიანებთან მიმართებით. სამართლიანი შრომითი ანაზღაურება ინვესტს პერსონალის შინაგანი მოტივაციის დონის ამაღლებას და იზრდება თვითრელიზაციის გამოხატვის უნარი.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ შინაგანი მოტივაციის გამოვლენაზე, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მოტივაციის მენეჯმენტის არამხოლოდ მონეტარულ სტიმულაციას, არამედ პირდაპირ მიუთითებს ფულის ფაქტორის უარყოფით ზეგავლენას შრომითი რესურსების მოტივაციის და სტიმულირების მიმართულებით.

როგორც ჩანს, მონეტარული ჯილდოები სამუშაოდ ვერ ჩაანაცვლებს სანარმოში მოქმედ კარგად ორგანიზებულ ადამიანური რესურსების მენეჯმენტს. ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს მიხედვით (PFP), მხოლოდ მარტივი სამუშაო სტრუქტურისთვის შეიძლება იყოს მისაღები და არა კომპლექსური ტიპის შრომითი მოტივაციისათვის. დღეისათვის ასეთი ტიპის სამუშაოები კარგავენ მნიშვნელობას, ვინაიდან სანარმოების კონკურენტუნარიანი უპირატესობა დამოკიდებულია ცოდნასა და საორგანიზაციო სწავლებაზე. სანარმოს ამ ატრიბუტების შეფასება ძალზედ რთულია, რადგან ისინი ძალიან მომთხოვნია და თავისთავად სთავაზობს პერსონალს მეტად იყოს თვითრეალიზებადი სანარმოში. მსგავსი ქმედებები საშუალებას აძლევს განხორციელდეს დასაქმებულის შინაგანი მოტივაცია სანარმოს მიზნებთან შესაბამისად. ამ შემთხვევაში სხვადასხვა ტიპის ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს მიხედვით (PFP) როგორც ერთადერთი მოტივატორი გამორიცხავს შინაგანი მოტივაციის ეფექტს.

მსგავსი შეფასება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გამოვრიცხოთ მონეტარული დაჯილდოვების როლი და მნიშვნელობა პერსონალის მოტივაციაში. ჯკომპენსაცია უნდა ეფუძნებოდეს თანამშრომლის საერთო შეფასების დონეს. ანაზღაურება თავისთავად შეიძლება მოიცავდეს ბონუსებს და ნილობრივ მონაწილებას სანარმოს მოგებაში მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პროცედურული სამართლიანობა და ანაზღაურების სამართლიანი აღქმა გაზიარებულია თანაბრად ყველა დასაქმებულის მიმართ და რომელიმე მათგანს არ გაუჩნდება ეჭვი, რომ სხვებს

მასზე მეტს უხდიან, ვიდრე ეს დაიმსახურეს, თავად კი შეიძლება უსამართლობის მსხვერპლი აღმოჩნდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, შინაგანი მოტივაციის გასაძლიერებლად მონეტარული ჯილდოები აუცილებლად უნდა პასუხობდეს დასაქმებულის შრომითი ქცევის შედეგებს. შრომითი ქცევის შეფასება არ უნდა იყოს მხოლოდ დამოკიდებული რეზულტატურობის კრიტერიუმზე, არამედ უნდა გამოხატავდეს დასაქმებულის შინაგანი მოტივაციის აღიარებას. ასეთი შეფასება ამყარებს ფსიქოლოგიური დამოკიდებულების შეთანხმებას და ფარულ ნდობას. ამასთან დასაქმებულები სათანადოდ ინფორმირებულები არიან თავიანთი კომპეტენციისა და წვლილის შესახებ საწარმოს მიზნებში. ამ შეხედულებისაგან განსხვავებით, სხვადასხვა ტიპის მონეტარული ნახალისებები, როგორც ერთადერთი საშუალება შრომის მწარმოებლურობის დასამუშავებლად ვერ გამოდგება ადამიანური მოტივაციის სირთულეების შესაფასებლად.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. McGregor D. (1960); *The human Side of Enterprice*, New York: McGraw-Hill
2. Donaldson L. (1995); *American Anti-Management Theories of Organization: A Critique of Paradigm Proliferation*; Cambridge: Cambridge University Press
3. Pfeffer J. (1995); *New Directions for Organization Theory*. New York and Oxford: Oxford University Press
4. Baker G.P, Jensen M.C and Murphy K.J (1988); *Compensation and incentives: Practice Versus Theory*. *Journal of Finance*, 43, pp. 593-616
5. Lepper M.R and Greene D (1978); *The hidden Costs of Reward: The Perspectives on the Psychology of Human Motivation*; Hillsdale, NY: Erlbaum
6. Deci E.L (1975), *Intrinsic Motivation*; New York: Plenum Press
7. Frey B.S (1997); *Not just for the money: An Economic Theory of Personal Motivation*; Cheltenham; UK and Brookfield, US: Edward Elgar
8. Holmstrom B. and Milgrom P. (1991); *Multitask principal-agent analy-*

sis: Incentive Contracts, asset ownership and job design; Journal of Law, Economics and Organization (Special issue); 7, pp. 24-52

9. Lazear M.P. (1996); Performance pay and productivity; NBER Working paper 5672

10. Frey B.S and Bohnet I. (1995); Institutions affect fairness: Experimental investigations; Journal of Institutional and Theoretical Economics; 151 (2), pp. 286-303

11. Dawes R.M.; Van De Kragt A.J.C.; and Orbell J.M. (1988); Not me or thee but we: the importance of group identity in eliciting cooperation in dilemma situations – experimental manipulations; Acta Psychologica; 68; pp. 83-97

THE MAIN FACTORS OF INNOVATIONAL RISK AND THE SOURCES OF ECONOMICAL RESULTS CHANGES

Liana Grigoryan

Armenian State University of Economics
Head. department, and management accounting and auditing,
Associate Professor, Candidate of Economic Sciences

The initial and important step of the IR analyzes procedure is the finding out of its main factors and the economical result changes sources. It will help to solve the following main management problems:

- to make the following analysis and the enterprise's IR analysis level;
- to form (correct) the effective program of IR management, using the chosen financial criterion;
- to ground the economical effectiveness of the IR management system.

The definition of IR factors essence is seen in the 1st chapter of this work. We should mention that the facts of innovational risks are related with the constantly acting changes taking place on the enterprise or its surrounding as a result of innovation projects realization or in common with them, and characterize the reasons of IR.

The sources of the economical results changes, according to my opinion, present negative or positive changes of the economical results of realization of innovation projects, caused by the influence of the IR factors, which, in some cases, can create reserves of increasing of the effectiveness of the innovational activity of the industrial enterprise.

One can agree with the opinion of R.M. Kachalov that not all risk factors can be foreseen and taken into consideration previously as a result of non-complete knowledge and change of surrounding. In that connection the monitoring, risk analysis etc. functions must be implemented without interruptions. It makes possible the enlargement of the numerous foreseen factors in time.

პონეროიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

The definition of the essential factors of innovation risk and the sources of changes of economical results can be made based on the application of the following well known means:


- the usage of expert approaches and documentation analyzes means (Delphy method, SWOT-analysis, questionnaire papers, streams cards, reason-consequence chart of Ishikava, analysis of financial and managerial reports, business projects, etc.);
- taking the study of the managerial experience collected in the analogue innovation projects of the enterprises;
- taking the qualification risk-managers, specialized consulting companies;
- the direct inspections of subdivisions of the industrial enterprises.

The IR factors can be classified by series of characteristics:


1. Possibility of foreseeing;
2. Sources for the danger arising;
3. Being subjected to risk;
4. Mutual dependence of risk factors;
5. The expenses for the risk management;
6. The character of danger;
7. The type of object;
8. The project specification.

But the classification existed do not take into consideration the sources of the projects mutual influence, which in many cases are the essential factors of IR and at the same time the sources of the economical results change. In that connection let's bring the classification of IR factors by the characteristic of the influence source arising (external and internal factors), as well as classification of internal factors by the characteristics of the influence object (the case of projects, innovation project, phase of project).


The classification of IR factors is presented on Pic. 1-2. The classification of the main sources of the economical management results with innovation risk is presented on pic. 3-4:



Pic. 1. Classification of main external factors of IR



Pic. 2. Classification of the main internal factors of IR



Pic. 3 The classification of the main internal IR factors (to be continued)

დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების ანალიზი საქართველოში

ნაილი გაგნიძე
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

თეა ბიჭიკაშვილი,
ბუღალტერ-აუდიტორი

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემები განიხილება. გარდა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დონისა, უმნიშვნელოვანესი სტატისტიკური მონაცემი, რაც საზოგადოების ყურადღებას იქცევს, ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელია, რომელიც ე.წ. გამოუყენებელი სანარმოო ხარჯებია, გამოუყენებელი სამუშაო ძალის გამოიკარგება. ეს ის პროდუქტია, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა დასაქმების შემთხვევაში. გარდა ამისა, ქვეყანა შემოსავალს კარგავს გადასახადის გადამხდელთა რიცხვის შემცირებით. ოუკენის კანონის თანახმად, უმუშევრობის დონის ყოველი 1%-იანი ზრდა მშპ-ის დაახლოებით 2%-იან კლებას იწვევს (Knotek, 2007). გარდა ამისა, მთლიანი პროდუქტის მაჩვენებელი არ არის დამოკიდებული მხოლოდ უმუშევრობაზე, არამედ ასევე პროდუქტიულობის დონეზე, მოთხოვნასა და სანარმოო რესურსებზე.

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის კვლევის მონაცემების მიხედვით, 1998 წლის შემდეგ, უმუშევრობის დონე საქართველოში გაიზარდა - 12.4%-დან 16.3%-მდე 2010 წლის მდგომარეობით (www.geostat.ge).

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა დასაქმების მნიშვნელობა ქართული საზოგადოებისათვის. 2011 წლის სექტემბერში გამოვლენილი შედეგების მიხედვით, მოსახლეობის 62%-ს „სამუშაო“ ქვეყნის ნომერ პირველ პრობლემად მიაჩნია, ხოლო 72%-ს ნომერ პირველ ადგილობრივ პრობლემად. გარდა ამისა გამოკითხული მოსახლეობის 33% თვლის, რომ მდგომარეობა გაუარესდა, ხოლო 40% – ს მიაჩნია, მდგომარეობა ამ კუთხით საერთოდ არ შეცვლილა

(www.ndi.org).

გამოკითხულ რესპოდენტთა 31% ან უმუშევარია ან სამუშაოს მაძიებელი, 5% არ ეძებს სამუშაოს, ხოლო 30% არააქტიურ სამუშაო ძალას წარმოადგენს, რომელიც მოიცავს სტუდენტებს, პენსიონერებს. მხოლოდ 34 % არის დასაქმებული. უნდა აღინიშნოს აგრეთვე შრომისუნარიან უმუშევართა განათლების დაბალი დონე, ეს იმ დროს, როცა უმუშევართა 81% –ს საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, რაც მეტად სავალალო მაჩვენებელია. 2010 წლის ადამიანური განვითარების ანგარიშის თანახმად საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა სამუშაო ძალის განათლების დონის მიხედვით. მიჩნეულია, რომ ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებები იწვევს უმუშევრობის მაღალ დონეს. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობა ეგრეთ წოდებულ „სტრუქტურულ უმუშევრობას“ განიცდის, რომელიც გრძელვადიანი უმუშევრობაა, რაც ძირითადად გამოწვეულია მუშახელის უნარ-ჩვევების შეუსაბამობით ბაზარზე არსებულ სამუშაოსთან (www.economist.com). ეს განსაკუთრებით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ეხება. მიუხედავად იმისა, რომ განათლების რეფორმები ხორციელდება, განათლების სისტემა კვლავ არაეფექტიანია და ვერ იძლევა თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების შესაბამის უნარ-ჩვევების განვითარებას.

კვლევებით ირკვევა, რომ უმუშევართა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით უმუშევართა ყველაზე დიდ ჯგუფს - 20-35 წლის ადამიანები შეადგენენ. უმუშევართა მეორე ჯგუფის ასაკი 36-დან 55 წლამდე მერყეობს.

გლობალიზაციის შედეგად თავი იჩინა სამუშაო ძალაში ასაკობრივი დისკრიმინაციის პრობლემებმა საქართველოს შრომის ბაზარზე, რომელთაც აქვთ უნარ-ჩვევების ან ენობრივი ბარიერის დეფიციტი. განათლება მიღებული სამუშაო ძალა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილ უნარ-ჩვევებს, რომლებსაც კომპანიები უყენებენ პოტენციურ თანამშრომლებს (<http://hdr.undp.org>).

გარკვეული კვლევებით და დაკვირვებებით დადგინდა, რომ საქართველოში დღეს სტრუქტურული უმუშევრობაა.

ადგილობრივი დანაზოგები არ არის საკმარისი ადგილობრივი ფინანსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ,

აქონების მფლობელთა თანამდებარეობის პრობლემა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პროდუქციის ზრდისა და დასაქმების მატეხის მნიშვნელოვან წყაროდ არის მიჩნეული. მაგრამ დასაქმების მდგრადი ზრდისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მუდმივი და სტაბილური შემოსვლა არის აუცილებელი. ამიტომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში დასაქმებაზე არ მოქმედებს იმ მაქსიმალური მასშტაბით, რა მასშტაბითაც შეუძლია იმოქმედოს. და ამის მიზეზი ისევე სტრუქტურული უმუშევრობაა. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ 2007 წელს მშპ-ის ზრდის ყველაზე მაღალი, 12%-იანი მაჩვენებლის პირობებში, უმუშევრობის დონე მაინც საკმაოდ მაღალი იყო - 13.3% (www.geostat.ge).

გარდამავალ ქვეყნებს შორის საქართველო ერთ-ერთი მათგანია, სადაც უმუშევრობის საერთო დონე ძალიან მაღალია და სერიოზული პრობლემაა, რომლის მაჩვენებელი 16%-ს და მეტს აღწევს.

საქართველოში, დასაქმებულებად რეგისტრირებულთა უმეტესობა თვითდასაქმებულია. ეს კატეგორია ძირითადად კონცენტრირებულია სოფლის მეურნეობაში, სადაც პროდუქტიულობის დონე საკმაოდ დაბალია. როგორც პირველად წარმოებაში, ასევე კვების პროდუქტების გადამამუშავებაში, სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 9%-ს შეადგენს.

სოფლად უმუშევრობის დონე 7.9%-ს შეადგენს (2010 წლის მონაცემებით), მაშინ, როდესაც ქალაქებში უმუშევრობა 27.2%-ს აღწევს. გარდა ამისა, სოფლად მთლიანად დასაქმებულთა 80% თვითდასაქმებულია, რაც იმას ნიშნავს რომ ისინი სოფლის მეურნეობის სექტორში არიან ჩართულნი (www.geostat.ge).

თვითდასაქმებული მოსახლეობა ძირითადად რეგიონებშია კონცენტრირებული. ამის მიზეზი სასოფლო-სამეურნეო მიწებია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, თვითდასაქმებული არის ადამიანი, რომელიც „საქმიანობს ოჯახური შემოსავლის მიღების მიზნით, აგრეთვე ოჯახურ სანარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი.“

როგორც სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის, ასევე სოფლის მეურნეობაში დასაქმებულების ინდიკატორები მცირდება, რომელიც შესაძლოა სოფლიდან ქალაქში და ასევე, საზღ-

ვარგარეთ მიგრაციის შედეგი იყოს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი დასაქმებულთა შემოსავალია, რომელთა ხელფასიც საშუალო მინიმუმზე დაბალია. დასაქმებულთა 17.4%-ი დღეში 1.25 აშშ დოლარზე ნაკლებ თანხაზე ცხოვრობს. განვითარებულ ქვეყნებში შესაბამისი პროცენტული მაჩვენებელი ნულის ტოლია, ხოლო პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ისევე, როგორც სხვა განვითარებად და ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებში, ეს მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. საქართველოს მაჩვენებელი უფრო დაბალია, თუმცა ეს პრობლემას ვერ წრის. მიგვაჩნია, რომ ეს მონაცემები ასახავს იმ ადამიანებს, რომლებიც თვითდასაქმებულები არიან სოფლის მეურნეობაში და უმეტესად ნატურით იღებენ კომპენსაციას (<http://hdr.undp.org>).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დასაქმებული ადამიანების რიცხვის შემცირების მკვეთრად გამოკვეთილი ტენდენცია სტრუქტურული უმუშევრობაა. ერთადერთი კატეგორია, რომელიც მნიშვნელოვან ზრდას აჩვენებს, თვითდასაქმებულთა კატეგორიაა, რომელიც უმეტესად სოფლის მეურნეობაშია თავმოყრილი, ხოლო მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში დაბალია, რაც სერიოზულად უშლის ხელს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებას. თუ ახალი სამუშაო ადგილები მალე არ შეიქმნა, შედეგი სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით შეიძლება ძალზე ნეგატიური იყოს. ამიტომ უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები, რომელიც არის ეკონომიკური ზრდის ლოკომოტივი. ბიზნესის კეთებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზა დასაქმების დონის ასამაღლებლად. მსოფლიო კონკურენტულობის ანგარიშში აღნიშნულია საქართველოში ბიზნესის კეთების ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები. მათგან პირველი სამი არის: ფინანსების ხელმისაწვდომობა, ინფლაცია და არაადეკვატური განათლების მქონე მუშახელი. ამიტომ, საქართველოს მთავრობამ და სხვა შესაბამისმა უწყებებმა უნდა სცადონ ამ შეზღუდვების აღმოფხვრა, რათა მენარმოება სწრაფად განვითარდეს.

**მცირე და საშუალო ბიზნესი როგორც
სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის
ერთ-ერთი აუცილებელი პირობა და მათი აღრიცხვის
საგადასახადო რეგულირების ზოგიერთი სპეციფიკა**

ჟუჟუნა ნიკლაური
ემდ, სტუ პროფესორი

ალექსანდრე სხირტლაძე
ემდ, ფმდ, პროფესორი

რევაზ შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

ნათია შენგელია
ედ, სტუ პროფესორი

ისევე როგორც ადამიანი იმთავითვე არ იბადება დიდი, ასევე ბიზნესი, როგორც წესი, იბადება ჯერ პატარა და მერე იზრდება.¹ იმის მიხედვით, თუ როგორია სამუშაო ძალის, კაპიტალისა და დოვლათის კონცენტრაცია, შესაბამისად ბიზნესი, საწარმო შეიძლება იყოს მცირე (დასაქმებულთა რაოდენობა, ვთქვათ, მრეწველობაში არ უნდა აღემატებოდეს 40 ერთეულს, ხოლო წლიური ბრუნვა 500000 ლარამდე) საშუალო (100-მდე დასაქმებული და წლიური ბრუნვა 1500000 ლარამდე) და ა.შ. - დიდი (მსხვილი). ე.ი. სიდიდის მიხედვით ისევე როგორც ბიზნესი, ასევე ეკონომიკა წარმოდგენილია მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოებით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი წლიური შემოსავალი არ აღემატება 100 ათას ლარს. მართალია მცირე ბიზნესის, ასევე მცირე საწარმოთა

¹ მაგალითად, ევროპა-ამერიკაში ჯერ იქმნება მცირე ბიზნესი, ხოლო შემდგომ აქედან იქმნება საშუალო და დიდი ბიზნესი. ჩვენი აზრით, საქართველოშიც ასეთი მიმართულებით უნდა განვითარდეს მწარმეობა და ბიზნესი.

მეპატრონეები, თვითონ მუშაობენ, მაგრამ დაქირავებული შორ-მის გამოყენება კანონით არ იკრძალება.

მცირე და საშუალო ბიზნესი ყოველთვის და ყველგან ასრულებდა დიდ როლს. ეკონომიკურ მეცნიერებაში მცირე და საშუალო ბიზნესის სიდიდის განსაზღვრისადმი მიდგომა სხვადასხვაგვარია. ამ მიმართულებით არსებობს ევროკავშირის კომისიის მიერ მიღებული კრიტერიუმები, რომლითაც, სანარმო მიეკუთვნება ამა თუ იმ კატეგორიას იმის მიხედვით, თუ რამდენია დასაქმებულთა რაოდენობა, წლიური საქონელბრუნვის მაქსიმალური მოცულობა ან მთლიანი მაქსიმალური საბალანსო ღირებულება. ამის გარდა, სანარმო უნდა იყოს დამოუკიდებელი, ე.ი. სხვა სანარმო ან რამდენიმე სანარმო ერთად არ უნდა ფლობდნენ მისი აქციების 25%-ზე მეტს.¹

მცირე და საშუალო ბიზნესი ერთმანეთისაგან მხოლოდ სიდიდით არ განსხვავდებიან. ისინი განსხვავებულ დამოკიდებულებაში არიან ბაზართან. მცირე სანარმო, სახსრების ნაკლებობის გამო უფრო ძლიერ არის დამოკიდებული ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე. პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ მიერ საკუთარი ინტერესების ლობირება მსხვილ ფირმებთან შედარებით ნაკლებად ეფექტიანია. ამავდროულად, მცირე ბიზნესი უზრუნველყოფს დასაქმების ზრდას, ერთობ მგრძნობიარეა კონკურენციისა და მომხმარებელთა მოთხოვნის მიმართ, ასევე გვევლინება მენარმეობის ერთგვარ ინკუბატორად, ამიტომ უმრავლეს ქვეყნებში სახელმწიფო ეხმარება მცირე ბიზნესს ზრდა-განვითარებაში. მცირე ბიზნესს მცირე კაპიტალის გამო „პოლიტიკაში პატარა ხმა აქვს“.²

მსხვილი ბიზნესი, მსხვილი სანარმო, ფლობს რა დიდძალ კაპიტალს, უფრო ნაკლებადაა დამოკიდებული საბაზრო კონკურენციაზე. პირიქით, ისეც ხდება, რომ მსხვილ კომპანიას შეუძლია შეცვალოს ბაზრის სიტუაციაც კი, მაგალითად ფასნარმოქმნის კუთხით. შეძლება ამის მაგალითად გამოდგეს რუსეთის ფირმის - „ნორილსკი ნიკელი“-ს მიერ ნიკელზე ფასების ცვლილება (შემცირება

1 **Малые и средние предприятия в странах с переходной экономики. Европейская экономическая комиссия 1996, стр. 5.**

2 **უ. სამადაშვილი. ბიზნესის საფუძვლები. თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2007წ., გვ. 174.**

ან მატება) მთლიანად ცვლის მდგომარეობას ნიკელის მსოფლიო ბაზარზე. ბაზარზე ზეგავლენის ამგვარი შესაძლებლობა, მსხვილ კომპანიებს უზიდავს მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვებისაკენ, რის გამოც სუსტდება ბაზრის მამოძრავებელი და საფუძველი - კონკურენცია. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსხვილ ბიზნესს დიდი წვლილი შეაქვს მრავალი, განსაკუთრებით რთული, მეცნიერებატევადი და კაპიტალტევადი საქონლის შექმნაში. სწორედ ამის გამო სახელმწიფო მსხვილი ბიზნესისადმი დამოკიდებულებაში ორადია: ერთი მხრივ, ეხმარება მათ, როგორც მეცნიერებატევად და კაპიტალტევად დარგების დედაბოძს, და მეორე მხრივ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით ზღუდავს მათ. დიდ ბიზნესს, დიდი კაპიტალის გამო „პოლიტიკაშიც დიდი ხმა აქვს“.¹

მსხვილ ბიზნესს, გააჩნია რა საწარმოო, საფინანსო და ორგანიზაციული პროტენციული საშუალო და განსაკუთრებით მცირე ბიზნესის მხარდაჭერისათვის, მცირე ბიზნესი სჭირდება, როგორც კოოპერაციული კავშირების ერთ-ერთი მთავარი ელემენტი. მსხვილი და მცირე და საშუალო ბიზნესი თითქოს ურთიერთსაინანაღმდევო, ურთიერთგამომრიცხავ პრინციპებს ეყრდნობიან. მათი მიზნები, საქმიანობა, მასშტაბი განსხვავებული მიდგომის საფუძველზე ყალიბდება, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად ჩანს ასე. მსხვილი ბიზნესი საბაზრო ურთიერთობების მამოძრავებელი ძალაა, ხოლო მცირე ბიზნესი თავისი ბუნებით ხელს უწყობს კონკურენტული გარემოს შექმნას, უზრუნველყოფს მოქნილობას და ინდივიდუალიზაციის პროცესს გაღრმავებას. ამიტომ ეს ორი სტრუქტურა ერთმანეთს ავსებს, მათი ურთიერთშელწევისა და ურთიერთგანპირობებულობის ხარისხით ყალიბდება სრულიად ახალი თვისებრიობა - ინტეგრაციული პროცესები იძენს მთლიანობითი სისტემის ხასიათს.²

მცირე ბიზნესის ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს. მეცნიერულ ლიტერატურაში თითქმის ყველა განსაზღვრების საფუძველად აღებულია ბიზნესის წარმოების მცირე მასშტაბები, ასე მაგალითად: „მცირე ბიზნესი - მცირე ფირმის სამენარმეო საქმიანობაა, რომელსაც მიეკუთვნება ინდი-

1 იქვე.

2 იხ. ჟურნ. „ეკონომიკა“. №4, 2004წ., გვ. 135.

ვიდუალური მენარმეობა და წვრილი ფირმები... მცირე ბიზნესი - ბიზნესი, რომელიც მცირე ფორმებში ხოერციელდება და კერძო მენარმეების მცირე ფირმების, პატარა სანარმოების სამენარმეო საქმიანობას ეყრდნობა. მცირე ბიზნესი წარმოების, ვაჭრობის, მომსახურების სფეროს ზოგიერთი სახეობისთვის არის დამახასიათებელი.¹

ზემოაღნიშნულ განსაზღვრებებში მცირე ბიზნესის საფუძვლად მარტო წარმოების სიდიდე, მასშტაბები, ვფიქრობთ საკმარისი არ არის. ჯერ ერთი სიდიდით შეიძლება პატარა იყოს საშუალო და მსხვილი ბიზნესიც; მეორე, მცირე ბიზნესი მარტო წარმოების და მომსახურების სფეროთი როდი შემოიფარგლება. იგი შეიძლება იყოს დამახასიათებელი არანარმოებით სფეროშიც; მესამე, მცირე ბიზნესის განმარტებისას გვერდს ვერ ავუვლით სოციალურ მხარეს, ვინაიდან მცირე და საშუალო სანარმოთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა მთელი რიგი სოციალურ საკითხთა გადაწყვეტა. ცნობილია, რომ საკუთარი წარმოებით მცირე და საშუალო სანარმოები ქმნიან პირობებს სამუშაო ადგილების შექმნისათვის. მათ მასშტაბილიზებული ეფექტი აქვთ შრომის ბაზარზე და კრიზისების დროს ჩვენი აზრით, უფრო, მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან, ვიდრე დიდი, მსხვილი სანარმოები. მაგალითად, გერმანიაში მცირე და საშუალო სანარმოები შრომისუნარიანი მოსახლეობის ორ მესამედს ასაქმებს. აღმოსავლეთ გერმანიაში მცირე და საშუალო სანარმოები ახალი სამუშაო ადგილების შექმნით გადაიქცა ყოფილი სახელმწიფო სანარმოებიდან გამოთავისუფლებული სამუშაო ძალის მიმღებ რეზერვუარად.²

ცნობილია ისიც, რომ მსოფლიოს მშპ-ში 60% წილი შეაქვს მცირე და საშუალო ბიზნესის ფირმებს, რომელთა საქმიანობის სფერო მომსახურეობაა და ამ სფეროში 40% ტვირთების გადაზიდვების მომსახურების ბიზნესია. აშშ-ში დანყებული 90-იანი წლებიდან და განსაკუთრებით 2000-იან წლებისათვის სამუშაო ადგილების შექმნის ცენტრი მსხვილი კომპანიებიდან გადავიდა მცირე და საშუალო

1 ს. ყამარაული, უნივერსალური ბიზნეს-ლექსიკონი, თბ., 2002წ., გვ. 85; 347.

2 რ. გველესიანი, მცირე და საშუალო მენარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა. თბ., 1999, გვ. 14.

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ბიზნესის სექტორში. აშშ-ში ყოველწლიურად იქმნება 600000 ახალი საწარმო, რაც 7-ჯერ მეტია, ვიდრე 80-იან და 90-იან წლებში იყო. 1990 წლიდან შექმნილ 40 მილიონ სამუშაო ადგილიდან ახალ ტექნოლოგიებზე მოდის მხოლოდ 5-6 მილიონი კაცი. ყოველ 100 ახალ საწარმოზე მოდის ერთი, ან ორი ახალი ტექნოლოგია.¹

რაც შეეხება იტალიას, აქ სამრეწველო საწარმოების 99% მცირე და საშუალოა. ისინი იტალიაში საექსპორტო პროდუქციის 60%-ს აწარმოებენ, გერმანიაში და შოლანდიაში 40%-ს, საფრანგეთში 25%-ს, იაპონიაში 15%-ს.²

მცირე ბიზნესში დიდი წარმატებებით ცნობილია იაპონიაც. 2006 წლის მონაცემებით, იაპონიაში მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდიოდა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის 55%, საცალო ვაჭრობის 80% და საბითუმო ვაჭრობის 50%-ზე მეტი. იაპონიის მხოლოდ გადამამუშავებელ მრეწველობაში ფუნქციონირებს 6 მილიონზე მეტი მცირე და საშუალო ზომის საწარმო, რომლებშიც საერთოდ მრეწველობაში დასაქმებულთა 75%-ზე მეტი მოდის.³

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე ეტაპზე მცირე ბიზნესის საწარმოების კლასიფიკაცია ხდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესაბამისად. რაოდენობრივ მაჩვენებლებში იგულისხმება: ა) საწარმოში დასაქმებულთა რიცხოვნობა (ეს მაჩვენებელი გავრცელებულია უფრო მეტად); ბ) წარმოების წლიური მოცულობა; გ) გაყიდვების წლიური მოცულობა; დ) აქტივებში საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება. ხარისხობრივი მაჩვენებლებია: ა) საწარმო ფლობს ბაზრის მცირე წილს; ბ) საწარმოს მართვა ხორციელდება პირადად მეპატრონის მიერ; გ) საწარმო წარმოადგენს დამოუკიდებელს და არ ემორჩილება მსხვილ კომპანიას.⁴

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია (OECD) რომელშიც შედიან განვითარებული ქვეყნები, განსაზღვრავს საწარმოთა შემდეგ კლასიფიკაციას: 19 კატამდე რაოდენობით - როგორც „მეტად მცირეს“, 90-მდე კაცს -

1 Питер ф. Друкер. Рынок как выйти в лидеры. М. 2008, с. 10.

2 Ж. Экономика Украины, 2005, №6, стр. 75.

3 ჟურნ. „ეკონომიკა“, №7, 2009, გვ. 222.

4 М.Г. Капуста, Ю.Л. Старстин, Малое предпринимательство, учебник, М., 2007.г.

როგორც მცირეს, 100-დან 499 კაცამდე, როგორც „საშუალოს“ და 500-ზე მეტი - როგორც „მსხვილს“.

უცხოური და სამამულო გამოცდილების შესწავლით დადგენილია მცირე ბიზნესის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დადებითი მხარეებიდან აღსანიშნავია:

1. მცირე საწარმოების შეზღუდული ბაზრის პირობებშიც კი შეუძლიათ მოძებნონ და დაიკავონ ნიშა და იმუშაონ მომგებიანად. მცირე ბიზნესის უპირატესობაა მოქნილობა და საბაზრო სიტუაციებზე სწრაფი რეაგირება;

2. ადგილობრივ პირობებთან იოლი ადაპტაცია;

3. სამეურნეო საქმიანობის განხორციელების (მართვისას) შედარებით დაბალი ხარჯები;

4. ინდივიდის დიდი შესაძლებლობა - რეალიზაცია გაუკეთოს თავის იდეებს, გამოავლინოს თავისი უნარი;

5. პირველსაწყის კაპიტალზე შედარებით მცირე მოთხოვნილება და ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის საპასუხოდ სწრაფი ცვლილებები პროდუქციასა და წარმოების პროცესში;

6. საკუთარი კაპიტალის უფრო მაღალი ბრუნვაობა.

მცირე და საშუალო საწარმოებს, მსხვილ კომპანიებთან შედარებით, გააჩნიათ მნიშვნელოვანი კონკურენციული უპირატესობები: ერთ მუშაკზე გაანგარიშებით თხოულობენ ნაკლებ კაპიტალ-დაბანდებებს და ფართოდ იყენებენ ადგილობრივ მატერიალურ და შორმით რესურსებს.

მცირე ბიზნესის მესაკუთრეები უფრო მეტად ცდილობენ სახსრების დაზოგვას და ორიენტირებულნი არიან ინვესტირებაზე, წარმატების მიღწევაში მათ ყოველთვის პირადი მოტივაციის მაღალი დონე აქვთ, რაც დადებითად მოქმედებს საწარმოს საქმიანობაზე. მცირე ბიზნესი უკეთესად არის ინფორმირებული ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის შესახებ, ხშირად დოვლათს აწარმოებს კონკრეტული მომხმარებლის შეკვეთით. მცირე ბიზნესი მსხვილთან შედარებით ხელს უწყობს: ახალი სამუშაო ადგილების, კარიერის შექმნას და შორმითი რესურსების დასაქმებას; მცირე ბიზნესს ცალკეულ ქვეყნებში უკავია დომინირებული მდგომარეობა, როგორც რიცხოვნობით, ასევე საქონლის (შესრულებული სამუშაოს, მომსახურების) წარმოების ხვედრითი წილის მიხედვით.

აქონობის თეორიის თანამართლება პრობლემა

ხაზგასმულია, რომ მცირე ბიზნესს აქვს გარკვეული სუსტი მხარეებიც:

1. წარუმატებლობის მაღალი მაჩვენებელი. მცირე კომპანიები, ფირმები უფრო სწრაფად იბადებიან, მაგრამ ასევე სწრაფად კოტრდებიან.

2. რისკის უფრო მაღალი დონე, რაც განაპირობებს ბაზარზე მდგომარეობის ნაკლებ სიმყარეს;

3. მსხვილ კომპანიებზე დიდი დამოკიდებულება;

4. მმართველური გამოცდილების ნაკლებობა;

5. ხელმძღვანელთა სუსტი კომპეტენტიურობა, მეურნეობრიობის პირობების ცვლილებებისადმი ამაღლებული მგრძობელობა;

6. დამატებითი ფინანსური სახსრების შესებებაში და კრედიტების მიღებაში სიძნელებები;

8. მცირე ბიზნესის წარუმატებლობის (ბანკროტობის) სხვა მიზეზებია: ბიზნესის ხელმიშვეულობა, უყურადღებობა, აგრეთვე კატასტროფები, ხანძარი, ქურდობა, თაღლითობა და სხვ.

მცირე ბიზნესის წარმატების შანსი იზრდება მისი მომნიშვნელობა და განვითარების შესაბამისად. ფირმები, რომლებიც დიდხანს არსებობენ ერთი მფლობელის ხელში, იღებენ უფრო მაღალ და სტაბილურ შემოსავალს, ვიდრე ის ფირმები, რომლებიც ხშირად იცვლიან მფლობელს.

მცირე ბიზნესის მეურნეობრიობის ნაკლებად ხელსაყრელი პირობები განაპირობებენ მათ ნაკლებ სიმყარესა და ნაკლებ კონკურენტუნარიანობას. ამიტომ იგი საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას. სწორედ ამის გამოა, რომ ბავშვის მსგავსად, უმრავლეს ქვეყნებში სახელმწიფო მცირე ბიზნესს ზრდა-განვითარებაში ეხმარება. ეს განპირობებულია იმით, რომ მისი განვითარების მიხედვით მხოლოდ საბაზრო ძალებისადმი, საჭირო სოციალურ-ეკონომიკურ შედეგს არ მოგვცემს. აუცილებელია მცირე ბიზნესის მხარდაჭერა ფინანსური სახსრების მოზიდვაში, ინფორმაციულ უზრუნველყოფაში, მარკეტინგულ მომსახურებაში, კვალიფიციური კადრების მომზადებაში და სხვ. იგი მხარდაჭერას საჭიროებს აგრეთვე იმიტომ, რომ აქ დაბალია პროდუქციის დივერსიფიკაციის დონე, ფლობს მცირე სანესდებო კაპიტალს და რესურსებს. დაბალია მენეჯმენტის დონე, მკვეთრად რეაგირებს საბაზრო კო-

ნიუქეტურის ცვლილებაზე და ა.შ.

მეტად საყურადღებოა მცირე ბიზნესისადმი მხარდაჭერის მსოფლიოში ყველაზე წარმატებული ამერიკული მოდელი (აშშ-ში მცირე მენარმეობა მოსახლეობის 95%-ს ასაქმებს), რომლის გამოყენება დიდად წაადგება ქართულ ეკონომიკას. ამ სასწაული ეკონომიკური და სოციალური ფენომენის საფუძვლები კი შექმნეს ქვეყანაში ეტაპობრივად მიღებულმა და ცხოვრებაში რეალურად გატარებულმა შემდეგმა ნორმატიულმა აქტებმა, რომლებიც საქართველოსთვისაც უნდა გახდეს ორიენტირები:

– 1956 წელს აშშ-ში მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერისა და საკანონმდებლო რეგულირებისათვის შეიქმნა მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია ასეულობით რეგიონული სტრუქტურებით, სადაც მცირე ბიზნესის წინაშე მდგარ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე ყოველდღიური მალაკვალიფიციური საქმიანობით დაკავებულია ათასობით ექსპერტი და სპეციალისტი. ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში, რომელიც არ ემორჩილება არცერთ სამინისტროს, ან რაიმე სახელმწიფო უწყებას და იმყოფება უშუალოდ მხოლოდ პრეზიდენტის კურირების ქვეშ;

– 1976 წელს აშშ-ის მცირე ბიზნესის ადმინისტრაციასთან დაარსდა ადვოკატურის სამმართველო, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით იურიდიულად იცავს მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა ინტერესებს. ვინც წინ აღუდგება მცირე ბიზნესის წარმომადგენლების უფლებებს, მას საქმე აქვს უშუალოდ პრეზიდენტთან და კონგრესთან (ადვოკატურის სამმართველოს უფროსი ინიშნება პირადად პრეზიდენტის მიერ, რასაც ამტკიცებს კონგრესი).

– 1980 წელს აშშ-ში მიიღეს კანონი „მცირე ბიზნესის ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ“, რომელმაც უდიდესი სტიმული მისცა ქვეყანაში მცირე ბიზნესის სწრაფი ტემპით განვითარებას. ყოველივე ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ კანონში პირდაპირ ჩაინერა პრეზიდენტისადმი პერსონალური დავალება, რომელთა შეუსრულებლობაზე პრეზიდენტი პასუხისმგებელია კონგრესის წინაშე.

მცირე მენარმეებისადმი მხარდაჭერის ამერიკული მოდელის საქართველოში დასაწერად 1998 წელს შექმნილმა საქართველოს თავისუფალ მცირე მენარმეთა ასოციაციამ 2003 წელს დაამუ-

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

შავა მცირე მენარმეობის 5 ძირითადი პრობლემის მოგვარებაზე გათვლილი 5 კანონპროექტისაგან შემდგარი „პროგრამა-დეკრეტი საქართველოში მცირე ბიზნესის რეფორმების შესახებ“, რომლის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები 2003წ. 7 აგვისტოს შეთანხმდა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან. ამ სამინისტროს წამყვანი სპეციალისტები დათანხმდა იმაზე, რომ ამერიკული მოდელის შესაბამისად მოცემულ ეტაპზე მცირე და საშუალო საწარმოების ცნებები გაერთიანდებოდა ერთი, კერძოდ, მცირე მენარმის ცნებაში, რომლის სტატუსის განსაზღვრის წლიური ბრუნვა იზრდებოდა და უახლოვდებოდა ევროსაბჭოს რეკომენდაციებს. იზრდებოდა 1999 წლის კანონით დაარსებული მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის უფლებები და ამერიკული მოდელის შესაბამისად გათვალისწინებული იყო აგრეთვე ახლადგახსნილი მცირე საწარმოების 2 წლით განთავისუფლება შემომნებებისაგან, მცირე მენარმეებისათვის თვითდაფინანსების რეჟიმების დაარსება საკუთარი საინვესტიციო ბანკის ჩათვლით. რაც მთავარია, მცირე მენარმეებისათვის დაწესდებოდა ერთადერთი ამოსარჩევი ფიქსირებული მცირე ბიზნესის გადასახადი, რომელიც იქნებოდა ადგილობრივი გადასახადი. მიუხედავად ამისა, ფაქტია რომ ჯერჯერობით ზემოაღნიშნული მოდელის დანერგვა არ მომხდარა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ამერიკული მოდელის დანერგვა ყველაზე პრიველად უნდა შეეხოს მცირე მენარმეობის მატერიალური წარმოების სექტორს, რადგან მცირე მენარმეობაში მატერიალური საწარმოების სექტორს განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭება. სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება, რომ ამ სექტორში ერთი დასაქმებული მცირე მენარმეობის სხვა სექტორებში, მაგალითად, ვაჭრობაში, მოსახურებაში და სხვ. ავტომატურად დასაქმებს დამატებით 3 ადამიანს. საქართველოში კი ეს გამოცდილება აბსოლუტურად იგნორირებულია მაშინაც კი, როცა სააუზარი ზოგადად მოსახლეობის დასაქმებას ეხება, ან როდესაც დასაქმებაზე გამიზნული გრანტების განაწილება ხდება.¹ ეტყობა ამ საქმეში ლომის წილი, ჩვენი აზრით, ზოგიერთ უცხოელ ექსპერტებსაც მიუძღვით, რომლებიც მაინცდამაინც დაინტერესებული

1 უურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, დეკემბერი, 2009, გვ. 25.

არ არიან საქართველოში მატერიალური სანარმოების განვითარებით (ამ სფეროს განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს უცხოური კომპანიების ბაზრის ნაწილის დაკარგვა საქართველოში.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ რომ ქართული მცირე მენარმეობა იმთავითვე ასცდა მსოფლიო მცირე მენარმეობის განვითარების აპრობირებულ გზას. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მცირე სანარმოების მატერიალური ნარმოების სექტორისათვის ფიქსირებული გადასახადების შემოღების მოთხოვნა დავასახელოთ. არადა ცნობილია, რომ მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული პრზიდენტის რონალდ რეიგანის მიერ დაარსებული საერთაშორისო ორგანიზაციის - საერთაშორისო კერძო სანარმოების ცენტრის (CIPE) აღმასრულებელმა დირექტორმა, ბ-ნმა კ. დონოვანმა, თბილისში ჩამოსვლისას კონფერენციაზე (იგი დაპატიჟეს საქართველოში ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის აპოლოგეტებმა) თავისი ოც გვერდიანი გამოსვლის დასაწყისშივე ხაზგასმით აღნიშნა: „თუ ხელისუფლებას სურს ქვეყანა გამოიყვანოს ეკონომიკური კრიზისიდან, აუცილებლად უნდა იყოს შემოღებული ფიქსირებული გადასახადები“!

მცირე ბიზნესის თავისებურებებისა და პრობლემების დახასიათებისას, ეხება რა მცირე ბიზნესის მკვეთრად გამოხატულ სოციალურ ფუნქციას, პროფესორი ბესიკ ბაუჩაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ მცირე ბიზნესი არის „მოსახლეობის თვითდასაქმებისა და აქედან გამომდინარე, მისი „არდამშეულობის“ საუკეთესო საშუალება. მოსახლეობის დამშეულობა კი, რითი მთავრდება, ... ყველაზე კარგად... ხელისუფლებას უნდა ესმოდეს. მედალს მეორე, პოლიტიკური მხარეც აქვს - „არდამშეული“ მოსახლეობა შინაგანად თავისუფალია, ნაკლებად არის დამოკიდებული ხელისუფლებაზე და არჩევნების დროს სწორ არჩევანს აკეთებს. თავისუფალ საზოგადოებაში ეს „ყიდვა“ მხოლოდ ბაზრის (ქვეყნის) განვითარებისთვის ნორმალური პირობების შექმნით არის შესაძლებელი. “გადასახადი არის სავალდებულო და უპირობო შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან

1 ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, დეკემბერი, 2009, გვ. 25.

გამომდინარე”¹. მართლაც, გადასახადების გადახდა აუცილებელია და ამაზე არავინ დაობს. პროტესტს ამ გადასახადების ზომამ იწვევს ხოლმე (ამჟამად, ახალი მთავრობის პირობებში მიმდინარეობს კანონპროექტის განხილვა დაუბეგრავი მინიმუმის შემოღების შესახებ, რაც, ვფიქრობთ, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. აღსანიშნავია ის დადებითი ტენდენციებიც, რომელიც გამოიწვია მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისათვის შემოსავლების აღრიცხვის სპეციფიკური წესის შემოღებამ, კერძოდ, იმან, რომ მათ მიეცათ უფლება არ აღრიცხონ შემოსავლები და ხარჯები, ასეთი აღრიცხვა აწარმოონ სპეციალური ჟურნალის მეშვეობით - მათ შორის ელექტრონული ფორმით). ვერცერთი მენარმე (თუნდაც არამენარმე) ვერ გადაიხდის იმდენ გადასახადს, რამდენიც ამა თუ იმ ხელისუფლებას სურს. მას მხოლოდ იმდენის გადახდა შეუძლია, რამდენის საშუალებაც აქვს. საშუალება კი იმდენადვე მცირეა, რამდენადაც სუსტია ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა. აქედან გამომდინარე, მსჯელობა იმაზე, რომ საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემა საერთაშორისო სტანდარტებს მიახლოებულია - ან დემაგოგია, ან უბრალოდ არაკომპეტენტურობად შეიძლება ჩაითვალოს. ცნობილია, რომ ჩვილი ბავშვი ზრდასრული ადამიანის ტანსაცმელს ვერ მოირგებს. ამიტომ ნებისმიერი ქვეყნის მთავრობის ვალია გამოიკვლიოს რამდენის გადახდა შეუძლია მცირე მენარმეს, ბიზნესმენს საერთოდ ზარალის გარეშე რამდენი დაუწესოს გადასახდელად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, (სენტ-ეგზიუპერს დავესხებოთ), თუ ხელისუფალს სურს, რომ მისი ბრძანება სრულდებოდეს, მზეს ჩასვლის დროს უნდა უბრძანოს ჩასვლა. შეცდომაა ის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სიმცირე, ადმინისტრირების დაბალი დონით იყოს გამომწვეული. ადმინისტრირება ნამდვილად ხდება, მაგრამ მთავარია სად მიდის შემდეგ ეს ამოღებული თანხა. ჩვენი აზრით, 2008 წელს მიღებული კანონი სამენარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ და ცვლილება საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც მენარმეს უფლება აქვს საგადასახადო ინსპექციის გარდა არცერთ მაკონტროლებელ უწყებას არ გააცნოს ფინანსური დოკუმენტაცია, წინგადადგმული ნაბიჯია. მაგრამ ეს ნორმა არ მუშაობს. რატომ? იმიტომ რომ

1 ი.მესხია. ბიზნესის საფუძვლები. სახ.- თბ., 2011. გვ. 337

მოქმედი გადასახადების პირობებში მენარმე იძულებულია, დამალოს გადასახადები და, რაც მთავარია, თავი კანონდამრღვევად იგრძნოს. მისთვის ისიც ცნობილია, რომ ეს მაკონტროლებელსაც მშვენივრად ესმის. ამიტომ კანონზე დამყარებულ მის უკანონო მოთხოვნებს ემორჩილება. ამ ფაქტორისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარე სწორედ მცირე ბიზნესია, რადგან მსხვილ ბიზნესმენს თავდაცვის მეტი საშუალება აქვს.¹

ძალიან ცუდი შედეგები მოაქვს მთავრობის მიერ კანონმდებლობის ყოველდღიურ ცვლილებებს. ეს გარემოება ქმნის ეკონომიკურად არაჯანსაღ ბიზნეს გარემოს, რომლის დროსაც ბიზნესის ხანგრძლივი დაგეგმვა არ ხერხდება. ასეთ დაუგეგმავ ბიზნესში კი ფულს არავინ, მითუმეტეს უცოხელი ინვესტორი არ ჩადებს, ან თუ ჩადებს, ძალიან ძვირად. ინვესტიციის, მითუმეტეს უცხოური ინვესტიციის გარეშე კი, ცნობილია, რომ ქვეყნის ეროვნული წარმოების განვითარება წარმოუდგენელია. ყოველივე ეს ბიზნესის დაბალეფექტიანობას ინვესს. ბიზნესის დაბალი ეფექტიანობა, ბუნებრივია, ინვესს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებას. ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია მთავრობის ხშირ ცვლასთან (ბიუჯეტის შეუსრულებლობა კანონის დარღვევაა, და როგორც წესი მთავრობის შეცვლას მოითხოვს). ასე რომ მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ხელის შეწყობა (თუნდაც ხელის არ შეშლა) სასარგებლო უნდა იყოს ხელისუფლებისათვისაც და საერთოდ ქვეყნის განვითარებისათვის. საბოლოოდ კი, მივდივართ ასეთ დასკვნამდე - რაც უფრო მძიმდება ლეგალური ბიზნესის საგადასახადო ტვირთი, მით უფრო ჩქარა გადადის იგი ჩრდილში და იზრდება ჩრდილოვანი ეკონომიკის წილიც:

ამრიგად, თუ გვინდა რომ საერთოდ მენარმეობას, ბიზნესს ხელი შევუწყოთ, უნდა ვეცადოთ, ყოველი მათგანის, მცირე, საშუალო თუ მსხვილი ბიზნესის პრობლემებში გავერკვეთ. „მცირე ბიზნესი ქვეყნის გადარჩენის პანაცეა ნამდვილად არ არის, მაგრამ გარდაუვალი აუცილებლობაა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბელურების მოსპობით მარცვლეულის მოსავალი კი არ მატულობს, არამედ მთლიანად ჩანაგდება და მას იმავე ბელურების მიერ შეუჭმელი

1 უურნ. „ეკონომიკა“, №9-12, 2009წ., გვ. 168-169.

ჭია-ლუა აჩანაგებს¹”.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის მთავარია, რომ ბიზნესმენს არ ჰქონდეს განცდა და მისწრაფება ყველანაირი გზით თავი დაიძვრინოს გადასახადების გადახდისაგან. სხვანაირად რომ ვქვათ, მენარმის დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი დისკრიმინაციული არ უნდა იყოს. ნორმალური მდგომარეობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუკი საადასახადო კანონმდებლობა ნამდვილად განთავისუფლდება ე.წ. „ჩასაფრებული“ და ორმაგი სტანდარტების რეჟიმებისაგან. აგრეთვე, მაშინ, როცა საადასახადო ორგანოს ამკარა შეცდომის გამო დაკისრებული გადასახადების თაობაზე მტკიცებულების ტვირთი ყველა შემთხვევაში გადამხდელს ეკისრება და მისი გაქარწყლებისათვის სახელმწიფოსაგან განსხვავებით დამატებით სოლიდური ოდენობის სასამართლო თუ საადვოკატო ხარჯების განევა უხდება. არაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, როცა გადასახადის გადამხდელი თავს არიდებს ასეთი ხარჯების განევას, არ უღირს ნერვების მოშლის ფასად და არც ასაჩივრებს ასეთ უკანონო გადაწყვეტილებებს. ასეთ პირობებში ბიზნესმენის გონების მთავარი საზრუნავი ბიზნესის დაწყებამდე და მისი კეთების პროცესშიც ისაა, რომ გამონახოს გზები, რაც შეიძლება ნაკლები ან სულაც არ გადაიხადოს, ნაცვლად იმისა, რომ მთელი ძალისხმევა მიმართოს კონკურენციის დაძლევისათვის და მაღალი მოგების მისაღებად. საპირისპიროდ ამისა, ხელისუფლებაც მოძებნის ხოლმე გზას ბიზნესმენის დასასჯელად.

ყოველივე ამით ზარალდება სახელმწიფოც და ბიზნესიც. ნამდვილი ბიზნესი მარტო საარსებო საშაულებათა შოვნის წყარო კი არ უნდა იყოს, არამედ ის ხელოვნების რანგში უნდა იქნეს აყვანილი. თუ გამოვალთ ბიზნესის სოციალური ორიენტაციიდან, მაშინ ბიზნესისაგან, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესისაგან ადამიანებმა მარტო ფულადი მოგება კი არა, არამედ სიამოვნება და ხანგრძლივადიანი კეთილდღეობა უნდა მიიღონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზნესი დაიმალება ან სხვაგან გადავა თუ სხვა ფაქტორებთან ერთად არ შეიქმნება პროგნოზირებადი და ხანგრძლივადიანი სოციალურ-ეკონომიკური სამენარმეო გარემო. ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში ბიზნესმენი თვითონ შექმნის

1 ურნ. „ეკონომიკა“, №9-12, 2009წ., გვ. 169.

მეტ სამუშაო ადგილებს, რადგან ამის გარეშე მისი განვითარება შეუძლებელია. ანუ ბიზნესსა და დასაქმებას შორის დიალექტიკური კავშირია. ბიზნესს სჭირდება მეტი დასაქმებული და დასაქმებულსათვის კი საჭიროა ბიზნესის განვითარება.

ამრიგად, თუ მთავრობა დაინტერესებულია მცირე და საშუალო ბიზნესის და განსაკუთრებით მატერიალური ეროვნული მცირე მენარმეობის სექტორის განვითარებით, აუცილებლად უნდა იზრუნოს შეღავათიანი ან უპროცენტო კრედიტის გამოყოფაზე, აღადგინოს (ან მისი მსგავსი სტრუქტურა შექმნას) მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის ცენტრი, რაც ფეხზე დააყენებს მთელ ქართულ - ეროვნულ მცირე მენარმეობას. შესაბამისად, თანდათანობით და გეგმაზომიერად გადაიჭრება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები - ხალხის დასაქმება, სიღარიბე დაიძლევა, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილიზაციას. ხელსაყრელი საგადასახადო და სტაბილური პოლიტიკური გარემო, ინვესტიციების მოზიდვისათვის სახელმწიფოს მხრიდან სხვა ხელშემწყობი პირობების შექმნა, ბიზნეს გარემოს კვალიფიციური გამოკვლევა, მეცნიერული ანალიზი, დასკვნების გაკეთება, მათი საჯაროობა, სახელმწიფოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია, რეგიონების მიხედვით პრიორიტეტების განსაზღვრა, ბიზნეს-პროექტების საფუძველზე სამთავრობო თუ სხვა პროგარმით ინვესტიციების მოზიდვა, მის გამოყენებაზე მონიტორინგის წამოვება, შედეგების განზოგადება, ბიზნესის წარმოებისათვის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადება-გადამზადება, სახელმწიფო აპარატისადმი ბიზნესმენის ნდობის ამაღლება და ადგილობრივი სამამულო-საექსპორტო წარმოებისათვის ეროვნული პოლიტიკის გატარება - აი ის ძირითადი კრიტერიუმები, რომელიც იმავდროულად უზრუნველყოფს როგორც წარმატებული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ისე მოსახლეობის დიდი ნაწილის დასაქმებას და შესაბამისად ეკონომიკური კრიზისის დროულად დაძლევას.



ფინანსები, ბანკები, ბირჟები



ფინანსური თაღლითობის ერთი მაგალითის შესახებ. ანუ ინტრიბა ფასიანი ქაღალდებით

რუსუდან პაპასკირი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

ბაფის პროფესიული სერტიფიცირების 2011 წლის ივლისის გამოცდების ერთ-ერთ ტესტში დასმულ კითხვას – „რომელი შემთხვევა შეიძლება მიჩნეული იქნეს, როგორც წესი, თაღლითობად?“¹ ოთხი ასეთი სავარაუდო პასუხი ჰქონდა:

- ა) ბუღალტრის შეცდომა გადასახადების დაანგარიშებისას;
- ბ) აუდიტის კომიტეტის უუნარობა, შეისწავლოს და შეაფასოს საექვო გარიგება;
- გ) დირექტორის მიერ შემოსავლების ხელოვნურად გაზრდა;
- დ) საერთაშორისო სტანდარტების დარღვევა.

ჩატარებული გამოცდების ანალიზმა აჩვენა, რომ სტუდენტების უმრავლესობას შემოხაზული ჰქონდა მეოთხე – „დ“ სავარაუდო პასუხი. გამოცდების შედეგების ანალიტიკოსი ბ. ალავერდაშვილი „დ“ პასუხის არასწორობას სტუდენტებს ასე უსაბუთებს: „მსგავსი შეკითხვა წინა გამოცდაზეც მოვიდა და ახლაც გავიმეორებთ, რომ ACCA-ის კურსის ფარგლებში ხშირად მიმართავენ სტანდარტებს. ეს არ ნიშნავს, რომ პასუხის არჩევისას ეს მაგიური ტერმინი (ავტორს მხედველობაში აქვს ტერმინი „სტანდარტი“ – რ. პ.) უნდა მონიშნოთ მხოლოდ იმიტომ, რომ გგონიათ, ამის მოსმენა სურთ გამომცდელებს. უბრალო ლოგიკა მიგვანიშნებს, რომ შემთხვევითი შეცდომა, თუნდაც ამით სტანდარტი დაირღვეს, თაღლითობის დასამტკიცებლად საკმარისი მტკიცებულება არ არის, თუ არ

1 ბ. ალავერდაშვილი, ბაფის პროფესიული სერტიფიცირების 2011 წლის ივლისის გამოცდების ანალიზი, ჟ. „ბუღალტრული აღრიცხვა“, №8, 2011. გვ. 6.

ჩანს განზრახვა და გარკვეული სიკეთის მიღების სურვილი. ასეთი განსაზღვრა და სურვილი კი მხოლოდ „გ“ პასუხში მოიაზრება.

მე შევეცადე გამერკვია, რატომ ხდება, რომ ყოველ წელს ამ გამოცდებზე გასული სტუდენტების უდიდესი უმრავლესობა სწორედ „გ“ პასუხს არ მიიჩნევს თაღლითობად. ამის გასარკვევად, უპირველესად, განვმარტოთ, თუ რა არის თაღლითობა. თაღლითობა, ეს არის ქმედება, რომელიც მის „შემოქმედს“ უკანონოდ აძლევს რაღაცა სარგებელს. ახლა ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა სარგებელს მისცემს საქართველოს კომპანიებს შემოსავლის ხელოვნური გაზრდა, ანუ შემოსავლის გაზრდა, ფიქტიურად, მხოლოდ ქალაქებზე (ბულალტრულ ჩანანერებში). ჩემი აზრით, რადგან გაზრდილი შემოსავალი სამეურნეო სუბიექტს აქცევს მაღალი დაბეგვრის ობიექტად, ასეთი ოპერაცია მას სარგებელს კი არა, ზარალს მისცემს. ასეთ შემთხვევაში მას მოუწევს იმ შემოსავალზეც კი მოგების გადასახადის გადახდა, რომელიც მას პრაქტიკულად არ მიუღია. ჩვენ სწორედ ასე ვასწავლით სტუდენტებს თეორიულადაც და პრაქტიკულადაც.

მაშ რა ხდება, რატომ ვასწავლით ერთს და ვთხოვთ მეორეს? ამის მიზეზი არის საზღვარგარეთის პრაქტიკის გავლენა. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს იქ გაზრდილ შემოსავლებზე გადასახადი არ ეზრდებათ, ან პირიქით – უმცირდებათ. სრულიადაც არა. იქ მოგების გადასახადის განაკვეთიც კი რანჟირებულია შემოსავლის სიდიდის მიხედვით (რაც ჩვენთან არ არის) და რაც მეტია შემოსავალი, მით მაღალია მოგების გადასახადის განაკვეთი. ეს იმას ნიშნავს, რომ შემოსავლის ხელოვნური გადიდებით იქაური კომპანია უფრო მეტად დაზარალდება, ვიდრე საქართველოში მოქმედი კომპანია. ამის მიუხედავად, ევროპის და ამერიკის კომპანიები (კერძოდ, მსხვილი კორპორაციები) ამ მსხვერპლზე მიდიან და იყენებენ აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ყველა „ხვრელებს“ ოპერაციული შემოსავლების ხელოვნურად გასაზრდელად. თუ რა სარგებელი აქვთ მათ ამით, და, მაინცდამაინც რატომ ოპერაციულ შემოსავლებს ზრდიან და არა არაოპერაციულს, ამაზე ქვემოთ მექნება საუბარი.

შემოსავლების ხელოვნურად ზრდის მაქინაციებს, ძირითადად, ადგილი აქვს ამერიკის და ევროპის მსვილ კორპორაციებში. ამის

მაგალიტები მოხდა კომპანიებში: „McDATA“ (2004 წელს), „Cendall Squarch Corporation“ (1993 წელს), „Brightpoint Inc“ (1998 წელს), „THQ Inc“ (2005 წელს), „Time Warner Telecom“ (2007 წელს), „Marvell Xerox“, „Time Warner Telecom“ (2007 წელს). მათთან დაფიქსირდა შემოსავლის მექანიკურად ზრდის და საამორტიზაციო ხარჯების ხელოვნურად შემცირების მრავალი ფაქტი,¹ ეს ის კომპანიებია, რომელთა აქციები იყიდება ნიუ-იორკის, ტოკიოს და ლონდონის ბირჟებზე, სადაც გასაყიდად გამოტანილი აქციების ფასები, და საბოლოო ჯამში, ემიტენტ-კომპანიების საბაზრო ღირებულება დამოკიდებულია ამ კომპანიების ფინანსურ მდგომარეობაზე, რასაც, ძირითადად, მაღალი საოპერაციო შემოსავალი და, აქედან გამომდინარე, საოპერაციო მოგება აპირობებს. ყოველივე აქედან გამომდინარე, საზღვარგარეთის მსხვილი კორპორაციები მუდმივად ცდილობენ საკუთარი შთამბეჭდავი სურათი შექმნან ბირჟაზე და ამით ინვესტორები მოიზიდონ. მაშასადამე, შემოსავლების ხელოვნური ზრდა, მართალია, მათ დასაბეგრ ბაზას უზრდის, მაგრამ უმაღლებს საინვესტიციო მიმზიდველობას, რომელიც, როგორც ჩანს, მათ უფრო მეტი უღირთ, ვიდრე „ხელოვნურად შექმნილ შემოსავალზე“ გადახდილი გადასახადი.

რადგან საქართველოში საფონდო ბირჟა არ მუშაობს, ამიტომ საქართველოს სააქციო საზოგადოებებს, რომელთა აქციები კოტირებულია ბირჟაზე, ყალბი პოზიტიური ფინანსური ანგარიშგებების ხელოვნური სურათის შექმნის ცდუნება არ გააჩნიათ. უფრო – პირიქით: ისინი შემოსავლის არა ზრდის, არამედ შემცირების „ხვრელებს“ ეძებენ. ასე რომ, საქართველოში ვერ იპოვით ფირმას, რომელიც შემოსავლის ხელოვნური ზრდის მაქინაციებს ასრულებს. შემცირების მცდელობებს კი ხშირად აფიქსირებენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური და კონტროლის პალატა. საქართველოში, ძირითადად, ეს ორი ორგანო ახორციელებს კომპანიების ფინანსურ კონტროლს. ასეთ დროს ევროპასა და ამერიკაში ასეთი ქმედებების პრევენციისა და აღმოფხვრისათვის მრავალი სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია მუშაობს (აშშ-ში: SEC U. S. Securities and Exchange Commission, Fi-

¹ შ. შალაშვილი, ფინანსური მაქინაციები და მათი აღმოფხვრის გზები – მსოფლიო პრაქტიკა, ჟ. „ბულალტრული აღრიცხვა“, №6, 2011. გვ. 32-36.

nancial research and Analysis და სხვ.; ევროპაში: European Securities and Markets Authority და სხვ.). მათ უფლება აქვთ, ჩაატარონ დამოუკიდებელი საგამოძიებო პროცედურები და აღმოჩენილ თაღლითობასა და მაქინაციებს დააკისრონ სათანადო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ასე რომ, ჩემი აზრით, მანამ სანამ საქართველოში საფონდო ბირჟა სრულფასოვნად არ ამუშავდება, კომპანიები არ დაინტერესდებიან მექანიკურად გაზრდილი შემოსავლების ჩვენებით და თუ ასეთი მაინც მოხდა, ის არა თაღლითობად, არამედ დაშვებულ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. საქართველოს პირობებისთვის თაღლითობად უნდა ჩაითვალოს ხელოვნურად შემცირებული შემოსავალი, რასაც მრავალი კომპანია ორმაგი ბუღალტერიის წარმოებით ახერხებს.

რაც შეეხება არაოპერაციულ შემოსავლებს, მათი ხელოვნური გაზრდით უცხოური კომპანიები იმიტომ არ არიან დაინტერესებული, რომ ასეთი შემოსავლების სიდიდე ინვესტორებს არ აინტერესებთ.

**საკრედიტო პორტფელის მართვის
ანიშნაობა საბანკო სისტემის ნორმალური
ფუნქციონირების საქმეში**

მაია ალადაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში

საბანკო სისტემის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად და მისი სტაბილური განვითარებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის საკრედიტო რისკების გათვალისწინება მის საქმიანობაში.

საკრედიტო რისკი, ანუ იმის საშიშროება, რომ დებიტორს არ შეუძლია განახორციელოს კრედიტის ძირითადი ნაწილის და სარგებელის თავისდროული გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, არის ბანკის საქმიანობის განუყოფელი ნაწილი.

პრობლემური პორტფელის ანუ ვადაგადაცილებული სესხების პრობლემა ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად შეიძლება გადაიქცეს მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ჩგამომდინარე იქიდან, რომ ბანკში მიმდინარე ყველა პროცესი ერთმანეთთან ჯაჭვური პრინციპით არის დაკავშირებული, თითოეული მათგანის უმნიშვნელო ცვლილებაც კი შეიძლება დიდი უარყოფითი ძვრებისა და შედეგების მომტანი აღმოჩნდეს კონკრეტულად რომელიმე ბანკის და შესაბამისად, მთელი საბანკო სისტემის საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, პრობლემური სესხების პრობლემა და კლიენტების მიერ ხელშეკრულების პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესაბამისად გამოიწვევს ბანკის ვალდებულებების შეუსრულებლობას, მისი ნდობის დაკარგვას, ლიკვიდობის პრობლემას და ასე შემდეგ, რომელსაც შესაძლოა ბანკის გაკოტრებაც მოჰყვეს. ზემოაღნიშნულ პრობლემას, ისევე, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, შეიძლება რამდენიმე მიზეზი და საფუძველი გააჩნდეს.

დიდი ოცეულის ფინანსთა მინისტრების შეხვედრაზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის განცხადების თანახმად, განვითარებულ ქვეყნებში, აქტუალობას ინარჩუნებს ეკონომიკის დაცემის

რისკები, განვითარებად ქვეყნებში კი მათ უმთავრეს საზრუნავს გადახურების რისკები წარმოადგენს.

„დისბალანსს კიდევ უფრო ამწვავებს საერთაშორისო ინვესტიციების მიერ, არჩევანის მზარდი ეკონომიკის სასარგებლოდ გაკეთება და განვითარებადი ქვეყნების მიმართულებით კაპიტალის მასობრივი გადინება. კვაპიტალის სპეკულაციური დინება საფრთხეს უქმნის მაკროეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილურობას, რადგან ის ხელს უწყობს კრედიტების ჭარბ ზრდას და ადგილობრივად ფასების ბუშტის წარმოქმნას“¹.

სწორედ რომ დიდი რაოდენობით შემოსულმა, ბანკებში დაბანდებულმა უცხოურმა ინვესტიციებმა გამოიწვია ქართული ბანკების კიდევ ერთი პრობლემა, რაც დაკრედიტების და სესხების დამტკიცების გამარტივებულ პირობებს უკავშირდება და რამაც, არანაკლები პრობლემები შეუქმნა საბანკო სისტემას.

დაკრედიტების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სესხებს ახასიათებს მიზნობრივობა, დაბრუნებადობა, ვადიანობა და უზრუნველყოფადობა. სწორედ ამ პრინციპებიდან ერთ-ერთის დარღვევაც კი შეიძლება გახდეს წინაპირობა სესხების არდაბრუნების ან მათი გაპრობლემებისა.

20010-2011 წლებში ქართულ ბანკებში თავმოყრილმა დიდი რაოდენობით უცხოურმა ინვესტიციებმა და იმ პერიოდისთვის საკმაოდ აწეულმა, მათზე გადასახდელმა სარგებლის განაკვეთმა (6-9% წლიური საპროცენტო განაკვეთი), საბანკო სისტემის ზოგიერთი რგოლი იძულებული გახადა, გაეცათ შედარებით მაღალი რისკის მატარებელი სესხები. იმის გამო, რომ დროულად მოეხდინათ ინვესტიციების დაბანდება, ბანკებმა დაუშვეს არაერთი, თავისი მნიშვნელობით მეტად სერიოზული შეცდომა კორპორაციულ მართვასთან და რისკების მენეჯმენტთან დაკავშირებით:

1. გაიცა კრედიტები არცთუ რეალური მიზნებისთვის.
2. ბანკების მიერ გაიცა სესხები მიზნისთვის არცთუ შესაბამისი დაფარვის ვადებით.
3. არაკვალიფიციური მიდგომა კლიენტის ბიზნესის მიმართ, ანუ მისი კრედიტუნარიანობის არაადეკვატური შეფასება.

1 2011 წლიური ანგარიში. საქართველოს ეროვნული ბანკი. გვ. 60.
www.nbg.ge

4. ბანკების მიერ არასაკმარისი ან შეუსაბამო უზრუნველყოფის ქვეშ ან უკვე მრავალჯერადად დატვირთული იპოთეკის ქვეშ გაცემული სესხები.

მიმდინარე პერიოდში შეიმჩნევა ტენდენცია მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ. თუმცა, იმისათვის რომ სტაბილურობა შენარჩუნდეს ქართულ საბანკო ბაზარზე და პრობლემურმა საკრედიტო პორტფელმა ვერ შეძლოს მნიშვნელოვანი ნეგატიური ზეგავლენის მოხდენა, საჭიროა კომპლექსური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება სახელმწიფოს და საბანკო ზედამხედველობის ორგანოების მხრიდან.



რეგიონული ეკონომიკა



რეგიონული საინფორმაციო სისტემის (რსს) აქტივების რუქის უპიკნა ღამისი მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში

კობა კიკაბიძე

ეკონომიკური და სოციალური
კვლევის კავკასიური ინსტიტუტი

თენგიზ აფხაზავა

ტმდ, გაეროს განვითარების ფონდის
კონსულტანტი ლოგისტიკაში

ნატო ჩიკვილაძე

ემდ, სტუ პროფესორი

არსებული სიტუაციის ანალიზი, პრიორიტეტი და მიზანი.
რეგიონის აქტივობის რუქის შედგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს რეგიონებისთვის მსოფლიო კონკურენტულ ეკონომიკაში გარკვეული ორიენტირის როლის შესასრულებლად. აქტივების რუქის შექმნას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია რეგიონის რესურსების მობილიზებისთვის, რათა საზოგადოებას შეუქმნას ბერკეტი შრომითი რესურსის დასაქმების პოლიტიკის და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის და თანხმლები ინტეგრირებული პროექტების ინიცირებისათვის და მათი რეალიზაციისთვის.

აქტივების რუქის შედგენა საშუალებას აძლევს რეგიონის ხელმძღვანელებს გამოავლინოს რესურსები, რომლის გამოყენება შესაძლებელია ეკონომიკური განვითარების ინიციატივების მხარდასაჭერად. ძალიან ხშირად, შორს გამიზნული ეკონომიკური ან შრომითი რესურსების დასაქმების ძალისხმევა ეკონომიკური განვითარების სფეროში იწყება რეგიონული აქტივების საინფორმ-

სციო ბაზის სრული აღქმის გარეშე. შეუსაბამობამ სტრატეგიას და აქტივებს შორის შეიძლება სერიოზულად შეამციროს განვითარების ინიციატივის პოტენციური ზემოქმედება.

აქტივების ასახვა საფუძველს უყრის ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებას. მაღალი ხარისხის აქტივების არსებობისას, აქტივების რუქის შედგენას შეუძლია გამოავლინოს თეთრი ლაქები და ნაკლი რეგიონის ეკონომიკური განვითარების სისტემაში და დაეხმაროს რეგიონებს გადაანანილოს რესურსები საკვანძო პრობლემურ არეებზე და თავი აარიდოს არასაჭირო ხარჯებს. აქტივების სანყისი რუქა რეგიონს აძლევს საფუძველს დროთა განმავლობაში გაიზომოს მიღწეული პროგრესი.

აქტივების რუქის შედგენის ყოვლისმომცველ პროცესს მიყვავართ რეგიონული და რეგიონს გარეთ არსებულ ორგანიზაციების უფრო ღრმა გაგებასთან. რაც შეეხება პერსპექტივას, რეგიონის აქტივების რუქის შექმნით, საზოგადოების ლიდერებს შეუძლიათ უფრო ზუსტად შეაფასონ მათი მიმდინარე მნიშვნელობა ეკონომიკისთვის. ხელმძღვანელებს შეუძლიათ ასევე განსაზღვრონ ინსტიტუტების გაძლიერების, მათ შორის კავშირების შექმნის და საბოლოო ჯამში რეგიონული საინოვაციო სისტემის გაუმჯობესების საშუალებები.

აქტივების რუქის ვიზუალიზაციას, რომელიც შეიძლება მომზადდეს რუქის შედგენის პროცესში, შეუძლია დემონსტრირება გაუკეთოს დაინტერესებულ მხარეებს, რომ ისინი მუშაობენ რეგიონული “თანასაზოგადოების” ჩარჩოში. როგორც ლიდერებს, მათ შეუძლიათ ჰქონდეთ საერთო ინტერესები, ორგანიზაციული ქსელი და მოტივირებული იყვნენ ურთიერთობის ფორმირებისთვის, ან მის გასაძლიერებლად.

1. რეგიონული აქტივების რუქის საფუძვლების შექმნის თავისებურება.


საინოვაციო ეკონომიკური განვითარების მოდელის აქტივები მოიცავს რეგიონის ადამიანურ, ინტელექტუალურ, საფინანსო, ფიზიკურ და ინსტიტუციონალურ კაპიტალს. საბაზო აქტივი მოიცავს მრავალ საერთო კრიტერიუმს კორპორატიული გადაწყვეტისთვის, ისეთს, როგორიც არის კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ბიზნესის

წარმართვაზე ხარჯები და კლიენტებთან სიახლოვე. აქტივები მოიცავს ასევე მრავალ სხვა ფაქტორს, რომელიც არც თუ ისე ფართოდ იზომება, მაგრამ აქვთ უდიდესი მნიშვნელობა საინოვაციო საქმიანობაში. მას მიეკუთვნება კვლევები, ინვესტიციები, ტექნოლოგიების გადაცემა, ასევე მენარმეობის მხარდაჭერის პროგრამები.

2. როგორ იქმნება რუქა? რეგიონის ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკა მოიცავს შენატანის და შედეგის რუქის შექმნის ძალისხმევას.

საინოვაციო პოტენციალის შენატანი (წვლილი). წარმატებული ინოვაციები, შრომის მწარმოებლურობის და კეთილდღეობის გაზრდა სხვადასხვა რეგიონული ფაქტორების დინამიური ურთიერთობის შედეგს წარმოადგენს. თვითუფლ რეგიონს აქვს თავისი აქტივების, ქსელების, ძირითადი ეკონომიკური კულტურის თავისი ნაკრები, რომელიც ერთობლიობაში, განსაზღვრავს მის წარმატებას საინოვაციო ფირმების და ადამიანების მხარდაჭერაში. ეს შენატანები ფაქტიურად ასახავენ რეგიონულ საინოვაციო გარემოს, რომელსაც პირდაპირი გავლენა აქვს რეგიონის კეთილდღეობაზე.

საინოვაციო შედეგების პოტენციალი. აქტივობის რუქის შედეგი ითვლება რეგიონული ბიზნეს გარემოს სასარგებლო აღმწერად. მიუხედავად ამისა უნდა გვახსოვდეს, რომ ეკონომიკური განვითარების საბოლოო მიზნად არ ითვლება მაღალი რეიტინგის მიღწევა, ახალი საწარმოების შექმნა, ან ახალი სამუშაო ადგილები – არამედ რეგიონის მოქალაქეების კეთილდღეობის ამაღლება. ამიტომ საკვანძო ღონისძიებებს თვალი უნდა მივადევნოთ. ზემოთაღნიშნულ ჩარჩოებში, რეგიონულ დონეზე უნდა შეფასდეს სამი შედეგი. სხვადასხვა მიმართულებით ინოვაციური მოღვაწეობის მხარდასაჭერად ინოვაციური მოდელის საფუძველი ზეგავლენას ახდენს რეგიონის შესაძლებლობაზე. ქვემოთ აღვწერთ თუ როგორ მოქმედებს რეგიონის ინოვაციური პლატფორმის შემუშავებაზე აქტივები ქსელები და კულტურა. ასევე წარმოგვჩინებთ იქნება რუქაში ჩასართავი რეკომენდირებული კონკრეტული ელემენტები.



ნახაზი 3. რეგიონული საინოვაციო გარემოს წვლილისა და შედეგის ფაქტორები

საინოვაციო პოტენციალის შენატანი (წვლილი). რეგიონის შესაძლებლობების ინოვაციური საფუძვლის მოდელზე ზეგავლენას ახდენს თვითოეული შენატანი ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერის თვითეული მიმართულებით. ქვევით აღწერილია თუ როგორ შეუძლია აქტივებს, ქსელებს და კულტურას დადებითი თუ უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ რეგიონის საინოვაციო პლატფორმაზე.

1. აქტივები. საინოვაციო ეკონომიკური განვითარების მოდელის აქტივები მოიცავს რეგიონში მცხოვრებთა ადამიანურ, ინტელექტუალურ, საფინანსო, ფიზიკურ და ინსტიტუციონალურ კაპიტალს. საბაზო აქტივი მოიცავს მრავალ საერთო კრიტერიუმს კორპორატიული გადანყვევისთვის, ისეთს, როგორიც არის კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ბიზნესის წარმართვაზე ხარჯები და კლიენტებთან სიახლოვე. აქტივები მოიცავს ასევე მრავალ სხვა ფაქტორს, რომელიც არც თუ ისე ფართოდ იზომება, მაგრამ აქვთ უდიდესი მნიშვნელობა საინოვაციო საქმიანობაში. მას მიეკუთვნება კვლევები, ინვესტიციები, ტექნოლოგიების გადაცემა ასევე მენარმეობის მხარდაჭერის პროგრამები.

ადამიანური კაპიტალის აქტივების აღწერა. ნიჭიერი ადამიანები გენერირებენ ახალ იდეებს და სრულყოფენ პროდუქტებს, რაც აძლიერებს ინოვაციებს, რადგან ეკონომიკური განვითარების

სფერო ადაპტირდება საერთაშორისო ეკონომიკური მოთხოვნილებებისადმი, რეგიონი სულ უფრო ხშირად ავლენს თავის უპირატესობას ინოვაციურ კომპანიებში კვალიფიციური სამუშაო ძალის მოიზიდვით და დაამაგრებით. კორპორატიული გადაწყვეტილების მგრადობა გვაჩვენებს, რომ კვალიფიციური სამუშაო ძალა იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ ბევრ რეგიონში ცენტრალური თემა ხდება მათ რეგიონალურ საბაზრო ძალისხმევაში. ინოვაციური კომპანიები ირჩევენ რეგიონს ადგილობრივი ნიჭიერი ადამიანური კაპიტალის მაღალი პოტენციალით მდგრადი და მოქნილი მიწოდების შესაძლებლობით. გარდა ამისა კომპანიები მიისწრაფიან რეგიონში გაფართოებისაკენ, რომლებშიც მათ დარგთან უშუალო შეხების მქონე სპეციალური უნარის მქონე თანამშრომლები იპოვონ.

რეგიონები ვერ განავითარებენ კვალიფიციურ სამუშაო ძალას საგანმანათლებლო ინსტიტუტებში ინვესტიციების გარეშე. დღევანდელ გლობალურ ეკონომიკაში კონკურენტუნარიანობა ქმნის უფრო მეტ შესაძლებლობებს უწყვეტი სწავლებისათვის და პროფესიული ადაპტაციისთვის. პიროვნული კაპიტალის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად უნივერსიტეტების კვლევითი ლაორატორიები საკვანძო აქტივად შეიძლება გამოვაცხადოთ. რეგიონებს, რომელთაც არ აქვთ მსხვილი კვლევითი საუნივერსიტეტო სისტემები, სხვადასხვა ღონისძიებები შეიძლება მივიღოთ იმის უზრუნველსაყოფად, რომ რეგიონში არსებულ კომპანიებს და თანამშრომლებს ხელი მიუწვდებოდეთ განათლებაზე და სატრენინგო პროგრამებში მონაწილეობაზე. ამით შეიქმნება უწყვეტი სწავლის და კვალიფიკაციის ამალგების შესაძლებლობა. რეგიონის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას, ინოვაციური მოღვაწეობისთვის რეგიონული შენატანის ანალიზისას, უნდა გავითვალისწინოთ სამი ფაქტორი, რეგიონში რეალურად არსებული სამუშაო ძალა, სპეციალიზირებული ანუ კვალიფიციური სამუშაო ძალა და საგანმანათლებლო ინსტიტუტების ხარისხი.

ეკონომიკური განვითარების და კვლევის აქტივების აღწერა.

რეგიონის ცოდნის ბაზას აუცილებლად უნდა დაემატოს კვლევის და ეკონომიკური განვითარების (k&g) სისტემა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის.

ვის. უნივერსიტეტებში კვლევის და ეკონომიკური განვითარების დანახარჯები შესაძლებლობას ქმნიან პარტნიორული ურთიერთობები დამყარდეს განათლებას და მრეწველობას შორის, რომელსაც შეუძლია არსებითი სარგებლობა მოუტანოს როგორც კომპანიებს, ასევე ნიჭიერ სტუდენტებს. უნივერსიტეტებში k&g-ში ინვესტიციებს, კომპანიების და ხელისუფლების მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი ინოვაციური პროდუქტების და მომსახურების შესამუშავებლად, რომელმაც, თავის მხრივ, უნდა მიგვიყვანოს რეგიონული სიმდიდრის და კეთილდღეობის შექმნამდე.

კვლევითმა პარკებმა და ბიზნეს ინკუბატორებმა, უნდა უზრუნველყონ კავშირი ბიზნესა და საუნივერსიტეტო მკვლევარებს შორის ინსტიტუციონალური ინფრასტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად და მყარი მხარდაჭერა აღუთქვას კომანიებს k&g-ის სფეროში პარტნიორობისთვის.

ფინანსური კაპიტალის აქტივების აღწერა. ინოვაციური საქმიანობის და მენარმეობის მხარდასაჭერად კაპიტალზე ხელმისაწვდომობა უმნიშვნელოვანეს აქტივად ითვლება. იდეების კომერციულ პროდუქტად და მომსახურეობად გარდაქმნა მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს და მხოლოდ მენარმეების მცირე რაოდენობას თუ შეუძლია თავს უფლება მისცეს დააფინანსოს განვითარების მთელი ციკლი მარტო (მაგალითად სილიკონის ველის სახელით ცნობილ რეგიონს აშშ-ში პრობლემა არ აქვს დააფინანსოს სამენარმეო და სტარტ-აპ ფირმები, ვენჩურული კაპიტალის ფირმების მნიშვნელოვანი წარმომადგენლობის გამო). სხვა რეგიონები, რომელთაც უფრო მეტი სიძნელეები აქვთ რეგიონს გარეთ მყოფი სარისკო (ვენჩურული) კაპიტალის ფირმების ყურადღების მოსაზიდად, უნდა იპოვნონ სხვადასხვა გადაწყვეტა მენარმეებისთვის კაპიტალზე ხელმისაწვდომობისთვის, ისეთი, როგორიც არის პირველადი დაფინანსების ჯგუფის ორგანიზება და სხვა ერთობლივი საინვესტიციო პროგრამები, რათა მოიზიდონ ოჯახურ ბიზნესზე დაფუძნებული კაპიტალი.

სამრეწველო საფუძვლების აღწერა. რეგიონის სამრეწველო ბაზის აღწერა რეგიონის ეკონომიკური განვითარების ეფექტური სტრატეგიის შესამუშავებლად უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ეკონომიკური განვითარების პროფესიონალებს აუცილებლად

უნდა ჰქონდეთ ნათელი წარმოდგენა რეგიონის ძირითად დამსაქმებლებზე, მათ შორის მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე და მომსახურებაზე, მათი ბიზნესის მოდელზე და კონკურენტული უპირატესობის საფუძველზე.

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აქტივების აღწერა. რეგიონული ინოვაციების მხარდასაჭერად მნიშვნელოვან პირობად ითვლება რეგიონული ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაძლიერება. საქართველოში შედარებით განვითარებულია სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურა, მაგრამ არა რეგიონებში. ადგილზე სატელეკომუნიკაციო ქსელების, გზების და კომუნალური მომსახურების გარეშე რეგიონებს მცირე შანსი აქვთ ინოვაციური და მზარდი დარგების დასახმარებლად. მაგალითად, მაღალი სიჩქარის ინტერნეტის ხელმისაწვდომობა ითვლება ერთ-ერთ საკვანძო აქტივად ყველაზე უფრო თანამედროვე კომპანიების და მრეწველების მოსახიდად. სასოფლო სამეურნეო ადგილებისთვის ეს ქსელი გადამწყვეტი ფაქტორი გახდა იმ მუშაკების მოზახიდად, რომელთაც სურვილი აქვთ ტექნოლოგიებს დაეუფლონ. სატრანსპორტო ფაქტორებს, როგორც არის საშუალო საკომუნიკაციო დრო, შეუძლია რეგიონში მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო როლი ითამაშოს. მრეწველობის ზოგიერთი დარგისთვის ბუნებრივ რესურსებს უპირველესი როლი აკისრიათ დარგის გაფართოებისთვის გადანყვეტილების მიღებაში ზეგავლენის მოსახდენად.

ცხოვრების ხარისხის აქტივების აღწერა. რეგიონში ცხოვრების ხარისხს შესახებ ინფორმაციას შეუძლია ძლიერი ზეგავლენა ჰქონდეს კომპანიის, კვალიფიციური სამუშაო ძალის და მენარმეების მოზიდვასა და დამაგრებაზე. ნიჭი (ტალანტი), მობილური ცნებაა და ცხოვრების ხარისხთან ერთად, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური განვითარების პრაქტიკაში, რამდენადაც უმნიშვნელოვანესია რეგიონმა შეიმუშავოს “კრეატიული კლასის” განვითარების სტრატეგია.

ცხოვრების ხარისხი გაზომვის სუბიექტური ნყაროა; ცხოვრების ხარისხის ძირითადი სტანდარტიზირებული გაზომვები კარგად არის ცნობილი და მოიცავს ცხოვრების ფასს, ურთიერთკავშირის დროს და სხვ. მიუხედავად ამისა ცხოვრების ხარისხის ფაქტორები, რომელთაც შეუძლიათ განსაზღვრონ მდგომარეობა რეგიონში,

არც თუ ისე განჭვრეტადია.

“ცხოვრების ხარისხის” ტერმინით კონცეფციაში მოხსენიებული რეგიონის ცალკეული მახასიათებლები, თანაბარი ხარისხით სასარგებლონი არიან ინოვაციური მოღვაწეობის მხარდაჭერის აღმოსაჩენად. მაგალითად, პროფესიული სპორტული კლუბები უდიდესი საშუალებაა ტურიზმის და გართობის ხელშესაწყობად. მიუხედავად ამისა, მათი შენატანი ინოვაციური მოღვაწეობის რეგიონული პოტენციალის გასაძლიერებლად მინიმალურია. ეკონომიკური განვითარების შემუშავებლებმა სხვაობა უნდა იპოვონ განსხვავებულ და ხშირად შემთხვევაში კონკურენტულ იდეებს შორის რეგიონის ცხოვრების ხარისხსა და სტრატეგიის შემუშავებას შორის, რომელიც ინოვაციებს განაპირობებს.

2. რეგიონული აქტივების რუქის ქსელური კავშირები. მრავალრიცხოვანი და მაღალი ხარისხის რეგიონული აქტივების ფლობა საკმარისი არ არის ეკონომიკური ზრდის დასაწყობად. აქტივები დაკავშირებული უნდა იყვნენ რეგიონის ეკონომიკური ზრდის ინოვაციურ საფუძვლებთან. მაგალითად, იდეები, რომლებიც გენერირდება უნივერსიტეტის მკვლევარებისგან, ინტელექტუალური თვალსაზრისით ფასეული იდეები, ეკონომიკურ განვითარების სფეროში მათი სრული რეალიზაციის მიზნით, უნდა გადაიზარდონ ახალ პროდუქტების და მომსახურეობის წარმოებაში. კრეატიული ქსელების შექმნის სფეროში ყველაზე უფრო წარმატებულ სტრატეგიად ითვლება ბიზნესის, განათლების, ხელისუფლების და არაკომერციული ორგანიზაციების ლიდერების მიერ ერთობლივი პარტნიორული ურთიერთობებით კოლაბორირებული ეკონომიკური განვითარება. **კულტურა.** როდესაც ვეხებით რეგიონის ნორმებს და ურთიერთობებს, საქმე ეხება რეგიონის კულტურულ ასპექტებს და იმას თუ, როგორ შეუძლია მას ზემოქმედება იქონიოს ან წინააღმდეგობა გაუწიოს ინოვაციებს. საკითხი იყოფა სამ ძირითად თემად, რომელიც დაკავშირებულია საინოვაციო გარემოს მხარდაჭერასთან:

1. სხვადასხვა შეხედულებების და ტრადიციების შეფასება;
 2. მზობა თანამშრომლობისათვის;
 3. სამწარმოო პროცესით დაკმაყოფილება და მისი აღქმა.
- კომპლექსური რეგიონული შეფასების საბოლოო ასპექტად

ითვლება რეგიონში ბიზნესისადმი ძირითადი მიდგომების გაგება. ძლიერი რეგიონული აქტივების და ცოდნის ქსელის არსებობა ეხმარება ინოვაციორებს გამოავლინონ ახალი იდეები და ახალი პარტნიორები. ბიზნესის ხელშემწყობმა კულტურამ შეიძლება მიგვიყვანოს ძლიერი ქსელური კავშირების შექმნამდე და მზადყოფნამდე, რათა ინვესტიციები განხორციელდეს რეგიონულ საინოვაციო აქტივებში.

რეგიონული ბიზნესკულტურის ერთ-ერთი საკვანძო ასპექტად ითვლება ხარისხი, რომლითაც ბიზნეს ლიდერები მზად არიან კოლაბორირებული იყვნენ და გაცვალონ თავისი იდეები, მაშინაც კი თუ ისინი პრეტენზიას აცხადებენ ზოგიერთ გარემოებებზე. შეფასების კიდეც ერთ საკვანძო მომენტად ითვლება რისკისადმი რეგიონული დამოკიდებულება.

კულტურული სფეროს საბოლოო შეფასება მდგომარეობს სხვადასხვა გამოცდილების და ტრადიციების მატარებელი ადამიანების რეგიონულ დონეზე აღიარებაში. თავისი ბუნების მიხედვით ნოვაციორები ხშირად განსხვავდება ნორმისაგან, რეგიონებში სადაც მოსახლეობა იღებს და პატივს სცემს განსხვავებულობას, გაცილებით ადვილია ინოვაციორებს დროში გაუკეთო კულტივირება.

საინოვაციო პოტენციალის შედეგის გაზომვა მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ეკონომიკური განვითარების საბოლოო მიზანია რეგიონის მოქალაქეების კეთილდღეობის გაზრდა. ზემოთ განხილულ კონცეფციაში შესაძლებელია მოსალოდნელი სამი შედეგის შეფასება.

1. კეთილდღეობა. საბოლოო ჯამში ეკონომიკური განვითარების ინიციატივების საბოლოო შეფასების შედეგია -აქვს თუ არა ადამიანებს ცხოვრების უფრო მაღალ დონეზე ზეგავლენა, თუმცა კეთილდღეობის კონცეფცია მოიცავს რიგ სუბიექტურ პარამეტრებს (მაგალითად, პირადი კეთილდღეობა). რაოდენობრივად ეს შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ ფინანსური მონაცემებით, როგორც არის შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე, შიდა წარმოების შემოსავალი და სიღარიბის დონე.

2. მწარმოებლურობა. რეგიონის მაცხოვრებლების ცხოვრების დონე განისაზღვრება რეგიონული ეკონომიკის მწარმოებლურობით. მწარმოებლურობა არის ერთეული შრომის საქონლის და მომსახუ-

რეობის ფასის გაზომვა შრომის და კაპიტალის ერთეულის შენატანის გათვლით, რომლებიც დაკავებული არიან საქონლის შექმნით. უფრო მარტივად ეს არის ერთეულ შენატანზე ნარმოების ფასის გაზომვა. შრომის მნარმოებლურობის დონე ადგენს, რომ ხელფასი შეიძლება იყოს მდგრადი და დაბრუნებადი ინვესტორისთვის.

3. ინოვაციები. მნარმოებლურობა დღეს ასახავს მიმდინარე კონკურენტუნარიანობას, მაგრამ რეგიონული ცხოვრების ზრდის სტანდარტები მოითხოვს შრომის მნარმოებლურობის განუხრელ ზრდას. შრომის მნარმოებლურობის მაღალი დონე თავისთავად არ არის საკმარისი, თუ განვითარებადი ქვეყნები და რეგიონები არ სრულყოფენ საკუთარ უნარებს და არ ექნებათ სწრაფი ხელმისაწვდომობა ახალ ტექნოლოგიებზე. ეკონომიკურად გაფართოებადი რეგიონებისთვის აუცილებელია მუდმივი ინოვაციები, რათა გვექნდეს საშუალება მუდმივად ვანარმოთ საქონელი და მომსახურება, რასაც ვერ შემოგვთავაზებს რეგიონი არსებული ხელფასების დაბალი დონით. მნარმოებლურობის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მხარი დავეუჭიროთ მაღალ ხელფასს.

რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემუშავების ინცირება. აქტივების რუქის საკვანძო მომენტად ითვლება ის, რომ რუქის შედგენის აქტივების შედგენა არ არის აკადემიური ვარჯიში, არამედ ეს არის ფუძემდებლური ძალისხმევა, რომელსაც შეუძლია არსებითად აამაღლოს რეგიონის ეკონომიკური განვითარება. მთლიანობაში აქტივების რუქის შედგენის პროცესი ითვლება რეგიონის აქტივების შეფასების საშუალებად, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს ამ აქტივების უფრო მჭიდრო კავშირების და აქტივების გაძლიერების გზას, რომლის მიზანია ეფექტური ინოვაციების ხელშეწყობა განვითარების სტრატეგიის საფუძველზე.

რეგიონის აქტივობის რუქის შედგენის და მისი გამოყენების პირდაპირი შედეგი, მოკლევადიან პერიოდში არის სამუშაო ადგილების აღრიცხვა და შექმნა, გრძელვადიან პერსპექტივაში რეგიონის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბება რეგიონის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით, ხოლო საშუალოვადიანი შედეგი უნდა იყოს რეგიონში სიღარიბის დაძლევა რეგიონის კონკურენტული და მდგრადი ეკონომიკური განვითარების დაწყება.



ღარგობრივი ეკონომიკა



ლობისტოკური სერვისის ეკონომიკური და საპარტოლუბრივი მართვის თეორიული ასაქმტები სარკინიგზო ტრანსპორტზე

თენგიზ აფხაზავა

ტმდ, გაეროს განვითარების ფონდის (UNDP)
კონსულტანტი ლოგისტიკაში;

ქეთევან გოლეტიანი

ტმდ, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი;

საბაზრო ურთიერთობებმა გააძლიერა ტრანსპორტის თვითოეული საწარმოს ნიშის მოძიება სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე. უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად მცირე ფართობისა, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის თვალსაზრისით, მკაფიოდ არის გამოკვეთილი ტრანსპორტის თვითოეული სახეობის გამოყენების სფეროები: გადაზიდვის სიშორის, სიჩქარის, მგზავრთა გადაყვანის კომფორტის, მანძილის, ტვირთის სახეობის მიხედვით. არის რაიონები, სადაც შესაძლებელია მხოლოდ ტრანსპორტის ერთი კონკრეტული სახეობის გამოყენება, რაც გამორიცხავს კომბინირებულ გადაზიდვებს ამ რაიონებში და შესაბამისად, აქცენტირებულია უნიმოდალურ გადაზიდვებზე. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ დამკვეთს შეუძლია თავად შეარჩიოს ტრანსპორტის სახეობა თავისი მოთხოვნებიდან გამომდინარე.

თანამედროვე საბაზრო ურთიერთობები, მეურნეობის მართვის ახალი მენეჯმენტი, საერთაშორისო კავშირების გაფართოება, ქვეყნის შიგნით წარმოების ზრდა, მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების არსებობას, რომლებიც არ იქნებიან კონცენტრირებული მხოლოდ ერთი რომელიმე სახეობის სპეციფიკაზე, არამედ სატრანსპორტო საექსპედიტორო პროცესს მიუდ-

გებიან ლოგისტიკური პრინციპით – მიწოდებათა ინტეგრირებული ჯაჭვით, განიხილავენ რა კომბინირებული გადაზიდვების ტექნოლოგიებს, როგორც სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობას, განსაკუთრებით მულტიმოდალურ და ინტერმოდალურ გადაზიდვებში.

კლიენტურის მომსახურება ეს საკმაოდ რთული ცნებაა, ხშირ შემთხვევაში ის ტრაქტირდება შემდეგნაირად – ფირმა უზრუნველყოფს მათ, ვინც მოიხმარს მათ საქონელს ან მომსახურებას. ლოგისტიკური სერვისი გულისხმობს მომხმარებლისათვის მრავალგვარი მომსახურების განევას, მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია მატერიალური ნაკადების გადანაწილებასთან.

“მყიდველის ბაზრის” პირობებში (სწორედ ასე განიხილება ასეთი ბაზარი ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში) გამყიდველი ახდენს საქონლის მიწოდებას, რათა მაქსიმალურად დააკმაყოფილოს თავისი კლიენტი, რომელიც თავისი მხრივ აყენებს საკუთარ პირობებს მომსახურების ხრისხისა და შერჩევის სფეროში.

სარკინიგზო ტრანსპორტის რეფორმირების პროცესში საბაზრო ურთიერთობების განვითარება განსაზღვრავს დარგის კომპანიებისა და სანარმოების მოღვაწეობის მნიშვნელოვან მიმართულებას სატრანსპორტო მომსახურების მომხმარებელთათვის, მათ შორის ლოგისტიკური ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე. გადაზიდვების მოცულობის ინტენსიური ზრდის პირობებში და სხვა სახეობის ტრანსპორტის (უპირველეს ყოვლისა საავტომობილო) მხრიდან კონკურენციის განვითარების პროცესში ზემოთ აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან მოთხოვნას დარგის კონკურენტული პოზიციის შენარჩუნებისათვის და მყარი ფუნქციონირებისათვის სატრანსპორტო ბაზარზე. სწორედ ეს წარმოადგენს ლოგისტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას - უზრუნველყოს კლიენტურის მომსახურების მაღალი ხარისხი.

მომსახურების ხარისხი წარმოადგენს ასევე მნიშვნელოვან ელემენტს, რომელიც პირდაპირ კავშირშია ფირმების და კომპანიების კომერციულ მოღვაწეობასთან. პროდუქტის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა კლიენტების მაღალხარისხოვან მომსახურებასთან ერთად წარმოადგენს სწორედ ლოგისტიკის საბოლოო მიზანსა და პროდუქტს.

კომპანიის შესაძლებლობები და მომსახურების მაღალი დონის რეალიზაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს და ზრდის ამ მომსახურების გაყიდვების დონეს. ამასთან ერთად, კლიენტურის მომსახურების ზუსტი ორგანიზაცია ნიშნავს ლოგისტიკური დანახარჯების გაზრდას. სატრანსპორტო მომსახურების ხარისხის ამაღლებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს რკინიგზის საქმიანობაში, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს სულ უფრო ახალი ფორმების მოძიება რკინიგზისა და ტრანსპორტის სხვა სახეობების ურთიერთშეთანხმებული მოქმედებისთვის. ცხადია, ზოგადად, ეს მოქმედება შეადგენს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის შემადგენელ ნაწილს, მის ერთ-ერთ რგოლს საბაჟო მომსახურების, სადაზღვევო კომპანიებისა და ტერმინალების მუშაობასთან ერთად.

ამავე პროცესში, ცხადია, ირიბად მონაწილეობენ ტვირთმიმწოდებლები, ტვირთმიმღებები და სხვა ტვირთმფლობელები. ყველანი ესენი ერთად შეადგენენ ტვირთების მიწოდების ერთიან ლოგისტიკურ ჯაჭვს. ამიტომაც ლოგისტიკური განვითარების კონცეფცია სარკინიგზო ტრანსპორტზე მთლიანობაში შეთანხმებული უნდა იყოს ქვეყნის მთლიანი სატრანსპორტო სისტემის ლოგისტიკის განვითარებასთან.

ლოგისტიკური სერვისის მნიშვნელობა სატრანსპორტო მომსახურების განვითარებას სხვადასხვა წარმოების თუ კომპანიებისათვის სარკინიგზო ტრანსპორტის მიერ ყოველდღიურად იზრდება. ამას ხელს უწყობს მრავალი მიზეზი, რომელთაგან ერთ-ერთ უმთავრესს წარმოადგენს სარკინიგზო ორგანიზაციების მოღვაწეობის ორიენტაცია საბოლოო მომხმარებელზე. ამასთან ერთად, ლოგისტიკური მიდგომა უზრუნველყოფს გაცილებით უფრო სრულ დაკმაყოფილებას სატრანსპორტო მომსახურების მომხმარებლებისა, რაც შესაბამისობაშია მათ ძირითად მოთხოვნებთან. ბაზრის მოთხოვნები არ შემოისაზღვრება მხოლოდ სატრანსპორტო გადაზიდვებზე მოთხოვნით.

მომხმარებლები, როგორც წესი, თვითონ კარნახობენ იმ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ განეული მომსახურების ხარისხსა და დონეს. სწორედ ამიტომ, მომხმარებელთა მომსახურება წარმოადგენს იმ ფაქტორს, რომელიც აფორმირებს თვი-

ღარბობრივი ეკონომიკა

თონ ლოგისტიკის მოთხოვნებს სანარმოებში, ჩვენს შემთხვევაში - კონკრეტულად რკინიგზაში. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ლოგისტიკა გახდა ბიზნესის მართვის ეფექტური ინსტრუმენტი. თანამედროვე ლოგისტიკური მენეჯმენტის დანერგვა საშუალებას იძლევა:

- დაჩქარდეს კაპიტალის ბრუნვა;
- შემცირდეს სატრანსპორტო-საექსპედიტორო მომსახურების და კონკრეტულად გადაზიდვების თვითღირებულება;
- ასევე, შემცირდეს დანახარჯები მომსახურების განაწილებაზე.

როგორც თანამედროვე ევროპული გამოცდილება გვიჩვენებს, დანახარჯების ერთი პროცენტით შემცირება ექვივალენტურია გადაზიდვების მოცულობის 10%-იანი ზრდისა. რაც შეეხება ფინანსური სტაბილურობის ამალლებას, ჩვენ შემთხვევაში სარკინიგზო ტრანსპორტისათვის, ის პირდაპირ კავშირშია საფინანსო-საკრედიტო სერვისის გაუმჯობესებასთან, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება ლოგისტიკურ პრინციპებს.

ცხრ. 1. საშუალო საშემოსავლო განაკვეთები სატვირთო-სარკინიგზო გადაზიდვებზე

ქვეყანა	აშშ დოლარი/ 10 ტ-კმ.-ზე
იაპონია	0,595
გერმანია	0,572
საფრანგეთი	0,496
უნგრეთი	0,366
ესპანეთი	0,352
პოლონეთი	0,205
აშშ	0,164
კანადა	0,154
ჩინეთი	0,043
რუსეთი	0,036

რეალურად მრავალი ფუნქციონირებადი ლოგისტიკური სატრანსპორტო სისტემებისათვის, მათ შორის სარკინიგზო ტრანსპორტისათვისაც, დამახასიათებელია რთული სისტემის ძირითადი ხასიათი, რომელიც მოიცავს:

- კომპლექსურობას, განპირობებულს ელემენტების (კვანძების) დიდი რიცხვის არსებობით, ცალკეულ კვანძებს შორის ურთიერთობის ხასიათით, სისტემის მიერ შესრულებული ფუნქციებით. რთულად ორგანიზებული მართვით და გარე პირობების სისტემაზე ზემოქმედებით;

- იერარქიულობას, ანუ უფრო დაბალი დონის ელემენტების დაქვემდებარებას შედარებით მაღალ დონის ელემენტებთან, ან ლოგისტიკის მართვის ფუნქციონალურობასთან;

ფუნქცია, რომელიც რეალიზდება მხოლოდ მთლიანი ლოგისტიკური სისტემით და არა მისი რომელიმე კვანძით ან ქვესისტემით;

- სტრუქტურირებას, რომელიც განისაზღვრება ურთიერთდაკავშირებული ობიექტებისა და სუბიექტების მართვით, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ლოგისტიკური ტექნოლოგიების გამოყენების მამატაბებსა და ხასიათზე;

- პირველი მიმართულება ორიენტირებულია კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და სატრანსპორტო მომსახურების მომხმარებელთა დანახარჯების საერთო შემცირებასთან, რაც აფართოებს ლოგისტიკური მომსახურების ასორტიმენტს და აუმჯობესებს მის ხარისხს მომხმარებელთა მომსახურების ახალი სახეობებისა და ფორმების დანერგვის ხარჯზე;

- მეორე მიმართულება დაკავშირებულია სარკინიგზო საწარმოებისა და კომპანიების მოღვაწეობის გეოგრაფიულ გაფართოებასთან, რაც კავშირშია ქვეყანაში პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებთან. გარდა ამისა, ახალ გახსნილ სატრანსპორტო ბაზრებთან, რაც ზრდის ლოგისტიკური მომსახურების მამატაბებსა და სპექტრს;

- მესამე მიმართულება დაფუძნებულია მნიშვნელოვან ინვესტიციებზე, ახალ ტექნოლოგიებსა და საინფორმაციო სისტემებზე, რაც საშუალებას იძლევა ამაღლდეს აუცილებელი ინფორმაციის დამუშავების სიჩქარე, ოპტიმიზირებული იქნას არსებული

ტვირთვაკადები და შესაბამისად შემცირებული იქნას ლოგისტიკური სისტემის ყველა მონაწილის დანახარჯები.

დღეისთვის, საქართველოს რკინიგზაში შექმნილი ინფორმაციის გადამუშავებისა და მართვის ცენტრალიზირებული სისტემა დაფუძნებულია ერთიან სივრცეზე, რაც საშუალებას იძლევა რეალიზებადი გახდეს ერთიანი ლოგისტიკური სატრანსპორტო სისტემის ეფექტური მართვა, რაც განაპირობებს გადაზიდვის პროცესის ყველა მონაწილის აუცილებელ ინტეგრაციას როგორც ქვეყნის შიდა სივრცეში, ასევე საერთაშორისო ლოგისტიკურ ქსელში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში და სარკინიგზო ტრანსპორტის რეფორმირების პროცესში სასაქონლო და ფულადი ნაკადების ეფექტური მოძრაობა, როგორც ლოგისტიკური სერვისის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიღწევა ფინანსური მომსახურების გადამწყვეტის ოპტიმიზაციის გზით. სწორედ ამან განაპირობა ცნების “ლოგისტიკური ფინანსური ნაკადი” გაჩენა, რამაც საფუძველი დაუდო ცნებას - საფინანსო-საკრედიტო სერვისს.

მთავარ მიზანს ლოგისტიკური მომსახურების ამ სახეობისა, რომელიც დაფუძნებულია სასაქონლო ნაკადების და სხვა ლოგისტიკური მომსახურების ხელსაყრელ ფუნქციონირებასთან, წარმოადგენს მისი უზრუნველყოფა საჭირო ფინანსური რესურსებით, საჭირო დროში, სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების ეფექტური გამოყენებით, შეღავათებისა და ფასდაკლების სისტემის სტიმულირებით და ბოლოს, ფინანსირების თანამედროვე წყაროების ეფექტური გამოყენებით (ლიზინგი, ფასიანი ქსალები და სხვა).

იმ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს თანამედროვე საფინანსო-საკრედიტო სერვისს სარკინიგზო საწარმოებსა და კომპანიებში შეიძლება მიეკუთვნებოდეს:

- საფინანსო-საკრედიტო მომსახურების სრულ მოცულობის უზრუნველყოფა, რომელიც შესაბამისობაშია წარმოდგენილი სატრანსპორტო მომსახურების პირობებთან:

- სერვისის სახეობებისა და დონის მაქსიმალური შესაბამისობა მომხმარებელთა მოთხოვნებთან, ასევე, საფინანსო საკრედიტო და სატრანსპორტო მომსახურების მოხმარების ხასიათთან;

- სერვისის მოქნილობა;

- მომსახურების წარდგინების ოპერატიულობა და ამ მიზნით

სარკინიგზო სანარმოების ფილიალების აუცილებელი ქსელის შექმნა, მჭიდრო კავშირი კომერციულ ბანკებთან და სხვა საკრედიტო ინსტიტუტებთან;

- ინფორმაციის შეგროვება და სისტემატიზაცია;
- სატრანსპორტო და ფინანსური მომსახურების მოდერნიზაცია და სრულყოფა;
- მუდმივი კლიენტურის ფორმირება და საფინანსო საკრედიტო ხასიათის სპეციფიური მომსახურების შეთავაზება.

საბაზრო ურთიერთობების გაღრმავებასთან ერთად სარკინიგზო ტრანსპორტზე ორგანიზაციული გარდაქმნების პარალელურად ფინანსური სერვისის მნიშვნელოვნება კიდევ უფრო გაიზრდება.

ცხრ. 2. სატრანსპორტო პროცესში ტვირთფლობელის პრიორიტეტები

ფაქტორი	1980 წ-მდე, მნიშვნელობის %	2000 წ. შემდეგ, მნიშვნელობის %
1. დაცულობა (მინოდების დროის სიზუსტე)	47,3	43,8
2. ტარიფები (ღირებულება, სატარიფო განაკვეთები)	5,3	19,5
3. დრო (სიჩქარე, მინოდების დრო)	26,3	9,8
4. მოთხოვნები გადამზიდავთან (კომპეტენტურობა)	0,0	12,2
5. მოთხოვნები ექსპედიტორთან (სერვისი)	5,3	9,8
6. ტვირთდაზიანება, მოთხოვნის პროცედურები	15,8	4,9
სულ	100,0	100,0

საერთაშორისო მიმოსვლაში, კომბინერებულ მულტი და ინტერმოდალურ გადაზიდვებში მეცნიერულ ტექნიკურ პროგრესზე დაფუძნებული თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებამ დღის ნესრიგში დააყენა ერთიანი ლოგისტიკური მიდგომების საჭიროება, რის შედეგადაც ხდება მიწოდებათა ერთიან ლოგისტიკურ ჯაჭვში ტვირთმფლობელების მიერ გადაზიდვის კრიტერიუმთა იერარქიული ფაქტორების შექმნა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში. ზოგადად, ფაქტორთა მნიშვნელობის ცვლილება დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე მოყვანილია ცხრილში 2.

განსაკუთრებით შევჩერდებით ორ მაჩვენებელზე:

- გადაზიდვის ღირებულება (სატარიფო განაკვეთები);
- გადამზიდვის (ექსპედიტორის) კომპეტენტიურობა (პროფესიონალიზმი).

პირველი ფაქტორის ზრდა განპირობებულია მიწოდების სიჩქარის ფაქტორის შემცირებით, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიები კომბინირებულ გადაზიდვებში და პროცესის ორგანიზაციული სრულყოფა თავისთავად ზრდის გადაზიდვის სიჩქარეს, უახლოვდება რა ერთერთ უმთავრეს ლოგისტიკურ პრინციპს “ზუსტ დროში”.

მეორე ფაქტორის მნიშვნელობის გაზრდა პირდაპირ კავშირშია ლოგისტიკურ სერვისთან. ის კომპანიები, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში იყენებენ ერთიანი ლიგისტიკური მიწოდებათა ჯაჭვის შექმნის პრინციპებს (ზოგადად, ლოგისტიკურ მიდგომას) აღწევენ კონკურენტულ უპირატესობას სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე. ასეთი მიდგომების განხორციელება მოითხოვს მალალ კომპეტენციას.

ბაზრის ვერტიკალური სეგმენტაციის შესაბამისად, სატრანსპორტო მომსახურების პაკეტი ფორმირდება ძირითადი საბაზო მომსახურების-გადაზიდვის დიფერენცირებულობის მიხედვით, პლიუს დამატებითი სასერვისე მომსახურება.

ცხრ. 3. საბაზო მომსახურების პარამეტრების კლასიფიკაცია

პარამეტრები	1კლ.	2კლ.	3კლ.	4კლ.	5კლ.
ფინანსური გარანტიები					
მომსახურების პარამეტრები:					
მიწოდება “ზუსტ დროში”					
შეთანხმებული გრაფიკი					
დაჩქარებული მიწოდება					
დაკვეთის დადასტურების შემცირებული დრო					
ტექნოლოგიები:					
ყველა მიწოდების დაგეგმვა და კონტროლი					
გრაფიკის თავისუფალი ხაზების დაგროვება და გაშვება					
“მუდმივი ბრუნვის მატარებლები”					
“ტექნოლოგიური მარშრუტები”					
“სატვირთო ექსპრესები”					

საბაზო მომსახურება ეფუძნება შემდეგ საპროდუქტო ასორტიმენტს:

- სამარშრუტო მოწოდება;
- სავაგონო მოწოდება;
- წვრილი მოწოდება.

ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ჩვენს მიერ შეთავაზებული საბაზო მომსახურების დიფერენციაცია ხუთ ძირითად კლასად, სერვისის დონის შესაბამისად:

პირველი კლასი – ტვირთის გაგზავნა არებული ნორმატიული პირობებითა და განაცხადის წარდგენის ვადის გათავალისწინებით, მინოდების სიჩქარით, გრაფიკის შესრულების მკაცრი გარანტიების დაუცველად. ეს მიდგომა გამოიყენებაგაგზავნის მოცულობის სამი ვარიანტისათვის:

- სამარშრუტო გაგზავნა;
- სავაგონო გაგზავნა;
- წვრილ-პარტიული გაგზავნა.

მეორე კლასი – მინოდების მკაცრი ვალდებულებები, ტვირთი მინოდებული იქნას მითითებულ ვადაში. აღნიშნული ამოცანის შესრულება მიიღწევა ტექნოლოგიურად რამოდენიმე პირობებში:

• განაცხადის წინასწარი მინოდება და მისი ჩართვა პრიორიტეტული (ფიქსირებული დრო) გადაზიდვების გრაფიკში;

- ტვირთის გაგზავნა დაჩქარებული რიგით.

აღნიშნული შეიძლება გამოვიყენოთ სარკინიგზო ფორმირებისა და სავაგონო გაგზავნებისათვის.

მესამე კლასი – დაჩქარებული გაგზავნა “ზუსტ დროში” მინოდების ვალდებულების დაცვით:

• კლიენტისათვის აუცილებელია განაცხადის წინასწარი მინოდება, რათა დაკვეთა ჩაისვას პრიორიტეტული გადაზიდვების გრაფიკში.

ეს კლასი შეიძლება გამოვიყენოთ სარკინიგზო და სავაგონო გზავნილების ფორმირებისათვის.

მეოთხე კლასი – დაჩქარებული გაგზავნა “ზუსტ დროში” მინოდების ვალდებულებით. ეს კლასი ანალოგიურია მესამე კლასისა, შესაბამისად, აუცილებელია განაცხადო წინასწარი მინოდება. თუმცა, განსხვავდება მესამე კლასისაგან იმით, რომ შესაძლებელია ტვირთი გადაიზიდოს მცირე დროით. ეს კლასი გამოიყენება მხოლოდ სავაგონო გადაზიდვებისათვის.

მეხუთე კლასი – მომსახურების მაქსიმალური მოქნილობა – “ზუსტ დროში” მინოდების განხორციელება განაცხადის წინასწარი შევსების გარეშე. ეს კლასი გამოიყენება მხოლოდ სავაგონო გზავნილების პირობებში.

წარმოდგენილი პირობები მოდელირების პოზიციონირებისა, ვფიქრობთ, ზედგამოჭრილია საქართველოს რკინიგზისათვის, სა-

დაც ყველაზე დიდ სემინტს გადაზიდვების საერთო მოცულობაში შეადგენს ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება.

მოდელის პოზიციონირების ეს მეთოდი პირდაპირ შეიძლება იქნას მორგებული დაკვეთების შესრულების ლოგისტიკურ მოდელებთან. კერძოდ:

FIFO: “პირველი მოხვედი — პირველი ნახვედი”. ყველაზე დიდი ყურადღება ექცევა იმ დაკვეთას, რომელიც ყველაზე უფრო ადრე შემოვიდა:

LIFO: “უკანასკნელი მოხვედი — პირველს მოგემსახურეს”. ყველაზე დიდი ყურადღება ექცევა იმ დაკვეთას, რომელიც ყველაზე გვიან შემოვიდა. ეს წესი კარგად ეთანადება მარაგების მართვის სასწრაფო პრინციპს, როცა ტვირტები განთავსებულია ისე, რომ მისი ჩამოღება შესაძლებელია მხოლოდ ზემოდან;

SPT: “უმოკლესი ოპერაციის წესი”. დიდი ყურადღება ექცევა იმ დაკვეთას, რომლის შესრულება შესაძლებელია უმოკლეს ვადებში;

MST: “მინიმალური დროითი რეზერვი”. ყველაზე დიდი ყურადღება ექცევა იმ დაკვეთას, რომელსაც გააჩნია მინიმალური დროითი რეზერვი. სარეზერვო დრო განისაზღვრება როგორც სხვაობა დაკვეთის შესრულების შესაძლებელ დროსა და დაკვეთის ფაქტიური შესრულების დროს შორის;

EDD: “ყველაზე უფრო მცირე დრო დაკვეთის შესრულებაზე”. ყველაზე დიდი ყურადღება ექცევა იმ დაკვეთას, რომელსაც შესრულების ყველაზე მცირე ვადები აქვს.



ბიზნესი, მენეჯმენტი, პარკატიონი



მენეჯმენტი, როგორც პასუხისმგებლობა საბანკო ოპერაციებზე და რისკების მართვის პოლიტიკის რეალიზაცია

მაია ალადაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში

საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი რგოლია, რამდენადაც მის ეკონომიკურ თუ საკრედიტო პოლიტიკას გავლენის მოხდენა შეუძლია ბიზნესის დანარჩენი დარგების საფინანსო საქმიანობაზე.

საბანკო სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის და მისი მყარი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბანკის დირექტორთა საბჭოს და უმაღლეს მენეჯმენტს, როგორც ბანკის მართვის ორგანოს.

უმაღლესი მენეჯმენტის, ანუ მმართველი გუნდის ხარისხზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბანკის სტრატეგიული პოზიცია, რისკების ხასიათის გამოვლენა და ამ რისკების ადეკვატური მართვა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ბანკის მდგრადობა და უსაფრთხოება.

საბანკო სისტემაში ფინანსური რისკების მართვის პროცესი არ იწყება დირექტორთა საბჭოს სხდომაზე, სადაც განიხილავენ ბანკის სტრატეგიას, არც დაგეგმვის პროცესის დროს და არც რომელიმე კომიტეტზე.

რისკების მართვის პროცესი იწყება მაშინ, როდესაც განიხილავენ რომელიმე თანამშრომლის სამსახურში მიღების ან მისი ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშნულების საკითხს.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას მენეჯერის სათანადო კვალიფიკაცია, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

დადგენილია შესაბამის სტანდარტები, როგორცაა მენეჯერის კვალიფიკაცია, მისი გამოცდილება, პროფესიონალური პატიოსნება. თუმცა ზემოაღნიშნული გაითვალისწინება კომერციული ბანკის ლიცენზირებისას, ხოლო შემდგომში დირექტორთა საბჭოს უფლება გააჩნია შეცვალოს ბანკის უმაღლესი მენეჯმენტი თავისი შეხედულებისამებრ.

ბანკის მენეჯმენტის ხარისხის შეფასებას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. ამ შეფასების მთავარი მიზანი უნდა იყოს უმაღლესი მენეჯმენტის შემდეგი მახასიათებლები:

– ადეკვატური ტექნიკური კვალიფიკაცია, გამოცდილება და პროფესიული პატიოსნება;

– მონიტორინგის და პოტენციური ფინანსური, საკრედიტო, ლიკვიდურობის, სავალუტო და სხვა ტიპის რისკების გამოვლენის უნარი.

– სავალდებულო მართვის ფუნქციების შესრულების და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

– კონტაქტების დამყარების და შენარჩუნების უნარი ყველა იმ პირებთან და ორგანიზაციებთან, რომელთანაც რაიმე სახის შეხება გააჩნიათ.

– სამსახურის შიგნით ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენის და მათი შეჩერების უნარი.

– იმგვარი მმართველობითი ანგარიშგების შემუშავების და წარმოდგენის უნარი, რომელშიც ადეკვატურად იქნება ასახული ბანკის საქმიანობის რისკები.

ყველა ზემოთჩამოთვლილი უნარების უქონლობა ან დაბალი ხარისხი უმაღლეს მენეჯმენტში აუცილებლად გამოიწვევს მნიშვნელოვან გართულებებს ბანკის საქმიანობაში, რომელთაც შესაძლოა მოჰყვეს დამანგრეველი შედეგები არა მხოლოდ თვით ბანკისთვის, არამედ მასთან ფინანსურად დაკავშირებული სხვადასხვა ბიზნესებისათვის.

ზემოაღნიშნულის მისაღწევად ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან აუცილებელია მენეჯმენტის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, მათი კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება და საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების მდიდარი და ხანგრძლივი გამოცდილების გაზიარება.

METHODICAL BASES OF THE MANAGEMENT ORGANIZATION WITH INNOVATION RISK ON THE ENTERPRISE

Liana Grigoryan

Armenian State University of Economics

Head. department, and management accounting and auditing,

Associate Professor, Candidate of Economic Sciences

The risk, particularly IR management, must be implemented on the all levels of the company management hierarchic structure. The main participants of IR management on the industrial enterprise are (Pic. 1):

- Directors' council;
- Risks management committee;
- Audit committee;
- Department of internal audit;
- General director;
- Department of risk management;
- Center of innovation risk management.



Pic. 1. Organizational structure of the enterprise and innovation risk management process participants

For the effective work of IR management system it is necessary to find out the role of each participant of that process.

The Directors' council is the main management body of the company at whole, and of the risk management system, particularly. It is responsible for the adequate effectiveness of the work of management system in front of stakeholders:

1. To find out the general corporative purposes of risk management, tolerance toward the risk, the strategy of risk management and main decisions on the risk management;

2. To understand the structure of the enterprise's main risks and the current situation in risk management on the enterprise, take decisions, providing the effective risk control;

3. To confirm the standards, methodology and the analysis and risk management procedure, the mechanism of managerial decisions working out;

4. To confirm the arrangements about risk management, to control and correct the risk management decisions;

5. To confirm the reports about risk management by the main activity directions/projects;

6. To confirm the audit reports by the risk management control and estimation provided by the Department of internal audit;

7. To confirm the risks management system development plan on the enterprise;

8. To provide and control the process of risk management corporate culture upbringing;

9. To confirm the annual report about the work of risk management system and to provide it to the stakeholders' meeting;

10. To be responsible for other important issues of risk management system.

In order to coordinate and standardize the risk management process on the enterprise the Risk management committee is to be created at the Directors' council. The chairman of such kind of committee must be the chairman of the Directors' council (or a vice person appointed by him). Beside him in such Committee the directors acquainted with the main business-processes of the enterprise must be included (directors by the

production, by NIOKR, etc.), as well as the direction, who has knowledge and experience in risk management system organization, and the head of the group of normative-methodical providing, etc. (for instance, external consultants).

The risk management committee must implement following responsibilities:

1. To work out the risk management strategy and the main decisions in the area of the risk management;
2. To work out the risk management system development at the enterprise;
3. To provide the annual report to the Directors' council about the work of the risks management system;
4. To analyze and to introduce the proposals on the complex report about the control and estimation of risks management, working out by the Department of internal audit;
5. To solve other questions of the Risks management system by the decision of the Directors' council.

The Group of the normative-methodical providing is subjected to the risks management committee, the obligations of which are the risks management system functioning methodological support, particularly:

1. The risk management standards development on the enterprise;
2. The development of the methodology and analyze procedures of the risk;
3. The development of the managerial decisions working out mechanisms in the process of risk management;
4. The development of the documents and reports forms for the risk management system;
5. Finding out the requests in the informative system of the risk management;
6. Working out the recommendation on the development and improving the risk management system;
7. Teaching and methodical support for all participants of risk management system and, first of all, the workers of the Risks management department.

The control and the estimation of risk management system must be imple-


mented by the Audit committee at the Directors' council. The Department of internal audit must be subjected to the Audit Committee. (Their responsibilities must be written down in a separate document). Concerning risk management, the department of internal audit must be responsible for the study and work out the proposals on the control system and risk management estimation system, to work out the corresponding control and estimation systems, to provide auditor's reports by the results of control and estimation.

The General director of the company must be responsible towards the Directors' council for the Risks management system's daily work functioning and agreement, for the implementation of the standards, methods and procedures accepted, as well as for providing corresponding resources (material, human, etc.).

The specialized subdivision – the Risks management department immediately must do the work on risks management provided by the enterprise risk management system. Such kind of department must be responsible towards the General director and make the following obligations:

1. To be responsible for the organization and coordination of the risk management system's daily work;
2. To be responsible for the risk management system in corresponding departments;
3. To be responsible for the risks management adequacy estimation;
4. To be responsible for the risk management information system introduction;
5. To analyze and make proposals on the risk management strategy on the key decisions on the risk management, as well as to be responsible for the introducing such kind of decision;
6. To analyze and to make proposals on the standards, methodology and analyzes procedures and risk management procedures, the managerial decisions control development mechanisms;
7. To analyze and to make proposals for the report on the Risk management system;
8. To make other work on risk management.

The innovation risk management is made by the Innovation risks management center (IRMC) and Risks management department. The possible organizational structure of IRMS is presented on Pic. 2.



Pic. 2. IRMC organizational structure at the enterprise

The presence, quantity and structure of IRMC on the enterprise depends on the volumes and the character of the innovation projects, the presence of the functioning Risk management department on the enterprise.

The monitoring department includes two groups of specialists. The monitoring personnel must be responsible for the in-time registration of the changes in the external and internal environment, including the collecting of the information from managers (risk-managers) of the projects, the registration of the realized risky events, factual losses and gains as a result of their realization, the initial risk analysis, as well as must participate in the risks registries preparation. And the competition investigation personnel is responsible for the search for the information, regarding the possible plans of the enterprise's competitors, possible changes in the staff content, possible finding of new competitors or products, prices making of the other market participants, possible changes in the legislation, arising changes in the usage of enemy actions towards the enterprise and other functions.

**კლავა ღა განვითარება. როგორც კომპანიის
მენეჯმენტის უწყვეტიანობის ფაქტორი**

ოლღა ფაჩულია

ემდ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე ბიზნესი აზროვნების განსაკუთრებულ მოქნილობასა და სისხარტეს, საქმისადმი შემოქმედებით მიდგომას, თვითრეალიზაციის თავისებური ფორმის გამოვლენასა და სოციალურ სისტემაში ინტეგრაციას მოითხოვს. გლობალური კონკურენციის პირობებში წარმატებებს ის კომპანიები აღწევენ, რომლებსაც შეუძლიათ სწრაფი რეაგირება მოახდინონ ბიზნესში მიმდინარე დინამიურ ცვლილებებზე, რაც შეუძლებელია კვლევისა და განვითარების გარეშე. აქედან გამომდინარე, თითოეული ინდივიდის ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, პერსონალის უწყვეტი სწავლების პროცესი მეტად აქტუალურ ელფერს იძენს. საჭიროა როგორც ადამიანის მატერიალური ინტერესების, ასევე მისი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ მიმართული ინტელექტუალური აქტივობის მოტივაციის სისტემის შექმნა. პროცესები, რომლებიც მოტივირებენ ინდივიდის შრომით საქმიანობას, უშუალო კავშირშია სამუშაოსა და თავად მენეჯერის პიროვნებასთან, კერძოდ, მის უნართან იყოს კრეატიული სხვადასხვა მიდგომისა და მეთოდის დანერგვაში. ინტელექტუალური აქტივობის უმნიშვნელოვანესი მოტივი მდგომარეობს ნდობაში, დამოუკიდებელი მუშაობის უნარის გამოიმუშავებაში, საკუთარი თავის წარმოჩენაში. თავად ინტელექტუალური აქტივობა ეფუძნება ადამიანის ისეთ მოთხოვნილებებს, როგორცაა: საზოგადოებრივი აღიარება, მიზნის მიღწევა (როგორც თვითდამკვიდრების საშუალება), დამოუკიდებლობა. ჩამოთვლილ მოთხოვნილებათა რეალიზება ინტელექტუალური აქტივობის მთავარი მოტივატორია. პრაქტიკაში ის თავის რეალურ გამოხატულებას ჰპოვებს ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ იმ გარემოების გაცნობიერებაში, რომ ინტელექტუალური აქტივობის მოტივაციის ამაღლების შედეგად ხდება პერსონალის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება და,

საბოლოო ჯამში, იზრდება მთლიანად ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობა. ცხადია, ინტელექტუალური აქტივობა ყოველთვის არის შემოქმედებითი და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ინდივიდის მხოლოდ პირველადი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ მასზე. შესაბამისად, მატერიალური სტიმულირების გამომუშავება ინტელექტუალური აქტიურობის მოტივაციის სისტემაში აუცილებელია იმ ობიექტის სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით, რომლისკენაც ის არის მიმართული.

ინტელექტუალური აქტივობის მოტივაციის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით კომპანიის მენეჯმენტის უმთავრეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს თითოეული მომუშავეს, როგორც ყველასთვის მისაღები და თანასწორი წევრის, ჩართვა კოლექტივში, ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ინდივიდს აქვს დამოუკიდებელი მუშაობის, ინიციატივის გამოვლენისა და თვითკონტროლის შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციაში საერთო ღირებულებების ფორმირებას. საბოლოო ჯამში, მომუშავეებს უჩნდებათ თვითრეალიზაციის, საჭირო ცოდნისა და კვალიფიკაციის მიღების სურვილი, იზრდება მათი მოტივაცია, რომლის საფუძველია რაღაცის არასაკმარისობის გამო წარმოშობილი მოთხოვნილებები, რომელთა გარეშეც პიროვნება გრძნობს დისკომფორტს, შინაგან და გარეგან გაუწონასწორებლობას, შესაბამისად კი – მისწრაფებას, სძლიოს მას¹. ორგანიზაციაში პერსონალის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარების სისტემა უნდა იყოს კომპლექსური, ის უნდა ეფუძნებოდეს სისტემურობის, უწყვეტობის პრინციპებს, რაც დაკავშირებულია მეცნიერული ცოდნის შექმნასთან და მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს.

მსოფლიოს წამყვანი კომპანიების პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ წარმატებული ფირმები მნიშვნელოვან სახსრებს იღებენ კვლევასა და განვითარებაზე (Research and Development). ცხრილში 1.1. მოცემულია ტოპ 10 კომპანია, რომელთაც ყველაზე დიდი თანხები დახარჯეს კვლევასა და განვითარებაზე². როგორც ვხედავთ,

1 Мескон М., Альберт М., Хедоурн Ф. Основы менеджмента. М. Дело, 1992. с. 362.

2 <http://xbrl.squarespace.com/journal/2011/8/28/experiment-research-and-development-expense-top-100-companie.html>

I და II ადგილს იკავებენ Microsoft Corporation და Oracle Corporation, რომლებიც კომპიუტერული პროგრამების მომსახურების კომპანიებს წარმოადგენენ, ხოლო მესამე ადგილზე კი ფარმაცევტული კომპანია Merck & Co. Inc.-ია¹.

ცხრილი 1.1. კვლევისა და განვითარებაზე მხარჯავი ტოპ ათეული

№	კომპანია	ინდუსტრია	კვლევა და განვითარება
1	Microsoft Corporation	7372-SERVICES-PREPACKAGED SOFTWARE	9,043,000,000
2	Oracle Corporation	7372-SERVICES-PRE PACKAGED SOFTWARE	4,519,000,000
3	Merck & Co. Inc.	2834-PHARMACEUTICAL PREPARATIONS	4,094,000,000
4	Intel Corporation	3674-SEMICONDUCTORS & RELATED DEVICES	3,902,000,000
5	INTERNATIONAL BUSINESS MACHINES CORP.	3570-COMPUTER & OFFICE EQUIPMENT	3,156,000,000
6	Google Inc.	7370-SERVICES-COMPUTER PROGRAMMING, DATA PROCESSING, ETC.	2,456,000,000
7	CHEMBIO DIAGNOSTICS, INC.	2834-PHARMACEUTICAL PREPARATIONS	2,455,014,000
8	Lilly Eli & Co	2834-PHARMACEUTICAL PREPARATIONS	2,384,600,000
9	QUALCOMM INC/DE	3663-RADIO & TV BROADCASTING & COMMUNICATIONS EQUIPMENT	2,144,000,000
10	BOEING CO	3721-AIRCRAFT	2,104,000,000

წყარო: <http://www.xbrlsite.com/Demos/SECInfo/Top100RD.html>

¹ <http://xbrl.squarespace.com/journal/2011/8/28/experiment-research-and-development-expense-top-100-companie.html>

ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი

ცხრილში 1.2. მოცემულია ცნობილი წარმატებული კომპანიების: Microsoft-ის, Oracle-ისა და Merc&Co -ის დანახარჯები კვლევისა და განვითარებაზე.

ცხრილი 1.2. Microsoft-ის, Oracle-ისა და Merc&Co-ის ხარჯები კვლევისა და განვითარებაზე

		2006	2007	2008	2009	2010	2011
შემოსავალი	Microsoft	\$44,282	\$51,122	\$60,420	\$58,437	\$62,484	\$69,943
	Oracle	\$14,380	\$17,996	\$22,430	\$23,250	\$26,820	\$35,620
	Merc&Co	\$22,636	\$24,197	\$23850	\$27,428	\$45,987	\$48,047
კვლევა და განვითარება	Microsoft	\$6,584	\$7,121	\$8,164	\$9,010	\$8,714	\$9,043
	Oracle	\$1,872	\$2,195	\$2,740	\$2,770	\$3,250	\$4,520
	Merc&Co	\$4,782	\$4,882	\$4,805	\$5,845	\$11,111	\$8,467
კვლევისა და განვითარების პროცენტული წილი მთლიან შემოსავალში	Microsoft	14.80%	13.90%	13.50%	15%	13.9%	12.90%
	Oracle	13%	12.19%	12.20%	11.90%	12.11%	12.69%
	Merc&Co	21%	20%	20%	21%	24%	17.60%

წყარო: http://www.microsoft.com/investor/reports/ar11/financial_review/income_statements.html

<http://www.oracle.com/us/corporate/investor-relations/financials/index.html>


<http://phx.corporate-ir.net/phoenix.zhtml?c=73184&p=irol-reportsannual>

როგორც ცხრილიდან ჩანს, კომპანია Microsoft-ის კვლევისა და განვითარების პროცენტული წილი მთლიან შემოსავალში საკმაოდ მაღალია. 2006-2011 წლებში იგი 12-დან 15 პროცენტამდე მერყეობს, 2006 წელთან შედარებით 2007 და 2008 წელს გაზრდილია ხარჯები კვლევისა და განვითარებაზე, რის შედეგადაც მომდევნო წლებში კომპანიის შემოსავლები მზარდია. 2009 წელს კვლევისა და განვითარების წილი მთლიან შემოსავალში 15%-ია, რაც 9 მილიონ


დოლარს შეადგენს და მომდევნო წელს, როგორც ვხედავთ, შემოსავლის 6.5%-მდე გაზრდას უზრუნველყოფს, ხოლო 2010-2011 წლებში, მართალია, კვლევისა და განვითარების წილი მთლიან შემოსავალში პროცენტულად შემცირებულია 2009 წელთან შედარებით, მაგრამ მასზე დახარჯული თანხები კვლავ კოლოსალურია და შემოსავალს მზარდი ტრენდი აქვს, რაც მიანიშნებს კომპანიის ფინანსურ სიჯანსაღესა და სწორ კურსზე.

დიაგრამა 1.1.

Microsoft-ის კომპანია




დიაგრამა 1.2.




ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი


კომპანია Oracle-ის კვლევისა და განვითარების ხარჯებისა და შემოსავლების ტრენდი მზარდია 2006-2011 წლებში (იხ. ცხრილი 1.2.). 2006 წელთან შედარებით, 2011 წელს შემოსავალი 147%-ით გაიზარდა.

დიაგრამა 1.3.



დიაგრამა 1.4.






აღსანიშნავია, რომ კომპანია Oracle-ის მიერ კვლევასა და განვითარებაზე განეული ხარჯებისა და წმინდა მოგების მაჩვენებლები ყოველწლიურად იზრდება. ორივე მათგანს აქვს მზარდი ტრენდი და გრაფიკულად ისინი იმეორებენ ერთმანეთის ტრაექტორიას (იხ. დიაგრამა 1.5.).

კომპანია Merc&Co თითქმის ყოველ წელს თავისი შემოსავლების მეხუთედს კვლევასა და განვითარებაზე ხარჯავს. როგორც ცხრილი 1.2.-დან ჩანს, 2010 წელს მან შემოსავლების 24% გაიღო კვლევასა და განვითარებაზე, მომდევნო წელს შემოსავლების გაზრდა მოახერხა და ბოლო ხუთ წელთან შედარებით ყველაზე დიდი რაოდენობის გაყიდვები შესძლო. თუ 2006 წლისა და 2011 წლის შემოსავლებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ Merc&Co-მ 112.25%-ით გაზარდა გაყიდვები, რაც საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს ნებისმიერი ფირმისთვის თანამედროვე კონკურენციის პირობებში. კომპანიის წარმატების გასაღები, როგორც ვხედავთ, სწორედ კვლევასა და განვითარებაში ჩადებული ინვესტიციებია.

დიაგრამა 1.6.


Merc&Co კომპანია




დიაგრამა 1.7.

კ&გ-ის პროცენტული წილი მთლიან შემოსავალში

■ კ&გ-ის პროცენტული წილი მთლიან შემოსავალში





როგორც დიაგრამა 1.8.-დან ჩანს, კომპანია Merc&Co -ს წმინდა მოგებისა და კვლევა და განვითარების მდინარეების დინამიკა გარკვეულ წლებში ერთმანეთს ემთხვევა. 2007 წელს ორივე მაჩვენებელი შემცირდა, ხოლო 2008-2009 წლებში კვლევისა და განვითარებაზე გაწეულ ხარჯებთან ერთად კომპანიის წმინდა შემოსავალიც გაიზარდა. რაც შეეხება 2010 წელს, წმინდა შემოსავალი შემცირდა, მაგრამ კვლევისა და განვითარების ხარჯები თითქმის ორჯერ გაიზარდა გასულ წელთან შედარებით.

იქედან გამომდინარე, რომ პერსონალის განვითარება უზრუნველყოფს შრომის მწარმოებლურობის ზრდას და ორიენტირებულია გარკვეული საბოლოო შედეგების მიღებაზე, მისი დაფინანსება შეესაბამება დანახარჯების ეფექტიანობის პრინციპს, მაგრამ ადამიანური რესურსების განვითარებაზე დახარჯული ფინანსური სახსრების შეფასება სხვა ინვესტიციების ანალოგიურად, კერძოდ, იმ თვალსაზრისით, არის თუ არა იგი ეფექტიანი, საკმაოდ რთულია შემდეგ გარემოებათა გამო: კაპიტალის დაბანდება მატერიალიზდება თავად ადამიანის მიერ, დამოკიდებულია მის პიროვნებაზე, ორგანიზმის ფიზიკურ და ბიოლოგიურ მდგომარეობაზე.

ამასთან, პერსონალის სწავლების ორგანიზება უნდა მოხდეს იმის გათვალისწინებით, თუ როგორია ადამიანის დამოკიდებულება განათლების მიმართ არა მხოლოდ საბაზო პროფესიონალური ცოდნის მიღების სტადიაში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე. პერსონალის წარმატებული განვითარება მოითხოვს კონკრეტული მეთოდების გამოყენებას, რომელიც მიმართული იქნება მისი ცოდნის, შესაძლებლობების და ქცევითი ასპექტების ფორმირებისა და აქტივიზაციისაკენ. ასეთ მეთოდებს მიეკუთვნება: მუშების, სპეციალისტების, ხელმძღვანელების სწავლება, მომზადება და გადამზადება, ორგანიზაციის გარეთ კვალიფიკაციის ამაღლება, ფირმის შიდა სემინარები, კონფერენციები, ჯგუფური დისკუსიები, ტრენინგები და სხვა.

ამდენად, პერსონალის განვითარება გულისხმობს:

- თანამშრომლის უნარს, გააცნობიეროს რეგულარული სწავლების აუცილებლობა, რათა შეესაბამებოდეს გაზრდილ მოთხოვნებს;

- კოლექტივის უნარს, გააცნობიეროს ჯგუფური ან გუნდური მართვის აუცილებლობა მთელი პერსონალის და არა მხოლოდ ხელმძღვანელების აქტიური მონაწილეობით;

- ორგანიზაციის უნარს, გააცნობიეროს თითოეული თანამშრომლის გადამწყვეტი როლი და მისი პოტენციალის განვითარების აუცილებლობა. ყოველი ადამიანი პოტენციურად საუკეთესო მომუშავეა, საჭიროა თითოეული ინდივიდის პოტენციალის აღმოჩენა და განვითარება!

მენეჯერმა უნდა შეძლოს თითოეული მომუშავეის პოტენციალის გამოვლენა და მაქსიმალურად გამოყენება. ამისათვის, ჩვენი აზრით, უმჯობესია ხელმძღვანელობის დემოკრატიული სტილის შერჩევა, რადგან ეს უკანასკნელი გაცილებით მეტ თავისუფლებას ანიჭებს შემოქმედებით ადამიანებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის დემოკრატიული სტილი გულისხმობს თანამშრომლებთან მუდმივ კონტაქტს, ხელს უწყობს პერსონალის დამოუკიდებლობასა და არაორდინალურ აზროვნებას, კონფლიქტებისა და სტრესების მინიმუმამდე დაყვანას. როგორც რ. დაფტი აღნიშნავს,

1 Одноминутный менеджер и ситуационное руководство. К. Бланшар. П. Зигарми. Д. Зигарми. Минск. 2002, стр 65.

შემოქმედებითი ადამიანები გამოირჩევიან ორიგინალურობით, სიცოცხლის სიყვარულით, მიზანსწრაფულობით, შეუპოვრობით, ენერგიულობით, თავისუფალი ცხოვრების წესით, ახალი იდეების მიმართ ცოცხალი ინტერესით. კრეატიულობა შეიძლება იყოს მათი ორგანიზაციის ან განყოფილების განმასხვავებელი ნიშანი. ორგანიზაცია ან განყოფილება შეიძლება ორგანიზებული იყოს ისეთნაირად, რომ თანამშრომლებს საშუალება ჰქონდეთ გამოიჩინონ შემოქმედებითი ნიჭი და ხორცი შეასხან ცვლილებების გასატარებლად აუცილებელ ნოვატორულ იდეებს. ორგანიზაციათა უმეტესობა ეძებს და დიდი სიამოვნებით აპყავთ სამსახურში შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანები. მენეჯერებმა უნდა შექმნან კომპანიაში ისეთი გარემო, რომ ნებისმიერმა თანამშრომელმა მაქსიმალურად შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა¹.

ხელმძღვანელობის დემოკრატიული სტილი გაცილებით მეტ თავისუფლებას ანიჭებს შემოქმედებითი, ნოვატორული, გამომგონებლური, მკვლევარის ტიპის ადამიანებს. მენეჯერი, რომელიც ირჩევს ხელმძღვანელობს ამ სტილს, ხასიათდება ძალაუფლების დელეგირებით, კოლეგიალობის მაღალი დონით მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას. მომუშავეთა შეფასებას იგი ახდენს ობიექტური და თანამშრომლებისთვის წინასწარ ცნობილი კრიტერიუმებით. ხელმძღვანელობის დემოკრატიული სტილი ხელს უწყობს დამოუკიდებლობას და არაორდინალურ აზროვნებას. ასეთ პირობებში ადამიანები თამამად იღებენ პასუხისმგებლობას თავიანთი კომპეტენტურობის ფარგლებში, თანამშრომლებს შორის აგრესიული დამოკიდებულება, კონფლიქტური სიტუაციები და სტრესები საწარმოო პროცესში მინიმუმამდეა დაყვანილი და, როგორც წესი, ისინი ატარებენ ლოკალურ, ხანმოკლე ხასიათს.

ამდენად, კვლევა და განვითარება კომპანიის მენეჯმენტის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი, პირველ რიგში, დაკავშირებულია თანამშრომელთა ცოდნისა და შესაძლებლობების შესაბამისობაში მოყვანასთან, რაც მიიღწევა ინტელექტუალური აქტივობის მოტივაციის სისტემის შექმნით, ნებისმიერი შემოქმე-

¹ Дафт Р. Менеджмент. Питер. 2010. стр. 386.

აიზნავი, მენეჯმენტი, მარკეტინგი

დებიტი წამოწყებისა და ინიციატივის წახალისებით, ხელმძღვანელობის დემოკრატიული სტილის შერჩევით. მენეჯერმა უნდა შეძლოს თითოეული მომუშავეის პოტენციალის გამოვლენისა და გამოყენების მიზნით ორგანიზაციაში კრეატიული ატმოსფეროს შექმნა, რათა კომპანიის ყოველმა წევრმა თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი, არგუმენტირებულად დააასაბუთოს საკუთარი პოზიცია და კონცეფცია. ყოველივე ზემოაღნიშნული კი, უზრუნველყოფს კვლევისა და განვითარების პროცესის ეფექტიანობას და, საბოლოო ჯამში, ფირმის მიერ ბაზარზე უპირატესობის მოპოვებას.



**საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნების
ფორმირების პრინციპები**

თენგიზ აფხაზავა

ტმდ, გაეროს განვითარების ფონდის (UNDP)
კონსულტანტი ლოგისტიკაში

კობა კიკაბიძე

კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის მკვლევარი

საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებისა და საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნების ფორმირების ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების პირობებში სატრანსპორტო პრობლემების გადაჭრის კუთხით წამყვანი როლი ეკუთვნის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნების ფორმირებასა და განვითარებას, რომელთანაც პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო-თაშორისი ეკონომიკური, კულტურული, სავაჭრო და სხვა ურთიერთკავშირების გაძლიერება. ამასთან, უპირატესად გასათვალისწინებელია საერთაშორისო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნის მიზანშეწონილობა, სადაც შეთანხმებული იქნება ტექნიკური პარამეტრები და უზრუნველყოფილი გადაზიდვების ერთობლივი შეთანხმებული ტექნოლოგიების გამოყენება, როგორც ნაციონალური სატრანსპორტო სისტემების საერთო მსოფლიო სატრანსპორტო სისტემაში ინტეგრაციის საფუძველი.

სწორედ საერთაშორისო ურთიერთობებმა განაპირობეს ტრანსპორტირების პროცესებისადმი ლოგისტიკური მიდგომების შემდგომი განვითარება, რამაც მიიყვანა მსოფლიო ტვირთებისა და მგზავრების ნაკადების მოძრაობის ძირითად მიმართულებებზე სატრანსპორტო დერეფნების შექმნის აუცილებლობასთან.

საქართველოს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა, მათ შორის სატრანსპორტო სფეროში, ბოლო ორი ათეული წელია ძალიან მაღალი

მსოფლიო პერსონიკა

ინტენსივობით ვითარდება. გარდა ამისა, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს მის წამყვან როლს საერთაშორისო კავშირებში ევროპისა და აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებს შორის. ამას ემატება ისიც, რომ საქართველომ აღადგინა ისტორიულად დამკვიდრებული სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელოვანი ფუნქცია, რასაც უკვე მთელი მსოფლიო ოფიციალურად აღიარებს. განვითარებადი საბაზრო ურთიერთობები აიძულებს ტვირთმფლობელებსა და გადამზიდავებს გამოიყენონ ტრანსპორტირების სისტემების პროექტირების თანამედროვე მეთოდები და შეძლონ სატრანსპორტო პროცესის რეალიზება ტვირთებისა და მგზავრების ტრანსპორტირების პროცესში ხარისხის ამაღლების კუთხით, რაც პირდაპირ უკავშირდება გადაზიდვების პროცესის უსაფრთხოებას.

სატრანსპორტო დერეფნების სისტემაზე გადასვლა ხორციელდებოდა თანდათანობით. თუკი თვალს გადავავლებთ სატრანსპორტო კორიდორების ფორმირების ღონისძიებათა მოკლე ისტორიას, რომელიც მოყვანილია ცხრილში 1, ნათლად დავინახავთ, რომ ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც გააჩნია მონანილეთა გაფართოების აშკარა ტენდენცია.

ცხრილი 1. სატრანსპორტო კორიდორების ფორმირების ღონისძიებათა მიმოხილვა

წელი	ჩატარების ადგილი	ძირითადი გადაწყვეტილებები
1978	---	ევროკავშირის (EU) ინტერესებში სატრანსპორტო ქსელის განვითარების საკითხების განმხილველი კომიტეტის შექმნა
1982	---	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პროექტების ფინანსირებისათვის ევროპის კავშირის (EU) ბიუჯეტის შექმნა
1991	პრალა	ტრანსპორტის მინისტრების 1-ლი პან-ევროპული კონფერენცია ევროპული სატრანსპორტო ქსელების თანამშრომლობისა და ინტეგრაციის საკითხებში

1991	მაასტრიხი	“თამაშის წესების” შემუშავება
1992	ედინბურგი	“ედინბურგის ინიციატივა“-ევროპის საინვესტიციო ბანკის მონაწილეობის გაფართოება სატრანსპორტო დერეფნების ფინანსირებაში
1994	კუნძული კრიტი (საბერძნეთი)	ტრანსპორტის მინისტრების მე-2 პან-ევროპული კონფერენცია ტრანსევროპული ქსელების 9 კორიდორთან დაკავშირებით და ქვეყნებს შორის ურთიერთობის გზებთან დაკავშირებით
1997	ჰელსინკი	ტრანსპორტის მინისტრების მე-3 პან-ევროპული კონფერენცია სატრანსპორტო დერეფნების განვითარებასთან დაკავშირებით
1998	სანკტ-პეტერბურგი	1-ლი საერთაშორისო ევროპა-აზიის სატრანსპორტო კონფერენცია აღმოსავლეთისა და დასავლეთის სატრანსპორტო სისტემების დონეების გათანაბრებასთან დაკავშირებით
1999	ტაშკენტი	საერთაშორისო კონფერენცია: “ევროპა-აზია სატრანსპორტო ხიდის პრობლემები” ანუ “აბრეშუმის გზა”
2000	სანკტ-პეტერბურგი	1-ლისაერთაშორისო ევრაზიული კონფერენცია ტრანსპორტში მულტიმოდალური გადაზიდვების განვითარებისათვის, მსოფლიო სატრანსპორტო სისტემაში “ბალტიის ხიდის” პროექტის გაფართოება და ინტეგრაცია
2001	ირკუტსკი	MCAT-ის პირველი კონფერენცია საავტომობილო გადაზიდვებზე “ევროპა-აზია”



სურათი1. ევრაზიის უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო არტერიები

სურათზე 1 ნაჩვენებია საზღვაო და სახმელეთო უმნიშვნელოვანესი ევრაზიული სატრანსპორტო არტერიები, რომლებზედაც გაივლის ძირითადი ევრაზიული ნაკადები. თვალის ერთი გადავლევითაც ნათლად ჩანს, რომ საქართველოს შესაძლებლობა აქვს მიუერთდეს ნებისმიერ განშტოებას წარმოდგენილ სატრანსპორტო დერეფნებში. მითუმეტეს, რომ ეს უმნიშვნელოვანესი კორიდორები უკვე დიდი ხანია ფუნქციონირებენ საერთო ევრაზიულ სატრანსპორტო სივრცეში. გარდა რუსეთისა, ყველა მონაწილე ქვეყანა დაინტერესებულია ორივე მიმართულებით მოძრავი ტვირთნაკადების ნაწილი გაატაროს საქართველოს გავლით. კონკრეტულ განშტოებებზე აღნიშნული ტრასებისა ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით, ზოგადად აღვნიშნავთ, რომ საკონტინენტო გადაზიდვების წილი ყოველწლიურად გაიზრდება წარმოდგენილ



მიმართულებებზე, რადგან ყველა გენერალური ტვირთნაკადი ინტერმოდალური ნაკადების პოტენციურ შემავსებლებს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ძირითადი სატრანსპორტო ტექნოლოგია, რომლითაც უზრუნველყოფილია ინტერმოდალური მიმოსვლა არის კონტინერი.

წარმოდგენილი დერეფნების დიდი ნაწილი ჩვენთვის კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით არ წარმოადგენს დიდ ინტერესს, რადგან იქ ფორმირებული საკონტინერო ინტერმოდალური ნაკადების მიმართულებები არ იკვეთება “ტრასეკას” დერეფანთან, თუმცა საინტერესოა იმ თვალთახედვით, რომ შესაძლებელია კავკასიაზე გამავალი ტვირთების შემდგომი ინტეგრაცია, ანუ მიერთება ამ სტრანსპორტო მიმართულებებთან, რაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი ტრანზიტული ტვირთებისათვის “ტრასეკას” განშტოებად შეიძლება იქცეს.

ამდენად, ნებიმიერი ევროპა-აზიის აღიარებული დერეფანი გარკვეული ინტერესების სფეროს წარმოადგენს. საქართველოსათვის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნების ჩრდილოეთის მიმართულებით საინტერესოა ორი ევრაზიული კორიდორი: ჩრდილოეთ-სამხრეთის და ტრანსციმბირული. სხვა მიმართულებებიდან აღვნიშნავთ ჩრდილოეთის საზღვაო გზას, რომელთანაც ჩვენი ქვეყნის ინტერესები ყველაზე ნაკლებად იკვეთება და პანევროპული სატრანსპორტო დერეფნები №№ 1, 2, და 9. ისინი საინტერესოა იმ კუთხით, რომ შესაძლებელია “ტრასეკას” განშტოებების მიერთება აღნიშნულ მაგისტრალებთან.

თვითოეულ ამ კორიდორს მინიჭებული აქვს თავისი აღნიშვნა:

დერეფანი **“ჩრდილოეთი - სამხრეთი”** (აღმოსავლეთ, ცენტრალურ, დასავლეთ ევროპის და სკანდინავიის ქვეყნები — რუსეთის ევროპული ნაწილი — კასპიის ზღვა — ირანი — ინდოეთი, პაკისტანი და სხვა) — **NNS**;




ჰისტოგრამა 1. ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების სტრუქტურა “ჩრდილოეთი - სამხრეთი” დერეფანში ქვეყნებისა და ტვირთების ნომეკლატურის ჭრილში


